

K 231-181
3

ՀԱՅԱՍՏԱՆԻ



ՔՈՅՆՈՒԹՈՒՄ ԳԻՎԱՅՈՒՅՈՒ
„ՑԵՎԱՑՈՒՄՈՒ ԽԵՐՈՅԱՎԱ”

ԲԿ

ԺՆՎԵ ՀԱՅԱՍՏԱՆ
ՑԵՎԱՑՈՒՄՈՒ ԽԵՐՈՅԱՎԱ



იგანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ძლიანებული უაღოღებულის, ბაზანტინისტიკისა და ნეოგრეციასტიკის ინსტიტუტი

პროგრამა «ლიგისი»

პუბლიკაციები და ლონისმიერება კლასიკური ფილოლოგიას,
ბაზანტინისტიკისა და ნეოგრეციასტიკის სუვერენი

101 + 16912604

1010101010101 010101010101
„გრამატიკის საბოლოო“

ე

43180 + 164380
გრამატიკური აგრძნება



1 Քըմ իհմելու յնու զիմսկա
2) իմանու յնու զիմսկան ուսցուես


առաքելոց գրամաբույրեն, գոտնօնառու տրայ-
ըլուս „գրամաբույրեն եղանակներ” და մուս կամենիներեն յիշտացա-
լու միջնոնաժամանակական յարցած լրացու տեխնոլոգիան, հոմլութեալ,
սրբազնա և պահած, սպասութեան ձերմենու և ամպարութեան մեջուղու և
գայզմականութեան մեջ յարտապահութեան պահանջանահանաւու-
թաց, ամրացած, ամ բայց բարենաշ ներմունքաւու ներմունքաւ վարմացացաւ
մըսնուցաւ այսպահածական մուտքածութեան մեջ մերժութեան յարտապահութեան
աշխատ ու տրամադրութեան, անամեցած, յարտապահութեան յնու ուժուման ներմունք-
ամացած, համու յէ բացնու տագու վալուու ներմունքան. գոտնօնառու
տրայ-ըլուս „գրամաբույրեն եղանակներ” յարտապահութեան յար-
թաց մուտքածական մեջուղութեան մեջ մերժութեան մեջ մերժութեան
մեջուղութեան յարտապահութեան, անամեցած պահած գայզմականութեան
աշխատ ու տրամադրութեան, անամեցած պահած գայզմականութեան
աշխատ ու տրամադրութեան.

հրաձեգրութիւն ներած մասարացե

հրապարակութիւն պահանջանահանաւու

† პრոֆ. հոման մոմոնահանաւու

პրոფ. տէ լու ստորագանց



© პրոցրամա „լուցուսո”, 1998

პրոցրամա „լուցուսո”

ոլուս բացեածական յամնութիւն 13 (մայ VIII յուն), ռու. 14, 380079 տեղական
բնակչութեան 25-02-58

ISBN 99928-65-32-6

შესავალი

ძველი ქართული გრამატიკული აზრის ისტორია, სამწუხაროდ, ჰყრ არ შექმნილა. ის, რაც დღეისათვის გამოვლენილი და შესწავლილია, მხოლოდ მასალებს წარმოადგენს ამ ისტორიისათვის. ჩვენთვის ცნობილია ძველ ქართველ გრამატიკოსთა სახელები, მაგრამ უცნობია მათი თხზულებები. ისიც ცხადია, რომ ძველ საქართველოში კარგად იცნობდნენ ბერძენ გრამატიკოსთა თხზულებებს, მაგრამ ჩვენამდე არ მოუღწევია ამ თხზულებათა ქართულ თარგმანებს. ამიტომ სულ ცოტა ხნის წინ ქართული გრამატიკული აზრის ისტორიას ვიწყებდით XVIII საუკუნით და, ამასთანავე, ვაკილებით შეტი ვიცოდით მის სომხურ მასალასთან მიმართების შესახებ, ვიდრე ბერძნულთან, რომელიც, თავის მხრივ, სომხურის საფუძველიცა.

დღეს უდაცოა ძველი ქართული ენათმეცნიერული ცოდნის დიდი სიახლოებები შეუა საუკუნეების ბერძნულ ფილოლოგიურ აზროვნებასთან, რაც მიემართება იმ პირველ გრამატიკას, რომელსაც „გრამატიკის ხელოვნების“ (Τέχνη γραμματική) უწოდებენ. ეს არის ენობრივ დაკვირვებათა პირველი სისტემური სახელმძღვანელო, რომელიც საფუძვლად დაედო მრავალ ეკრობულ გრამატიკათა შექმნას მოძღვნო საუკუნეებში. „გრამატიკის ხელოვნების“ ავტორიად ტრადიცია მიიჩნევს ალექსანდრიული სკოლის წარმომადგენელს — დაონისიოს თრაკიელს.

როგორც ცნობილია, ქალაქ ალექსანდრიას ალექსანდრე მაკედონელმა ჩაუყარა საფუძველი. ალექსანდრეს გარდაცვალების შემდეგ ეს ქალაქი თავის რეზიდენციიდ აირჩია ეგვიპტის ელინისტური სამეცნის დამაარსებელმა — პტოლემაიოს | სოტერმა (322-283). სულ მოკლე ხანში ალექსანდრია გადაიქცა არა მხოლოდ ეგვიპტის, არამედ მთელი ელინისტური სამყაროს უდიდეს საეპრო ცენტრად. პტოლემაიოსები არაფერს ზოგადნენ იმისთვის, რომ ალექსანდრია ელინისტური სამყაროს ცენტრიც გამხდარიყო. ალექსანდრიაში

შეიქმნა ბიბლიოთეკა, რომლის დამაარსებლებმა მიზნად დაისახეს, თავი მოყვარათ ბერძენთა ლიტერატურული მემკვიდრეობისათვის, ეგვიპტის მეფეთა თანადგომითა და მატერიალური უზრუნველყოფით ალექსანდრიის ბიბლიოთეკაში შეგროვდა ბერძენული პოეზიისა და პროზის ძეგლთა საუკეთესო ხელნაწერები. ბიბლიოთეკაში მომუშავენი დიდი ენთუზიაზმითა და თავდაუზოგველობით აწესრიგებდნენ ამ ხელნაწერებს. ხელნაწერთა შესასწავლად იწვევდნენ გამოჩენილ მეცნიერებს, რომლებიც ახდენდნენ მათ კლასიფიკაციას დარგებისა და მწერლების მიხედვით და არყვევდნენ ანონიმური ძეგლების ავტორთა საკითხს, ერთი სიტყვით, ასრულებდნენ ისტორიულ-ფილოლოგიურ სამუშაოს.

და, ალბათ, გასაკვირი არცაა, რომ აქ, ამ გარემოში წარმოშვა დისკიპლინა, რომელსაც სწორედ ასე ეწოდა: ფილოლოგია, ანუ „სიტყვის სიყვარული“.

III საუკუნიდან ალექსანდრია ისეთ კულტურულ და სამეცნიერო ცენტრად იქცა, რომელთან მეტოქეობა ათენსა და რომისაც კი უშიორდა. ლიტერატურის კლასიკური ნიმუშების გამოცემისა და კომენტირების საჭიროებამ მძღავრი ბიძგი მისცა ენათმეცნიერების განვითარებას.

ამ სკოლის წარმომადგენლები იყვნენ გამოჩენილი ფილოლოგ-მეცნიერები: **ზენოდოტე ეფესელი** (დაახლ. 325-260) — პომეროსის პოეტების პირველი შემსწავლელი, ამ პოემათა 24-24 სიმღერად დამყოფი, ართონისა და ნაცვალსახელის გამმიჯვნელი, ორობითი რიცხვის ფორმების აღმომჩენი; **კალიმაქე კვირინელი** (დაახლ. 315-240) — სტრაბონის შეფასებით, „ერთსა და იმავე დროს პოეტიცა და გრამატიკოსიც“; **ერატოსთენე კვირინელი** (დაახლ. 284-200) — მეცნიერული გეოგრაფიისა და ქრონოლოგიის მამამთავარი; **არისტოფანე ბიზანტიონელი** (დაახლ. 257-180) — ენის, ლიტერატურისა და ტექსტუალური კრიტიკის მკლევარი, პროსოცენტული მახვილისა და ფშვინვის ნიშნების შემომღები; **არისტარქე სამოთხრაკიელი** (დაახლ. 217-145) — ფილოლოგოს-კრიტიკოსი. სწორედ არისტარქემ განასხვავა მეტყველების რვა ნაწილი, რომელიც მისმა მოსწავლემ დიონისიოს თრაქიელმა იმავე რაოდენობითა და თანმიმდევრობით შეიტანა თავის გრამატიკაში. ამ ფილოლოგთა შრომებს ჩვენამდე არ მოუღწევია. ინფორმაცია, რაც

¹ ს. კაუჩი შვალი, ბერძენული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, თბ., 1950, გვ. 243-247; И. М., Троицкий, История античной литературы, М., 1983, გვ. 191-194; Lexikon der Antike, VEB Bibliographisches Institut, Leipzig, 1984, გვ. 25-26.

მოგვეპოვება ალექსანდრიელ სწავლულთა შესახებ, ამოკრეფილია ჰომეროსის სქოლიობებიდან.

რიტორი და გრამატიკოსი, დიონისიოს ტერესის (Τήρης) ძე (170-90), წარმოშობით თრაკიიდან იყო, მისი მეტსახელი თრაკიელიც აქედან მომდინარეობს. ალექსანდრიაში განათლების მიღების შემდეგ დიონისიოსი გადასახლებულა როდოსზე. არისტარქეს სკოლაში მისი მოღვაწეობის პერიოდიდან ჰომეროსის ტექსტის განმარტებების მცირე ნაწილია მოღწეული. მთლიანადაა შემორჩენილი თრაკიელის „გრამატიკის ხელოვნება“¹. ეს გრამატიკა გამოცემულია: Dionysii Thracis Ars Grammatica. Edidit Gustavus Uhlig, Lipsiae, 1883.

ცნობილია, რომ ანტიკურ პერიოდში ენის თეორია წარმოშვა არა ენის ცალკეულ საკითხთა, არამედ ერთ-ერთი ძირითადი ფილოსოფიური პრობლემის — საგნისა და სახელის ურთიერთმიმართების კლევის შედეგად. ფილოსოფოსებს აინტერესებდათ: არის თუ არა ენა კეშმარიტების წვდომის იარაღი; რა კავშირშია ერთმანეთთან საგანი, აზრი მის შესახებ და ამ აზრის გამომარტეველი სიტყვა. ისინი ენობრივ მოვლენებს ამ კუთხით იხილავენ. მიუხედავად ამისა, საკმაოდ მნიშვნელოვანია ის მონაპოვარი, რომელსაც ფილოსოფოსთა შრომებში ვპოულობთ ენობრივ მოვლენათა ზოგადი თეორიებისა და ცალკეულ კონკრეტულ საკითხთა განმარტებების სახით².

ამდენად, დიონისიოს თრაკიელის გრამატიკით, ფაქტიურად, იწყება გრამატიკული მეცნიერების ისტორია და ეს მონაპოვარი, რომელიც წარმოადგენს წინანააზრების შეჯამებას, არის ელინისტური პერიოდის კუთვნილება.

დიონისიოს თრაკიელის ამ პატარა მოცულობის თხზულებამ არაჩვეულებრივი პოპულარობა მოიპოვა. Tέχνη·γραμματική ითარებმნა მრავალ ენაზე, დაიწერა კომენტარები, ანუ სქოლიოები, როგორც შუა საუკუნეებში უწოდებდნენ. დიონისიოს თრაკიელის გრამატიკის სქოლიოთა ხელნაწერების სამი კოლექცია არსებობს: ვატიკანური (Scholia Vaticana), ვენეციური (Scholia Marciana) და

¹ Suidae, Lexikon Graece et Latine, Halis et Brunsvigae, 1853, გვ. 105; Δημητρίου Μουκάνου, 'Ο 'Αλεξανδρίνος Γραμματικός Δισούσιος ὁ Θραξ ('Ανάτυπον ἐκ τοῦ 46-ou Τόμου τῶν "Θρακικῶν"), Αθῆναι, 1972, გვ. 12; Pfeiffer R. Geschichte der klassischen Philologie, 1970, გვ. 322-323.

² პერიოდული ლინგვისტური ძირითადი გამოიყოფა: ფილოსოფიური და გრამატიკული. ორივე პერიოდი მრავალ წიგნშია განხილული. ჩვენ ამ საკითხს დაწვრილებით აზ შევეხებით.

ლონდონური (Londinensis). როგორც ამ სქოლითა გამომცემელი პილგარდი აღნიშნავს, „Scholia“ კომპილაციური ხასიათის ნაშრომია და თითოეული სქოლიო, ანუ კომენტარი ემყარება გრამატიკებს, რომლებიც ან სრულად არ შემორჩენილა, ან საერთოდ დაქარგულია. ამ სქოლითა აეტორები არიან: მელამპოდე, დიომედე, გიორგი, ჰელიოდორე, სტეფანე, პორფირე და სხვები. ხშირად მელამპოდე-დიომედეს ერთად მოიხსენიებენ, რადგან ის, რაც მელამპოდეს სახელს ატარებს, სხვა ხელნაწერებში დიომედეს მიეწერება. ასევე ფიქრობენ, რომ ჰელიოდორე იგივე გიორგია.

დიონისიოს თრაკიელის სომერ სქოლისტთა კომენტარები, ბიზანტიურ წყაროებთან შედარებით, განხილულია სომეხი მეცნიერის 6. ადონცის მიერ 1915 წელს გამოცემულ წიგნში Дионисий Тракийский и армянские толкователи.

მიუხედავად იმისა, რომ დღეს ენათმეცნიერება მრავალ საკითხს განსხვავებულად სვამს და განიხილავს, დიონისიოს თრაკიელის „გრამატიკის ხელოვნებას“ და ამ თხზულების სქოლიობს არც საზოგადოდ და არც ქართული სინამდვილისათვის არ დაუკარგავს მნიშვნელობა, რადგან ხშირ შემთხვევაში სწორედ დიონისიოს თრაკიელის გრამატიკა და მისი კომენტარები გვაძლევს გასაღებს ძველი ქართული გრამატიკული აზრის მართებულად გასაგებად და მისი ისტორიის გზის საჩვენებლად. ამ იმცანის განხორციელება წარმოუდგენელია თეხური გრამმატიკური ზედმიწევნითი ცოდნის გარეშე, ამ გრამატიკის ტექსტის ცოდნა კი — მისი განმარტებებისა და კომენტარების გარეშე. იმისთვის, რომ ყველა დაინტერესებულ პირს შეეძლოს უშუალოდ ტექსტის გაცნობა, უპირველეს საქმედ მივიჩნიეთ „გრამატიკის ხელოვნების“ თარგმნა ქართულ ენაზე, სათანადო კომენტარების დართვით, ბერძნულ ენაზე არსებული სქოლიობის შეძლებისდაგვარად სრული გათვალისწინებით.

ბევრი კითხვირეთ იმაზე, თუ რა თანმიმდევრობით დაგველავებინა განსახილველი მასალა და, მიუხედავად იმისა, რომ დღეისათვის შეუძლებელია თუნდაც რამდენადმე ამომწურავი სურათის წარმოდგენა, მაინც ქრისტოლოგიური პრინციპი ვარჩიეთ, როგორც ერთი ზოგადი ჩარჩო, რომელიც თანდათან უნდა შეივსოს და რომელშიც აღვილად იპოვის თავის აღვილს ყოველი ახალი წყარო თუ ახალი მიგნება. შრომის პირველი ნაწილი კი დავუთმეთ დიონისიოს თრაკიელის „გრამატიკის ხელოვნების“ ტექსტის ანალიზს,

¹ Scholia in Dionysii Thracis Artem Grammaticam, ed. Hilgard. L. 1901.

რათა იმთავითვე გვეწვენებინა საკითხთა ის წრე, რომელსაც
დიონისიოს თრაქიელის გრამატიკა მოიცავს და რომელიც მომდევ-
ნო საუკუნეების სქოლიასტთა დაწერილებითი განსჯის საგნად იქ-
ცია. ეს, თავის მხრივ, გვიადვილებს ძელ ქართულ მასალაზე მსჯე-
ლობას და ყოველი კონკრეტული ფაქტისათვის ადგილის განსა-
ზღვრას ბერძნულ-ქართული გრამატიკული აზროვნების განვითარე-
ბის ზოგად ისტორიაში.

..

აქვე ულრჩეს მადლობას კუთხით ქ-ნ ნელი მახარაძეს, რომლის
უშუალო ხელმძღვანელობითაც შეიქმნა ჩვენი ნაშრომი. ასევე —
ყველას, ვინც ამ საკითხებზე მუშაობისას რჩევა-დარიგებებით გვეხმა-
რებოდა: ქ-ნ თინათინ ყაუჩჩიშვილს. ქალბატონმა თინათინმა ჩვენი
თარგმანი დაწერილებით შეადარა ტეხურ ყრამათურე-ს ტექსტს,
ბ-ნ თედო უთურგაიძეს, ქ-ნ დამანა მელიქიშვილს, ქ-ნ მაია მაჭაგა-
რიანს. აქვე მადლიერების გრძნობით მოვიხსენიებთ ჩვენი წიგნის
ერთ-ერთ რეცენზენტს, აწ გარდაცვლილ ბ-ნ რომან მიმინოშვილს.

მადლობას კუთხით ბ-ნ რისმაგ გორდეზიანს, რომლის ინიცი-
ატივითა და მხარდაჭერით ჩვენი წიგნი გამოსცა კლასიკური ფი-
ლოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტთან
არსებულმა საგამომცემლო პროგრამა „ლოგოსში“.

აირვალი თავი

დიონისიოს თრაკიელის „გრამატიკის ზელოვნება“

დიონისიოს თრაკიელის გრამატიკა კომპოზიციურად ცხრა ნაწილად იყოფა: პირველში განსაზღვრულია გრამატიკის მიზანი და ამოცანები (Περὶ γραμματικῆς), მეორე ნაწილი სახელსა და მის კარტონიებს ეხება (Περὶ ὀνόματος), მესამე ნაწილში განხილულია ზმნა (Περὶ ῥήματος), მეოთხეში — მიმღეობა (Περὶ μετοχῆς), მეხუთე ნაწილი ართრონს ეხება (Περὶ ἄρθρου) მეექვსე — ნაცვალსახელს (Περὶ ἀντωνυμίας), მეშვიდე ნაწილში წინდებულია განხილული (Περὶ προθέσεως), მერვე ნაწილი ზმნიზედას ეხება (Περὶ ἐπιφρήματος), მეცხრე — კავშირს (Περὶ συνδέσμου).

მთელი მასალა მოცემულია ოც თავში.

სინტაქსის საკითხები დიონისიოსის გრამატიკაში არ არის როგორც ცნობილია, პირველი მეცნიერული სინტაქსი (περὶ συντάξεως „სინტაქსის შესახებ“) ეკუთვნის II საუკუნეში მოღვაწე ცნობილ გრამატიკოსს — აპოლონიოს დისკოლოსს.

დიონისიოს თრაკიელის თხზულება იწყება გრამატიკის დეფინიციით: „გრამატიკა არის გამოცდილებითი ცოდნა (ემპირია) პოეტებისა და პროზაიკოსების ჩვეულებრივ გამონათქვამთა შესახებ“.

თუ რას გულისხმობდა თრაკიელი პოეტებისა და პროზაიკოსების ჩვეულებრივ გამონათქვამებში, რაც გრამატიკის შესწავლის საგანი ყოფილა, კარგად ჩანს დიონისიოს თრაკიელის გრამატიკის კომენტარებიდან, რომ გრამატიკაში არ განიხილება გაუგებარი, ბუნდოვანი მეტყველება.

ამას მოსდევს გრამატიკის ნაწილების ჩამოთვლა.

გრამატიკა დაყოფილია „ნაწილებად“ და არა „სახეებად“ — ეს

¹ ი. ჭოტენტარი: §1, 1.

ცალკე მსჯელობის საგანია კომენტატორებთან. „ნაწილი“ განსხვავდება „სახისაგან“. მათი მსჯელობით, სახე დამოუკიდებელია, სრულყოფილია, ხოლო ნაწილი არ არის სრული, იგი მთელის ნაკვეთია და, ამდენად, გრამატიკის რომელიმე ნაწილის არმცოდნეს გრამატიკისი არ ჰქვია!

დოონისიოს თრაქეილის განსაზღვრებით, გრამატიკა მხოლოდ ენის პრობლემებს არ მოიცავს. აქ გრამატიკა ფართო გაგებით იგულისხმება. მისი კვლევის საგანს სამწერლო ენა წარმოადგენს. მაშინ, როდესაც თავდაპირებელიც ტერმინი „გრამატიკა“ ოღნიშნავდა სწავლებას ბერძნულ ენაში არსებული ბეგერებისა და მათი ნიშნების შესახებ; არსებითად, გულისხმობდა წერა-კითხვის სწავლებას. შემონახულია ნაწყვეტები კალიას „გრამატიკული ტრაგედიიდან“ (ძვ.წ. აღ. IV ს. დასაწყისი), სადაც „გუნდი“ ბერძნული ანბანის ოცდაოთხ ასოს განასახიერებდა, ბეგერებისაგან ადგენდა მარცვლებს და ასრულებდა გუნდურ სიმღერებს ამ ტიპის ტექსტით: ბეტა-ალ-ფა-ბა, ბეტა-ეტა-ბე და ა.შ.

მოსწავლეს მოეთხოვებოდა სიტყვის სწორად დამარცვლა, მარცვლის დაშლა ასო-ბეგერებად. ამასთან, ყურადღება ექცეოდა იმასც, რომელი ბეგერა რომელს ეხამებოდა².

ალექსანდრიულ პერიოდში, საერთო ბერძნული სალიტერატურო ენის ჩამოყალიბებისა და ინტენსიური ფილოლოგიური კვლევა-ძების ხანაში, შეუდარებლად გაფართოვდა გრამატიკის შინაარსი, მისი მიზანი და ამოცანები. ტერმინი „გრამატიკის ხელოფნება“, კლასიკურ ეპოქაში კითხვისა და წერის ხელოვნების აღმნიშვნელი, ალექსანდრიელმა მეცნიერებმა ლიტერატურული ძეგლების ფილოლოგიური დამუშავების აღსანიშნავად გამოიყენეს. აქედან მომდინარეობს ელემენტარული გრამატიკის — კითხვისა და წერის სწავლების — განსხვავება უმაღლესი („სრულქმნილი“) გრამატიკისაგან — პოეტთა და პროზაიკოსთა ნაწარმოებების განმარტებისა და კრიტიკისაგან. „კრიტიკის“ ცნებაში, რომელიც დიონისიოსის განსაზღვრებით, ყველაზე მშვენიერია ამ ხელოვნებაში, იგულისხმებოდა ტექსტის კრიტიკაც, ნაწარმოების დედნის დადგენაც, მათი ესთეტიკური შეფასებაც.

¹ იხ. კომენტატორი: §1, 2.

² Античные теории языка и стиля, Под ред. О. М. Фрейденберг (сборник текстов со вступл. статьями И. М. Тронского и С. В. Меликовой-Толстой), Л., 1936, гл. 10-11.

დიონისიოს თრაკიელის განსაზღვრების საგანს წარმოადგენს სწორედ ეს „უმაღლესი“ გრამატიკა.

გრამატიკის განმარტების შემდეგ აფრორი საგანგებოდ მსჯელობს კითხვის წესების ცოდნის აუცილებლობის შესახებ, რადგანაც, მისი აზრით, მართლერითხვისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს გამოთქმას, პროსოლიასა და განყოფის ნიშნებს, ვინაიდან „გამოთქმით წარმოვაჩინთ ლირსებას, პროსოლიით — დახელოვნებას, ხოლო განყოფის ნიშნებით — მასში მოცემულ აზრს“. აქვეა განხილული, როგორ, რა ტონალობით უნდა წავიყითხოთ ამა თუ იმ უარის თხზულება. მაგალითად, ტრაგედია — ამაღლებულად, კომედია — ცხოვრებისეულად და ა. შ.

სქოლიასტები განიხილავენ ამ ფრაზებს და იქვე კომედია, ტრაგედია და ელევია სიტყვების ეტიმოლოგიაზეც მსჯელობენ.

მახვილის შესახებ თრაკიელი მსჯელობს მესამე თავში, რომელსაც „ტონის შესახებ“ ჰქვია. აქ გარჩეულია მახვილის სამი სახეობა.

მეოთხე თავი ხახვენ ნიშნებს ეხება: აქ განხილულია წერტილი, შუა წერტილი, (იგულისხმება წერტილი ზემოთ [·], რომელიც უდრის ჩვენს ორწერტილს და წერტილ-მძიმეს), ქვემოწერტილი, ანუ მძიმე. განხილულია განსხვავება ამა თუ იმ სასვენი ნიშნის გამოყენებაში.

როგორც ვნედავთ, დიონისიოსი სასვენი ნიშნების ვარიაციებს ქმნის ერთი ძირითადი ნიშნით — წერტილით.

რამდენადმე გაუგებარია „გრამატიკის ხელოვნებაში“ მეხუთე თავის არსებობა, რომელსაც ეწოდება „რაფსოდის შესახებ“ (Περὶ Ῥᾳψιδίας). იგი, თრაკიელის განსაზღვრებით, არის „პოემის ნაწილი, გარკვეული შინაარსის შემცველი“. ეს თავი, არსებითად, ერთი სიტყვის სავარაულო ეტიმოლოგიას ეხება. „რაფსოდია წარმომდგარია სიტყვისაგან რაბდოლია (φαβθωδία). დაფნის რტოთი ხელში მღეროდნენ პომეროსის პოემებს“.

ბერძნული სქოლიოებიდან შეიძლება ვიგარაულოთ, რომ დიონისიოსის შრომის ერთ-ერთ ვარიანტში რაფსოდია სიტყვის ორგვარი ეტიმოლოგია იყო მოცემული, რადგან სქოლიასტები რაფსოდია სიტყვის სხვაგვარ ეტიმოლოგიაზეც მსჯელობენ და წერენ, ამას თრაკიელი ამბობსო.

მეექსე თავთან დაკავშირებით საჭიროა შევნიშნოთ, რომ, თუმცა მას ხტომნებონის შესახებ ეწოდება, მსჯელობა ძირითად

¹ ახ. კომუნტარი: წ5, 1.

ტექსტში მთლიანად „გრამმა“-ს, ანუ ასოებს ეხება, ორი შემთხვევის გარდა, რასაც თავისი ახსნა აქვს. პირველი ფრაზა, სადაც „სტომენონი“ იხსენიება, ასეთია: „მათ (ასოებს) ელემენტებიც (სტომენონები) ეწოდება“. თუ რატომ ეწოდება სტომენონი, ეს საკითხი სერიოზულ კომენტარს საჭიროებს, რაშიც ძველ ქართულ მასალას მნიშვნელოვანი სინათლე შეაქვს. რა იგულისხმება ელემენტში (στοιχεῖον) — როგორც გრამმატიკულ ტერმინში და როთი განსხვავდება იგი ასოსაგან — ამ საკითხებზე სპეციალური წერილი აქვს ნელი მახარაძეს¹:

თანამედროვე ლინგვისტურ ლიტერატურაში მიღებული თვალ-საზრისით, στοιχεῖον-ი არის ბერა². ამ იზრს განამტკიცებს სხვა ენათა მონაცემებიც, სადაც ტერმინებს ყრამა და στοιχεῖონ, იმის მიუხედავად, რომ მათი მნიშვნელობა ხშირად ემთხვევა, როგორც წესი, განსხვავდებული სიტყვებით გადმოსცემენ.

6. მახარაძე განიჩილავს στοιχεῖონ-ის მნიშვნელობებს ქართული მასალის მიხედვით, რომელიც თავმოყრილია თ. ცეიტიშვილის საე-ციალურ ნარკვეში: „ერთი ფილოსოფიური ცნების აღმნიშვნელი ტერმინებისათვის ძველ ქართულში“³.

სτοιχεῖონ-ი, უპირველესად, ფილოსოფიური ტერმინია და მისი უძველესი ექვივალენტი წეხი (VIII-IXს.ს) აღნიშნავს წერიგად გაგებულ ელემენტს, სტიქონის, (წესთა ამის სოფლისათა — კათა თა სტიქეა თუ კისმის).

X საუკუნიდან წეხი სტიქეიონ-ის შესატყვისად თითქმის არ გვხვდება და უკვე ვრცელდება ტერმინი ნივთი. იგივე სიტყვა გადმოსცემს ბერძნულ ტერმინებს: შალ (ნივთი), იუსია (არსი), უპარქის (ყოფნა, არსებობა).

ამავე წერილში ბერძნული სტიქეიონ-ის სხვა ქართული შესატყვისებიცაა დასახელებული: აგებულება, რომელობა, ბუნება, ძალი, ახო. გვხვდება აგრეთვე თვით ბერძნული სიტყვა — სტუქიონ, სტუქო, სტუქიო.

ითანა პეტრიშვილი (XI-XII ს.ს.) შემოაქვს სრულიად ახალი ტერმინი სტიქეიონ-ისათვის — სპარსული წარმოშობის სიტყვა კავშირი.

¹ Н. Махарадзе, Грамматический аспект понимания терминов γράμμα, φωνή, στοιχεῖον в древнегрузинской традиции — მოხსენება, წევითხული ბიზანტინისთა მე-16 კონგრესის მუდაპეშტში 1988 წელს (ხელნაწერი).

² И. К. Дворецкий, Древнегреческо-русский словарь, М., 1958.

³ თ. ცეიტიშვილი, ერთი ფილოსოფიური ცნების აღმნიშვნელი ტერმინებისათვის ძველ ქართულში, არეოპაგიტული ძიებანი, თბ., 1986, გვ. 111-139.



ჩამოთვლილ ტერმინთაგან ნ. მახარაძის ყურადღებას იპყრობს. ასეთ რომელიც ძველ ქართულში, ძირითადად, აღნიშნავდა ადამიანის, ფრინველისა თუ ცხოველის სხეულის ნაწილებს, საერთოდ, ორგანიზმს (მრ. რ. ახლიანი). ბერძნულ ტექსტებშიც ეს სიტყვა, ძირითადად, შეესატყვისება ბერძნულ სიტყვებს: მელის (სხეულის ნაწილი) და სამრთის (ნაწილი, ორგანო) და, რაც მთავარია, იგი ექვივალენტია ბერძნული სტილისათვის უკვე VIII-IX საუკუნეების ტექსტებში.

სიტყვა ახო, სპეციალისტების აზრით, არაქართული წარმოშობისა უნდა იყოს. იგი ერთდროულად ჩნდება როგორც თარგმნილ, ასევე ორიგინალურ თხზულებებში (ჩანს მისი ხშირი გამოყენება VIII-IX საუკუნეების მეტყველებაში). გრამატიკულ ახოს (ბუკვა) ძველ ქართულში გამოხატავს სიტყვა წიგნი (ბერძნული სურაული) ან წერილი (სიტყვისაგან „წერა“), რომელიც შეესატყვისება ბერძნულ გრამმას (ბუკვა)¹.

ბგერა საერთოქართველური სიტყვაა, და შეესატყვისება ბერძნულ ფიტყვის (ხმოვანი ბგერა, მეტყველება), ჭირი (ხმაური ხმა), ჭური (დანაწევრებული ბგერა, ხმა). ეს იმის ნიშნავს, — ასკვნის ნ. მახარაძე, — რომ ქართველისათვის სტილის-ი არ ნიშნავდა არც ბგერას და არც გრამატიკულ ასოს, არამედ ნიშნავდა ასოს, როგორც მთელის ნაწილს. ეს შეიძლებოდა ყოფილიყო წინადადების ნაწილიც, სიტყვის ნაწილიც და წიგნის ნაწილიც; საზოგადოდ იმის ნაწილი, რაც „მთელად“ იგარაუდებოდა და რაც აზრის, შინაარსის გამომხატველი შეიძლებოდა ყოფილიყო განსაზღვრული სისრულით. ძველი ქართული შეესატყვისები სტილის-ისა ნათელს ხდის მელამპოდეს განმარტებასაც: „დიონისიოსმა სტილის-ი უწოდა იმიტომ, რომ მათ აქვთ რიგი (სტილი) და წყობა (ტაξი) და, თუ ისინი წყობის გარეშე არიან (აუ კათა ტაξი), მაშინ მათ გრამმათა ეწოდებათ და არა სტილის-ი“. თავისი აზრის დასამტკიცებლად მელამპოდეს მოჰყავს მაგალითი პრის და ამბობს: „ელემენტები (სტილი) ქმნიან ამ სიტყვას, მაგრამ, თუ გადავანაცვლებთ და ვოტყვით რის, ისინი ასოები იქნებიან იმდენად, რამდენადაც მათ აღარ ექნებათ წყობათ“².

ე. ი. გრამატიკულ ლიტერატურაში ისევე, როგორც ანტიკურ ფილოსოფიაში, რომელიც აღექსანდრიული სკოლის გრამატიკული მოძღვრების საფუძველია, სიტყვა სტილის-ი აღნიშნავდა აზრის,

¹ ქართული წერა ისევე, როგორც ბერძნული გრძხა, პარეკლად აღნიშნავდა „ამოქაწერას“, „ამოწერას“ და ა. შ.

² Scholia..., გვ. 197.

მნიშვნელობის მქონე მთელის ნაწილს. ამდენად, იგი ბერძნული და ასოც (буква)¹.

„გრამატიკის ხელოვნების“ მექენე თავში განხილულია ბერძნული ასოები და ბერძნები, მათი რაოდენობა, ხმოვანთა სივრცე-სიმოკლე, დიფთონგები, მოცემულია თანხმოვანთა კლასიფიკაცია.

თანამედროვე ტერმინით, სამეულები თრაკიელთან ასეა დალაგებული:

უფშვინგო (ψιλά) : κ π τ

ფშვინგიერი (δασέα): θ φ χ

შუალედური (μέσα): β γ δ

შუალედური ეწოდება იმიტომ, რომ უფშვინგოზე (მკვეთრზე) უფრო ფშვინგიერები არიან და ფშვინგიერზე უფრო მკვეთრები. მაგალითად, β შუალედურია π-სა და φ-სი, αსევე γ შუალედურია κ-სა და χ-სი და δ — θ-სა და τ-სი².

ფშვინგიერებისა და მკვეთრების დაპირისპირება მაგალითებზეა განხილული².

საენათმეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრებულია თვალსაზრისი, რომ დიონისიოსის გრამატიკაში არაა გამიჭნული ასო და ბერძა. ეს საკითხი უშუალოდ დიონისიოსის სქოლიოების საფუძველზე სპეციალურად შეისწავლა ნ. მახარაძემ და ცხადყო, რომ თეχνური გრამატიკა-ს კომენტარებში „უხვად მოიპოვება იმის დამადასტურებელი ფაქტები, მსჯელობანი და მტკიცებები, რომლებიც ნათელყოფენ, რომ ბერძნები არამც თუ განასხვავებდნენ ასოს და ბერძას, არამედ თითქმის თანამედროვე ფონეტიკის დონეზე განიხილავდნენ ამ პრობლემას“³.

მეშვიდე-მეათე თავებში გრძელ, მოკლე და საზიარო მარცვლებზეა მსჯელობა. საზიარო მარცვლები სალექსო საზომებით შექმნილი მარცვლებია.

საზიარო მარცვალი სამი სახისაა: როცა იგი ერთი გრძელი ხმოვნით ბოლოვდება და მომდევნო კი ხმოვნით დაწყებულია, მაგალითად,

¹ Н. Махарадзе, Грамматический аспект понимания терминов γράμμα, φωνή, στοιχεῖον в древнегрузинской традиции...

² იბ. კომენტარი: წბ, 6.

³ ნ. მახარაძე, „განასხვავებდნენ თუ არა ძველი ბერძენი გრძელი ფონეტიკის სის და ბერძას“, თბილისის უცხოურ ენათა სახელმწიფო იმსტიტუტის სამეცნიერო კონფერენციის — „ფონეტიკა და ნორმა“ 96 — თეზისები, თბ., 1996 წ.

„Οὐ τί μοι αἰτή ἔσσι θεοί νύ μοι αἴποι εἰσιν“ [Γ164].

— u u | — uu | — u u | — u u | — uu | — u
 ↑ ↑ ↑ ↑

ან იმ შემთხვევაში, როცა მოკლე ან დამოკლებულ ხმოვანს მოსდევს ორი თანხმოვანი, რომელთაგან მეორე უცვლელია (άμετάβολον)¹, ხოლო წინა უხმოა (άφωνο), მაგალითად,

„Πάτροκλέ μοι δειλῆ πλεῖστον κεχαρισμένε θυμῷ.“ [Τ 287]

— u u | — — | — u u | — uu | — —
 ↑ ↑

როცა მოკლე გადადის წინადადების სხვა ნაწილში და მომდევნო კი ხმოვნით იწყება, მაგალითად,

„Νέστορα δ' οὐκ ἐλαθεν ίαχὴ πίνοντά περ ἔμπεις“ [Ξ1].

— u u | — u u | — uu | — — | — u u | — u
 ↑

ე. ი. მარცვალი გრძელია ან მოკლე იმის შესაბამისად, თუ რას მოითხოვს სალექსო საზომი, ცხადია, გარკვეული ფონეტიკური წესების დაცვით.

ცნობილია, რომ მეტყველების ნაწილების შესახებ მოძღვრების შექმნა სტოელთა დამსახურებაა. მართალია, არისტოტელესთან გვხვდება მეტყველების ცალკეულ ნაწილთა სახელწოდებანი („Οιομα, Ρήμα, Ἀρθρον, Σύνδεσμος), მაგრამ არისტოტელეს არცერთ ნაშრომში მეტყველების ნაწილებზე ცალკე მსჯელობა არა გვაქვს².

დიოგენე ლაერტელის (IIIს. ახ. წ.) ცნობით, სტოელმა ქრისინემ ხუთი მეტყველების ნაწილი გამოყო: საკუთარი სახელი („Οιομα), საზოგადო სახელი (Προστηγορία), ზმნა (Ρήμα), კავშირი (Σύνδεσμος) და ართრონი („Ἀρθρον“)³.

ტერმინში ართრონი სტოელები გულისხმობდნენ ნაცვალსახელებსაც (ჩვენებითი, კითხვითი, მიმართებითი და განუსაზღვრელობითი) და საკუთრივ ართრონსაც, ხოლო კავშირში საკუთრივ კავშირის გარდა, იგულისხმებოდა წინდებულებიც.

ძვ. წ. აღ-ით II საუკუნეში სტოელმა ანტიპატროს ტარსოს სელმა მეტყველების ხუთ ნაწილს მიუმატა მეექვსე — ზმნიზედა, რომელსაც მან უწოდა მესტრის შეა⁴.

¹ ხცვლელში (άμετάβολον) იგულისხმება λ, μ, ν, ρ თანხმოვნები.

² История лингвистических учений, Древний мир, Л.1980 გვ.160.

³ Scholia..., გვ.174.

⁴ История лингвистических учений, Древний мир, გვ. 190-191.

თრაკიელის გრამატიკაში მოცემულია პირველი სრული სქემა მეტყველების ნაწილებისა. დიონისიოსი იყენებს ტერმინს სიტყვის ნაწილი မარტი თუ არყოს. სიტყვა ამ შემთხვევაში „შინადაღებას“ აღნიშნავს¹, როგორც ცნობილია, წინათ იყო ტერმინი „სიტყვის ნაწილი“, ახლა გვაქვს „მეტყველების ნაწილი“.

თრაკიელის გრამატიკაში მოცემულ მეტყველების ნაწილთა თანმიმდევრობას (სახელი ("Onoma"), ზმნა ("Pήμα), მიმღეობა (Μετοχή), ართორნი ("Αρθρον), ნაცვალსახელი ("Αντωνυμία), წინდებული (Πρόθεστ), ზმნიზედა ("Επίρρημα), შემკვრიელი² ანუ კავშირი (Σύνδεσμος)) ხსნიან და განმარტავენ კომენტატორები³.

მეტყველების ნაწილთა ტრადიციულ კლასიფიკაციაში დატოვებულია ექვსი მეტყველების ნაწილი. მიმღეობა ახლა ცალკე არ გამოიყოფა, ართორნი სახელებთან განიხილება, ზედსართავი სახელი მოგვიანებით გამოიყო ცალკე მეტყველების ნაწილიდ, ასევე — რიცხვითი სახელი, ხოლო შორისდებული რომელმა გრამატიკისებმა დაუმატეს. როგორც ცნობილია, ლათინურში სახელს ნაწევარი არ დაერთვის, ამიტომ ნაწევარი ამოიღეს მეტყველების ნაწილთა კლასიფიკაციიდან და მერევ წევრად შემოიტანეს შორისდებული⁴.

სახელს, რომელიც წინადაღების ბრუნებადი ნაწილია (მერია არყოს პათაკი), ხუთი მდევარი⁵ იქცა: სქესი (γένος), ხახე (εἶδος) ნაკვეთი ((σχῆμα), რიცხვი (άριθμός), ბრუნვა (παშის).

საკითხი სახელისა და საგნის ურთიერთმიმართების შესახებ ყველაზე აქტუალური იყო ანტიკური სამყაროს ფილოსოფოსთათვის: საგნებს სახელები ბრუნებით დაუმჯფიდრდა, თუ პირობით მიაკუთვნეს, რატომ იწოდება ზეცა ზეცად და მიწა — მიწად და არა სხვაგვარად; როგორ დამყარდა კაეშირი სახელის ბეგრით შედგენილობასა და ამ

¹ როგორც ცნობილია, ბერძნული არყოს-ს მრავალი მნიშვნელობა აქვს და მათ შორის იგი აწინადაღებასაც “აღნიშნავს, „სიტყვასაც“ და „მეტყველებასაც“.

² ტერმინ შემკვრიელის შესახებ ის. კომენტარი: §20, 1.

³ ის. კომენტარი: §11, 4.

⁴ ა. ფოცი შვილი, ნარკვები შეტყველების ნაწილთა კლასიფიკაციის ისტორიიდან, თბ., 1960.

⁵ ქართული გრამატიკული ტერმინი მდევარი ზესტი ექვივალენტია ბერძნული პარატომენისა, რაც სამეცნიერო ზმნის ("თან მიჰყები", „მიღლევ") მიმღეობას წარმოადგენს. მდევარი, დღევანდელი საენათმეცნიერო ტერმინოლოგიით, ატევორია, რომელიც ასევე ბერძნული სიტყვაა, ან — აქციდენცია (ლათ. *accidensia*). ეფუძრობთ, სასურველია ალვადგინოთ და დაიამკიდროთ მეცნიერულ მიმოქმედების ისეთი ძვლი ქართველი ტერმინები, რომელიც კარგად გამოიხტევნ მოღლენის არსს. ერთ-ერთ აქც ტერმინად ვთვლით მდევარს. ეს ტერდულია დღეს, რამდენადც ვიცით, ფილოსოფიის ისტორიის ქართველ მკლევართა ნაშრომებშიც შეიმჩნევა.

სახელის მქონე საგანს შორის; საგანთა სახელები ამ სახელთა ბუნებით (ფუსე) განისაზღვრებიან თუ ადამიანთა დაწესებით (ზესე), ე.ი. ნებისმიერად არიან შერქმეულნი, თუ გააზრებულად.

ამ საკითხის კვლევაში ფილოსოფოსები ორ ბანაკად გაიყვნენ: ჰერაკლიტე (540-480) ფიქრობდა, რომ ყოველი სახელი მჭიდრო კავშირშია საგანთან, რომ სახელი ასახავს საგნის ბუნებას ისე, როგორც ჩრდილი საგნებს, სარკე — ჩვენს გამოსახულებას.

დემოკრიტე (460-370), პირიქით, ამტკიცებდა, რომ სახელები საგანთა ბუნებასთან არ არიან შეფარდებულნი, ადამიანთა მიერ არიან დადგენილნი და ჩვევით, ტრადიციით იხმარებიან.

დისკუსია ამ პრობლემის შესახებ აისახა პლატონის ღია ატილე¹. ღიალოვში ორივე შეხედულების წარმომადგენლებია გამოყვანილი. ჰერაკლიტეს მოწაფე, კრატილე, ფუსეს თეორიას უჭერს მხარს, ჰერმოგენი კი — ზესეს-სას. პლატონი მთლიანად არცერთ შეხედულებას არ იზიარებს².

პლატონის შემოძევს ცნება სახელის შემქმნელისა — ონომატო-თეტესის, მისი აზრით, საგნებს სახელს, მართალია, უწესებს ონომათეტესი (ტომათήπის — „სახელმდებელი“), მაგრამ ის სახელდების დროს ითვალისწინებს როგორც საგნის თვისებას, ასევე ბევრა-თა წარმოების ხასიათს, რომლებმაც საგნის სახელი უნდა შეადგინოს. ამდენად, იქმნება გარკვეული სახის კავშირი სახელსა და სა-განს შორის, რაც განსაზღვრავს პირველი სიტყვების ფორმასა და შინაარსს (მაგალითისათვის: ნარნარა ρ (რ) ბევრის წარმოთქმისას, პლატონის აზრით, ენის საარტიკულაციო ბაზისი ისეთსავე რჩევას განიცდის, ისევე მოძრაობს, როგორც, მაგალითად, ρύა ზმნით გადმოცემული შინაარსი: „მდინარება“, „დინება“)².

მთელი ამ მსჯელობიდან გამომდინარე ჩანს, რომ ენის განვითარების პროცესში ადამიანებმა ამ პირველადი სიტყვებისაგან მრავალი ახალი სიტყვა შექმნეს. ამ ახალ სიტყვებში აღარაა შინაგანი კავშირი ბევრასა და საგნის მნიშვნელობას შორის, მაგრამ მას ადამიანთა თაობები ხმარობენ და საზოგადოებრივი ტრადიციითაა განმტკიცებული.

დონისიოს თრაკიელი, როგორც ჩანს, „დადგინების“ (ზესე) თეორიას უჭერს მხარს: როცა ის განიხილავს სახელის ერთ-ერთ

¹ Аنتичные теории языка и стиля, гл. 38-59.

² ა. ქ. გ. 36-37.

მდევარს სახეს, რომლის მიხედვითაც ერთმანეთს უპირისპირდება მარტივი და თხზული ფორმები, წერს: სახე ორგვარია: პირველადი (πρωτότυπον) და ნაწარმოები (παράγωγον). „პირველადია ის, რაც პირველადი დადგინების თანახმად (კათა თუ პრატყუ მესტ) თქმულა, მაგალითად, Γῆ („მიწა“); ნაწარმოებია ის, რაც პირველადისაგან იწარმოება, მაგალითად, Γαუქის („მიწიერი“).“


როგორც სამეცნიერო ლიტერატურაში გარკვეულია, სახელთა ბრუნვის სისტემა სტოელებმა ჩამოაყალიბდა. ბრუნვის აღმნიშვნელი ტერმინი პატარი პირველად არის ტოტელესთან გვხვდება. არის ტოტელეს „პოეტიკის“ მკვლევარი ალფრედ გუდემანი აღნიშნავს, რომ პატარი, როგორც ტერმინი, მანამდე არ დასტურდება. მისივე დასკვნით, არის ტოტელესთან ამ ტერმინს უფრო ფართო მნიშვნელობა აქვს, ვიდრე შემდგომში. პტოზი არის ტოტელესთან არის სიტყვის ყველა ის ფორმა, რომელიც გადახრილია „ნორმალური“ (საწყისი) ფორმებისაგან. ეს ეხება მეტყველების თითქმის ყველა ნაწილს. ეს ტერმინი სტოელებმა იღეს არის ტოტელესაგან და მას სწავ მნიშვნელობა მიანიჭეს. სტოელებთან პატარი გრამატიკული კატეგორიაა, რომელიც დამახასიათებელია მეტყველების ნაწილთაგან მხოლოდ ბრუნვადი სიტყვებისათვის, ე.ი. ამ ტერმინს მათ მასცეს ის მნიშვნელობა, რაც დღესაც აქვს¹.

სტოელები ხუთ ბრუნვას გამოყოფდნენ: ცნობილია, რომ ქრისიპეს ერთ-ერთ ნაშრომს ერქვა „ხუთი ბრუნვის შესახებ“. ხუთწევრიანი ბრუნვათა სისტემა შედგებოდა „პირდაპირი ბრუნვისა“ (ტრი პატარი) და ოთხი „ირიბი ბრუნვისაგან“ (პლაგია პატარები). პირდაპირ ბრუნვას, როგორც მოგვიანებით, აქაც სახელობითი ბრუნვა (ბიომასტიკური პატარი) ერქვა. ირიბ ბრუნვათაგან სამის სახელწოდებას დიოგენე ლაერტელი გვაწვდის. ესენია: ნათესაობითი ბრუნვა (ყენისტიკური პატარი), მიცემითი ბრუნვა (ზიტიკური პატარი) და მიზეზობითი ბრუნვა (აიპასტიკური პატარი)². ჰერონდათ თუ არა გამოყოფილი შეხუთე ბრუნვა სტოელებს, იმ მასალების მიხედვით, რაც თანამედროვე მეცნიერებას გააჩნია მათ შესახებ, მეაფიოდ არ ჩანს.

გერმანელი მეცნიერი შტაინთალი ამტკიცებს, რომ არ შეიძლება სტოელებს მეხუთე ბრუნვად წოდებითი (კლეპიკური) ჰერონდათ,

¹ Alfred Gudeman, Grundriss zur Geschichte der klassischen Philologie, 1909, გვ. 88.

² ტერმინ მიზეზობითი შესახებ ის. მეორე თავი, გვ. 36-37.



რადგან ისინი წოდებითის ფორმას ცალკე განიხილავდნენ, როგორც მიმართვას (პრიσაგირესუსის) ¹.

დიონისიოსმა სტოლებისაგან აიღო ბრუნვათა სახელწოდებები, ბრუნვათა სისტემა, მხოლოდ იგი ამ ბრუნვათა სისტემას არ ჰყოფს „პირდაპირ“ და „ირიბ“ ბრუნვებად.

ბრუნვათა სახელწოდებების ჩამოთვლის შემდეგ დიონისიოსი ისევ სახეზე მსჯელობს და გამოყოფს ოცდაოთხ ჯგუფს, სადაც პირველად საკუთარ სახელებს (კύρიო) ასახელებს და შემდეგ — საზოგადოს (პრისუებულის). სომეხი კომენტატორი, დავითი, ამ ადგილის კომენტარის დროს ეხება პლატონსა და არისტოტელეს მიმდევართა შორის არსებულ დავას. როგორც ცნობილია, ფილოსოფოსებს შორის დავა მიმდინარეობდა იმის თაობაზე, თუ რომელია პირველი: საზოგადო სახელი, როგორც პლატონი ამტკიცებდა, თუ — საკუთარი, არისტოტელეს შეხედულებით. დავითი აღნიშნავს, დიონისიოსი არისტოტელეს მოძღვრებას მიჰყვაო².

ზედსართავი (έπίθετον) ასეა განმარტებული: „ზედსართავი თანაბრად დაერთვის საკუთარსა და საზოგადო სახელებს და გამოხატავს ქებას ან გაეიცხვას.“

დიონისიოსი აქვე განმარტავს ზედსართავ სახელს, ასახელებს ზედსართავი სახელის სამ ჯგუფს და ამ დროს სიტყვის მნიშვნელობას, შინაარსს ითვალისწინებს მხოლოდ. „ზედსართავი სახელი არის სულისმიერი (ἀπὸ ψυχῆς), მაგალითად, კეთილგონიერი, ფიცი; სხეულისმიერი (ἀπὸ σώματος), მაგალითად, სწრაფი, ნელი და მდგომარეობისმიერი (ἀπὸ τῶν ἔκτότ), მაგალითად, მდიდარი, ღარიბი“.

ზედსართავი სახელი, თრაკიელის განმარტებით, გამოხატავს ქებას ან გაეიცხვას. ამ სიტყვათაგან გრამატიკული თვალსაზრისით რომელია „ქება“ და რომელი „გაეიცხვა“, ცნადია, ძნელი სათქმელია. კომენტატორები ამ ადგილს ვრცელ განმარტებებს ურთავენ. ამატებენ ჯგუფებს და არქმევენ შესაბამის სახელწოდებებს. თუმცა ცალკე მეტყველების ნაწილად არც ისინი გამოყოფენ.

ვფიქრობთ, „ქებასა“ და „გაეიცხვაში“ თრაკიელი ვულისხმობს, დადებითი აზრითაა ნახმარი ზედსართავი, თუ უარყოფითით განსამარტავი სახელის მიმართ. მისთვის რომ ამოსავალი შინაარსია, ჩანს ზედსართავი სახელების ჯგუფებად დაყოფის პრინციპიდანაც.

¹ Steintal H., Geschichte der Sprachwissenschaft bei dem Griechen und Römern, Berlin, 1890, გვ. 23.

² Н. Адонц, Дионисий Тракийский..., გვ.XVIII.

არა მარტო ზედსართავის, არამედ საერთოდ სახელებისა ჯგუფები ბად დაყოფის დროს დიონისიოს თრაკიელისათვის იმოსავალია სიტყვის ლექსიკური მნიშვნელობა. სახეთა გამოყოფის საფუძველია სიტყვების შინაარსობრივი დაპირისპირება. მაგალითად, მცენარე ერთ ჯგუფშია, ყურძენი — მეორეში, იმიტომ, რომ ყურძენი მცენარის ერთ-ერთი სახეობაა. ჯგუფს, რომელშიც დასახელებულია „მცენარე“, გვარეობითი (γενικόν) ეწოდება. მეორე ჯგუფს, სადაც „ყურძენს“ ასახელებს სხვა სახელებთან ერთად — სახეობითი (ἰδικόν).

თრაკიელთან სახელი აღმულია, როგორც ერთი მთლიანი ერთეული. მასში არაა გამოყოფილი ფუძე და ბრუნვის ნიშანი.

ზმნას რვა მდევარი აქვს: **კილო** (ჰიკლის), **გვარი** (ბიამესის) სახე (εἶδος), **ნაკვეთი** (σχῆμα), **რიცხვი** (άριθμός) ბირი (πρόσωπον), დრო (χρόνος), **ულლება** (συζητა).

თრაკიელი ხუთ კილოს გამოყოფს, არ განსაზღვრავს თითოეულს და არც მაგალითებს იმოწმებს კილოს ფორმების საილუსტრაციოდ.

გვარისათვის სტოელებს სხვა სახელწოდებები ჰქონდათ: 'օρმე ("პირდაპირი" მოქმედებითი გვარისათვის), პაτია ("შებრუნებული" — ვნებითისათვის), მესთი (საშუალოსათვის). იმ ცნობას ერთ-ერთი კომენტატორი, სტეფანეც, გვაწვდის¹. დიონისიოსი სამ გვარს ასახელებს: მოქმედება (ენერგეთა), ვნება (πάθος), საშუალი (μεσότης). თითოეულის მაგალითსაც იმოწმებს.

მოგვიანებით თრაკიელის ორი ტერმინი ასე შეიცვალა: ენერგეთა (მოქმედება) → ენერგეტიკი (მოქმედებითი), ხოლო πάθος (ვნება) → παθηტიკი (ვნებითი).

სტოელების მსგავსად თრაკიელი სამ დროს გამოყოფს, მხოლოდ განსხვავებული სახელწოდებებით: ახლანდელი (ἐνεστώς), წარსული (παρεληλιθώς), მომავალი (μέλλων). წარსულს აქვს ოთხი სახესხვაობა: ნამყო უსრული (παραταტიკός), ნამყო სრული (παρακείμενος), ნამყო წინარეწარსული (ὑπερσυντέλικος), ნამყო განუსაზღვრელი (άριστος).

თრაკიელისეული ტერმინი წარსული დროისა, παρεლηლιθώς, როგორც სპეციალურ ლიტერატურაშია იღნიშნული, ჯერ კიდევ არისტოტელესთან გვხვდება². სტოელების ასეთი სახელწოდებები

¹ Scholia..., გვ.246.

² История лингвистических учений, Древний мир, გვ.44.

ჰერონდათ: ენესტა (ახლანდელი), παρφχηκόντα (წარსული);
მელიონა (მომავალი).

უდგლილებად დაყოფისას თრაკიელი იღებს თხრობითი კილოს დაბოლოებას. მე-14 თავში, რომელიც ულებას ეხება, განხილულია ბარიტონი, პერისპომენი და მა-ზე დაბოლოებულ ზმნათა ულლება.

შიმლეობა დიონისიოს თრაკიელმა გამოყო მეტყველების ნაწილი. სახელწოდება მეთხზე მან სტოელებისაგან აიღო.

როგორც აღვნიშნეთ, სტოელები ართრონში ნაცვალსახელებსაც გულისხმობდნენ. ართრონისა და ნაცვალსახელების გამოცალცალკევება ალექსანდრიელ მეცნიერთა დამსახურებაა. თრაკიელი ართრონის შესახებ მე-16 თავში მსჯელობს, ნაცვალსახელის შესახებ კი — მე-17 თავში. მე-12 თავში, რომელიც სახელებსა და მის კატეგორიებს ეხება, განხილულია კითხვითი, განუსაზღვრელობითი და მიმართებითი ნაცვალსახელები, აქ კი მხოლოდ პირისა და კუთვნილებით ნაცვალსახელებს ეხება.

წინდებული სულ თვრამეტია, ამათგან ერთმარცვლიანია ექვსი, ორმარცვლიანი — თორმეტი.

სტოელები ზმნიზედის აღსანიშნავად ხმარობდნენ ტერმინს მესტუს. დიონისიოსმა იგი შეცვალა, ხოლო ეს ტერმინი დატოვა ზმნიზედის ერთ-ერთი ჯგუფის აღსანიშნავად. ოპირეული (ზმნიზედა) დიონისოს თრაკიელის ტერმინია. მე-19 თავში ჩამოთვლილია ზმნიზედის ოცდაექვსი ჯგუფი.

ბოლო, მეოცე, თავი შემკვრელს ანუ კაგშირს ეხება.

შემკვრელის განსაზღვრების შემდეგ დიონისიოსი ჩამოთვლის მის სახეებს და განსაზღვრავს თითოეულს ცალ-ცალკე.

სწორად მოიქცა თრაკიელი, რომ შემკვრელი ბოლოს მოათავსაო, — წერს დავითი, — მას შემდეგ, რაც დიონისიოსმა განიხილა წინადაღების სხვა ნაწილები: სახელი, ზმნა და ა. შ. საჭიროა მათი შეკვრა, შეერთება¹.

კომენტატორები მსჯელობენ, თუ რა მსგავსება-განსხვავებაა მაერთებელსა და პირობითს, პირობითსა და განპირობებითს შორის, რატომაა ეთი შემკვრელი ორ ჯგუფში და ა. შ.²

¹ Н. А д о н ц , Дионисий Θρакийский..., гл. СХ.

² იხ. კომენტატორები: §20, 2, 3, 4, 5.

დასასრულს, აღვენიშნავთ, რომ ჩვენ არ გვიცდია დიონისიოს თრაკიელის „გრამატიკის ხელოვნება“ განგვეხილა თანამედროვე ლინგვისტურ მიღწევათა შუქშე. ამაზე დიდძალი სამეცნიერო ლიტერატურა არსებობს. ჩვენი მიზანი იყო წარმოგვეწინა ის ფონი, რომელზეც ვითარდებოდა ძველი ქართული გრამატიკული აზროვნება ბერძნულ-ელინისტურთან თუ ბერძნულ-ბიზანტიურთან ხანგრძლივი უშუალო კონტაქტებით. ამისთვის კი, უწინარესად, დიონისიოს თრაკიელისა და მისი განმარტებლების ბერძნული წყაროების შესწავლა იყო აუცილებელი.

მეორე თავი

ქართული გრამატიკული აზროვნების ისტორიის სათავეებთან (XI-XII ს.ს.)

ქართული გრამატიკული აზროვნების ისტორიის სათავედ XI-XII საუკუნეების დასახელება, ცხადია, პირობითია და მხოლოდ იმას გულისხმობს, რომ ჩვენ ჯერჯერობით არ მოგვეპოვება ძველი ქართული რაიმე თეორიული ნაშრომი, რომელიც ამ თარიღს უფრო ადრეულ ხანაში გადაიტანდა. მანამდე არსებული და ჩვენამდე მოღწეული ქართული ლიტერატურული მემკვიდრეობა, ნათარგმნი თუ ორიგინალური, ნათლად მეტყველებს იმ დიდ გამოცდილებასა და ცოდნაზე, რომლის შემადგენელი ნაწილიც არ შეიძლებოდა არ ყოფილიყო გრამატიკა, როგორც მეცნიერება. მაგრამ ვიდრე ხელთ არ გვექნება ამის დამადასტურებელი უშუალო წყარო, ჩვენ ვერ ვიქნებით უფლებამოსილი, ისტორია ავაგოთ მხოლოდ ირიბ წყაროთა მონაცემებზე. დანამდვილებით ის შეგვიძლია ვთქვათ, რომ მთელი ევროპული გრამატიკული აზროვნების საფუძვლად აღიარებული დიონისიოს თრაკიელის „გრამატიკის ხელოვნება“, უშუალოდ თუ კომენტარების გზით, ძველ ქართულ მწერლობაშიც უნდა ყოფილიყო ცნობილი, თუმცა ჩვენამდე ტექსტის სრულ თარგმანს არ მოუღწევია და ისიც გასარკვევია, საზოგადოდ თუ არსებობდა ეს თარგმანი. მაგრამ ის კი მრავალი ფაქტით დასტურდება, რომ ბერძნული გრამატიკული თეორიები ქართველ მწიგნობართათვის უცხო არ იყო და რომ მათი ფილოლოგიური დახელოვნება მოიცავდა ყველა იმ აუცილებელ ცოდნას, რასაც იმდროინდელი ბიზანტიიური განათლების სისტემა გულისხმობდა.

საქართველოს სკოლებში, ჩანს, იცნობდნენ დიონისიოს თრაკიელის „გრამატიკის ხელოვნებას“,— ვარაუდობდა ს. ყაუხჩიშვილი იმ

ფაქტზე დაყრდნობით, რომ X საუკუნეში (ს. ყაუხჩიშვილის თანახმად, VIII საუკუნეში) შედგენილ შატბერდის სასწავლო წიგნში გამოყენებულია დიონისიოსის გრამატიკის სქოლიასტის ნაშრომი და მის მიხედვით დაწერილია თავი ბერძნული ანბანის შესახებ¹.

ბერძნული ქლასიკური ფონეტიკური თეორიის გავლენას ხედავს ე. წ. „სპეციფიკურ“ ქართულ თანხმოვანთა დალაგებაში შკვლევარი ვ. ბედერი, რომლის ნაშრომსაც საგანგებოდ განიხილავს თ. გამყრელიძე წიგნში: „წერის ანბანური სისტემა და ძველი ქართული დამწერლობა“².

ეს იმას ნიშნავს, რომ დიონისოს თრაკიელის „გრამატიკის ხელოვნებას“ ჩვენში იცნობდნენ არამც თუ X (ან თუნდაც VIII) საუკუნეში, არამედ ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც ქართული ანბანის საბოლოო სახე ყალიბდებოდა.

XI-XII საუკუნეების ქართული მეცნიერებისა და კულტურის საერთო დონე განაპირობებდა ქართული გრამატიკული აზროვნების განვითარებასაც. როგორც ცნობილია, საქართველოს მჭიდრო ურთიერთობა იქვს ბიზანტიისთან X საუკუნიდან. სწორედ იმ პერიოდიდან, როცა ბიზანტიიაში თავი იჩინა ძლიერმა კულტურულ-საგანმანათლებლო მოძრაობამ, XI საუკუნეში კი კონსტანტინე მონომაზმა დააირსა მანგანის აქადემია, რომელიც იმ ეპოქის მსოფლიო მოაზროვნეთა სასწავლებელს წარმოადგენდა. როგორც კორნელი მიძღვიდე აღნიშნავს: „კულტურულ-საგანმანათლებლო მოძრაობამ გადმოხეთქა კონსტანტინეპოლისა და საქუთრივ ბიზანტიის საზღვრები და ეგრეთ წოდებული ქრისტიანი „ბარბაროსიებიც“ ჩაითრია და წარიტაცა „ბარბაროსთა“ ცოცხალი, შემოქმედი ძალები. აღმოსავლეთიდან და დასავლეთიდან მიიღო ბიზანტიაში, აქ ეზიარებიან მის კულტურას და საკუთარი წელილი შეაქვთ ამ კულტურის ზრდა-განვითარებაში. ამ საერთო და საყოველთაო მოძრაობასა და გატაცებას საქართველოც უკრ დააღწევდა თავს; თუ მეცნიერე-მეცათე საუკუნეებში ის ბერძნებს უმთავრესად იმპერიის პერიფერიებზე ხვდებოდა, ახლა XI-XII საუკუნეებში, ათონის, პეტრი-

¹ ს. ყაუხჩიშვილი, ბერძნული ლიტერატურის ისტორია, ტ. II, თბ., 1949, გვ. 252; გისივე, შატბერდის კრებულის სასწავლო წიგნი; თბ. საბ. უნივ. მომბეჭ. III, 1923, გვ. 178-184.

² W. Boeder, Zur Analyse des altgeorgischen Alphabets ("Forschung und Lehre". Festgruss Joh. Schröpler 1974. Hamburg. Slavisches Seminar: 17-34); თ. გამყრელი დე. წერის ანბანური სისტემა და ძველი ქართული დამწერლობა, თბ., 1989, გვ. 155-157.

წონის და სხვა მონასტერთა მეოხეობით, შეიტრა პირდაპირ ბიზანტიის კულტურის ცენტრში, სადაც მან საკუთარი თვალით დაინახა ყოფელივე ის, რაც ყველა ქრისტიან ერს აინტერესებდა მაშინ¹.

საბერძნეთში მიღებული განათლება, რა თქმა უნდა, გრამატიკულ ცოდნასაც გულისხმობდა და სწორედ ბერძნული გრამატიკული აზროვნების ზედმიწევნითი თვისება და ამ თვალით ქართულ ენაზე დაკირვება იყო დამახასიათებელი XI-XII საუკუნეების ქართველ მეცნიერთათვის.

როგორც ცნობილია, ეფრემ მცირემ ბერძენ შეიგნობართა მიბაძვით შემოიღო ე. წ. „შეისწავები“, რომელიც თვითონვე ასე განმარტა: „ხოლო შეისწავენი და განსაზღურებად განჩინებითურთ და სამეცნიეროო ესე არა ოდენ ამას წიგნსა, არამედ ყოფელთავე წიგნსა ბერძულთა უწერიან კიდესა, რათა რაუამს სამეცნიეროსა რასმე სიტყუასა ეძიებდეს ვინმე, ადვილად პოვოს და არა უკმდეს მიმყოფებული უამი, ანუ ყოვლისავე გარდაკითხვად“². ეფრემის შემოღებულ სისტემას მისღევნ მისი მოწაფები. „შეისწავეში“ განმარტავდნენ თითოეულ სიტყვას თუ გრამატიკულ ფორმას, რაც მათთვის, ბერძნული ენისა და ბერძნული გრამატიკული მოძღვრების მცოდნე ძველ ქართველ მთარგმნელთათვის, გასაგები იყო, მაგრამ ქართველი მქითხველისათვის მარტივად ახსნას საჭიროებდა.

1937 წელს გამოცემულ წიგნში „ქართული და კავკასიური ენების თავდაპირებული ბუნება და ნათესაობა“ ივანე ჯავახიშვილი წერდა: „მომავალში ხელნაწერების შესწავლამ შესაძლებელია ძველ ქართველ გრამატიკისთა და მთარგმნელების დაკვირვება აღმოაჩინოს კიდევაც და მაშინ ამ საკითხზე მსჯელობა გაადგილდეს, მაგრამ ჯერჯერობით ზურაბ შანშოვანის 1737 წლისა და ანტონ კათალიკოსის 1753 და 1767 წლებზე უწინარესი არც ერთი ქართული გრამატიკული ნაშრომი აღმოჩენილი არ არის. თვით ის ცალკეული დაკვირვებანი, რომელიც ეფთვიმე და გიორგი მთაწმიდლებს, ეფრემ მცირეს, არსენ იყალთოელსა და სხვებს სქოლიობისა და კიდურწერილობის სახით მოეპოვებათ, ჯერ არავის ამოუკრეფია და გამოუქვეყნებია. ამიტომ საგულისხმო საკითხის გასათვალისწინებად, თუ რა თვისებისა და ლირებულებისა იყო ძველ ქართველ

¹ ჟ. დეკემბერ, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, თბ., 1960, გვ. 61-62.

² ქრისტიანი და სხვა მისამა საქართველოს ისტორიისა, შეკრებალა, ქრისტიანული დაწყობილობის, ახსნილი და გამოცემული თ. უორდანიას შეირ, ტფ., 1892, გვ. 217.

მეცნიერთა ქართული და ბერძნული ენების რაბამობის ცოდნა, შემთხვევაში არაფითარი მასალები არ მოგვეპოვება¹.

მას შემდეგ, რა თქმა უნდა, ბევრი რამ შეიცვალა. ის ნაკლი, რაზეც ივანე ჭავახიშვილი მიუთითებდა, ნაწილობრივ შევსებულია. გრამატიკული ხასიათის „შეისწავები“ ძევლი ხელნაწერებიდან გამოიყრითა ზურაბ სარჯველაძემ, თუმცა თვითონვე აღნიშნავს, რომ ეს მასალა ვერ იძოწურავს ძველ ქართველ მეცნიერთა და მთარგმნელთა ნააზრებს².

ეფრემ მცირის გრამატიკული სქოლიონი შეისწავლა დარეჭან თვალთვაძებს³.

რა თქმა უნდა, ჭერ კიდევ საძებნია და მისაკვლევი ჩვენს ლიტერატურულ ძეგლებში დადასტურებული ცალკეული გრამატიკული ხასიათის ცნობები, მაგრამ უკვე გამოიხებული მასალითაც შეიძლება იმის წარმოდგენა, „თუ რა თვისებისა და ღირებულების იყო ძველქართველ მეცნიერთა ქართული და ბერძნული ენების რაბამობის ცოდნა“.

2.1. პირველი სახელი, რომელიც ჩვენ უნდა მოვიხმოთ განსახილველად, არის დიდი მწიგნობარი და ფილოლოგოსი, მრავალი ბერძნული თხზულების ქართულ ენაზე მთარგმნელი და განმმარტებელი, XI საუკუნის ქართულ კულტურულ სამყაროში უდიდესი სახელის მქონე მოღვაწე — ეფრემ მცირე. ამთავითვე შევნიშნავთ, რომ ჩვენ მისი ნააზრევიდან ყურადღებას შევაჩერებთ მხოლოდ იმ მასალაზე, რომელსაც, ჩვენი ფიქრით, დიონისიოს თრაქიელის თხზულებასთან ან მის სქოლიობთან აქვს გარკვეული მიმართება. ამ თვალსაზრისით საინტერესოა ეფრემ მცირის რამდენიმე შენიშვნა:

ა. „ხოლო სამრავლოდ იტყვს სახელსა ქალაქისასა, ვითარებდ ათინანი, რამეთუ ჩუეულებად არს ელლინთა ენისამ, რამთა ოდეს-მე მასვე და ერთსა სამრავლოდ სახელ-სდებს არა ხოლო ადგილსა, გინა კაცსა, არამედ მასვე და ერთსა საქმესა სამრავლოდ თქუმითად⁴.

¹ ი. ჭავახიშვილი, ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი პუნქტი და ნითელობა, თბ., 1937, გვ. 3-4.

² ზ. სარჯველაძე, ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესახვალი, თბ., 1984, გვ. 251.

³ დ. თვალთვაძე, ეფრემ მცირის ლექსიკოგრაფიულ სქოლითა და სულთან საბა ინსტიტუტის ლექსიკონის ურთიერთობისათვის, მაცნე, №3, 1989; მის ვაკე, ეფრემ მცირის გრამატიკული სქოლიონი — მოსსერბა, წარმოსული ბ. ქორმენიძის სახელობის საენათმეცნიერო საუმჯობის სხდომაზე, 1995 (ხელნაწერი).

⁴ ზ. სარჯველაძე, ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესახვალი, გვ. 248.

ეს შენიშვნა, გარდა იმისა, რომ მასში მოცემულია კერძოული გრამატიკული ტერმინი — სამრავლო (ანუ მრავლობითი), საინტერესოა იმითაც, რომ იგი თავისი მაგალითით ჰგავს დიონისიოს თრაკიელის „გრამატიკის ხელოვნების“ ერთ ადგილს, სადაც მსჯელობაა იმის შესახებ, რომ ფორმით მრავლობითი სიტყვა გაღმოსცემს მხოლობითს. მაგალითად დასახელებულია სწორედ 'Αθῆναι, მეტა. შესაძლოა, ბერძნულის მცოდნე ეფრემისათვის ისეც იყო ცნობილი ბერძნულის ეს თვისება, მაგრამ არც ისაა გამორიცხული, რომ ამ „შეისწავეს“ ბერძნული ენის გრამატიკულ კანონებზე დაყრდნობით წერდა.

ბ. „რამეთუ ესე ჩეუულებამ არს ატტიკულთამ, რომელ არიან ათინელნი, რამთა იტყოდინ: „არისტოფანნი“ და „სოკრატინი“ ნაცვალად „არისტოფანისა“ და „სოკრატისა“, ხოლო არიან ვიეთნიმე, რომელნი გონებ იტყვან მათ, რამეთუ იონელთამ არს სახელის-დებამ ესე“.

ეფრემ მცირის ამ „შეისწავეზე“ ზ. სარჯველაძე შენიშნავს, აქ ბერძნულის მრავლობითი რიცხვის წარმოების თავისებურებებზეა საუბარიო¹.

ჩვენი აზრით, აქ სულ სხვა რამეზეა მსჯელობა: თრაკიელის გრამატიკაში არის სახელთა ერთი ჯგუფი, კუთვნილებითი სახელები (κτηπικόν), რომელიც „კუთვნილებას (ფლობას) აღნიშნავს და მინიშნებას მფლობელზე“. აქ დასახელებულია ასეთი შაგალითი: Νηλητίοι ἴπποι და თუმცა იგი ქართულად ასე ითარგმნება: ნელეჭ-სის ცხენები (ნელეჭსისა), მაგრამ ბერძნულში მფლობელი რიცხვშიც და ბრუნვაშიც შეწყობილია კუთვნილ სახელთან; ასევე პლათონის მესამე (პლატონის წიგნი). აქაც ერთ რიცხვსა და ერთ ბრუნვაშია ორივე სახელი. რიცხვს — არც მრავლობითს და არც მხოლობითს — აქ მნიშვნელობა არა აქვს. ამ თავისებურებაზე სქოლიოებშიც ამახვილებენ ყურადღებას. მაშასადამე, ეფრემი მიუთითებს, რომ ეს თავისებურება, კუთვნილებით სახელთა — მფლობელის აღმნიშვნელ სახელთა — შეთანხმება ფლობის ობიექტთან ბრუნვასა და რიცხვში, ატტიკულთა ჩეუულებაა, ხოლო ზოგიერთნი ამას იონიელებს მიაწერენო.

გ. ეფრემ მცირე მის მიერ თარგმნილი „დიალექტიკის“ (A-24) აშიაზე განმარტავს ტერმინს „ლრამმატიკოსი“: „ლრამმა „წერილად“ გაღმოითარგმანების, ხოლო ტიკოსი — „დამადნობელად“, რამთა რა-

¹ ზ. სარჯველაძე, ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალი, გვ. 248.

უამს სთქუა: „ლრამმატიკოსი“, უწყოდე, ვითარმედ დამაღლნობელსა იტყვ წერილთასა. ესე იგი არს, რომელი დაპესნის სიმყურტესა სი-
ტყუათასა. სილრმით შეყინებულთასა“. განმარტება აზლაფს ტექსტში
მოცემულ ფრაზის: „ლრამმატიკოსობად მეცნიერება არს, ხოლო
ლრამმატიკოსი არს არსებად, რომელსა შინა არს მეცნიერებად“ (1vb)¹.

ეფრემის კომენტართან დაკავშირებით ზ. სარგელაძე შენიშ-
ნავს: მიუხედავად იმისა, რომ ბერძნული სიტყვის ეფრემისეული ახ-
სნა არაა სწორი, იგი სწორად განმარტავს გრამატიკის, მწიგ-
ნობრის მნიშვნელობას².

გრამატიკის იყო პირი, რომელსაც შეეძლო, აეხსნა წერილის,
წიგნის (სალიტერატურო ენის) ძნელად გასაგები ადგილები.

საქმე ის არის, — აღნიშნავს ამასთან დაკავშირებით ნ. მახარა-
ძე, — რომ გრამატიკოს სიტყვის ეტიმოლოგიას თვით ეფრემი კი
არ იძლევა, არამედ იმეორებს IX საუკუნის კომენტატორის ვარა-
უდს, რომელიც ემყარება ყრამმათის ფორმის თავისებურ გაეგბას,
კერძოდ: იგი მას შლის სიტყვებად: πηκιν (πήκω „გალლობა“, „გა-
დნობა“) და γράμμα („ასო“). „გრამატიკას უწოდებენ მას ასოთა
გამოწროთობისა (გამოღნობისა) და განწმედის გამო, მსგავსად იმი-
სა, როგორც ცეცხლში გამოღნობილი ოქრო, ანუ ჩამოსხმული, უფ-
რო გაწმენდილია, ასევე ასონი დაშლილი (დანაწევრებულნი), გა-
წმენდილნი და გამობრწყინებულნი გრამატიკის ცოდნით, უფრო
ნათელი და კაშკაშა ჩანან³.

აქედანაც ჩანს, თუ როგორ ზედმიწევნით კარგიდ იცნობდა
ეფრემ მცირე თრაკიელის გრამატიკის სქოლისატთა თხზულებებს.

დ. ეფრემ მცირის იმ „შეისწავებში“, რაც უკვე გამოქვეყნებუ-
ლია, დასტურდება შემდეგი გრამატიკული ტერმინები: ერთობითი,
განმრავლებითი, კითხვის ხასე (კითხვითი წინადადება), არა კი-
თხვის ხასე (არაკითხვითი, ე. ი. თხრობითი წინადადება), ასოს მო-
კუმთა (კვეცა)⁴.

¹ ითან დამისკელი, დიალექტიკა, ქართული თარგმანების ტექსტი
გამოსცემა, გამოვლენა და ლექსიკონი დაუტოვ მ. რაფაელ, თბ., 1976 წ. III, გვ. I.

² ზ. სირჯველაძე, სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალი, გვ. 218.

³ Н. Махарадзе, Термин этикология (этимология) и его древнегрузинские
эквиваленты, Византиноведческие этюды, Тб., 1991, გვ. 90-95.

⁴ კ. დანგლია, ახლი მასალები ეფრემ მცირის მთარგმნელობითი მეთოდისა
და მისი რედაქციის სამოყიქეულო ისტორიის შესწავლისათვის, მაცნე, ენისა და ლ-
ტერატურის სერია, №4, თბ., 1974; დ. თვალთვაძე, დასახ. შრომები.

აქვე შევნიშნავთ, რომ კუმთამოკუმთა ტერმინები, ამავე შნი-
შვნელობით, ანტონთანაც გვაქვს.

ეფრემ მცირეს მიეკუთვნება სასვენი ნიშნების შემოღება. იგი
აღნიშნავს, რომ წინანდელ ქართველ ავტორებს „არარად ეღუაწა
წერტილითა განკუეთისათვს საკითხავთამასა“, ამის გამო „ზეპირად
უქმდა გაკუეთამ ყოველთა სახელოვანთა მკითხველთა“. მხოლოდ
გიორგი მთაწმიდელს შემოუღია პირველად განკუეთილობის ნიშნე-
ბი. ამავე ხანაში კი ბერძნებს, ეფრემ მცირის მოწმობით, სასვენიცა
და განკუეთილობის ნიშნებიც საყოველთაოდ შემოღებული ჰქონი-
ათ. გიორგი მთაწმიდელის შემდგომ სასვენ-განკუეთილობის ნიშნე-
ბის შემოღება ქართულ მწერლობაში ეფრემ მცირემ სცადა. მან
საფუძვლად აიღო წერტილი და მთელი სისტემა შეიმუშავა¹.

თუმცა ხანმეტი პალიმფსესტების აღმოჩენის შემდეგ ივანე ჯა-
ვახიშვილმა შენიშნა, რომ სასვენი ნიშნები უფრო აღრიცხუ არსებობ-
და. „სახარების ხანმეტი ტექსტები ცხად-ყოფენ, რომ როგორც გან-
კუეთილობისა, ისევე სასვენი ნიშნები ქართულ მწერლობაში უკვე VI
საუკუნეში უჩმარიათ“². აქვე იმასაც დავუმატებთ, რომ ძველი
ქართული ენის პუნქტუაციის შესწავლის თვალსაზრისით ლამარა
ქაჯაიამ შეისწავლა ხანმეტი პალიმფსესტები VI-VII საუკუნეების,
ხანმეტი ლექციონარი VII საუკუნისა და ყველა თარიღიანი ხელნა-
წერი IX-X საუკუნეებისა. ამ ხელნაწერებზე დაკვირვებისას აღმო-
ჩნდა, რომ ძველი ქართველებს V-X საუკუნეებში შემოღებული
ჰქონდათ გარკვეული სისტემა განკუეთილობისა და სასვენი ნიშნე-
ბისა, რომელსაც წმინდა პრაქტიკული დანიშნულებით იყენებდნენ: შინაარსი მართებულიდ წაეკითხა და გაეცო მკითხველს³.

მიუხედავად ამისა, რა თქმა უნდა, ეფრემის შრომა დასაფასე-
ბელია. მას, როგორც ჩანს, ან არ აქმაყოფილებდა მანამდე არსებუ-
ლი სისტემა ან ხელნაწერთა უმრავლესობაში ეს წესები სათანა-
დოდ არ იყო დაცული.

2.2. ეფრემ მცირის ლიტერატურული სკოლიდან მომდინარედ
მიიჩნია მზექალა შანიძემ რამდენიმე წლის წინათ მის მიერ გამო-
ცემული უძველესი ქართული ორიგინალური გრამატიკული ტრაქ-
ტატი — „სიტუაც ართონთათვს“, რომელიც (მოღწეულია XII-

¹ ითანე დაშასკალი, ლიალექტიკა, გვ. 179-180.

² ა. ჯავახიშვილი, ქართულ პალეოგრაფია, თბ., 1949, გვ. 144-145.

³ ლ. ქაჯაია, პუნქტუაცია V-XII საუკუნეების ქართულ ხელნაწერებში, საქ.
შეცნ. იად. ხელნაწერთა იმსტ. მოამბე, ტ. V, თბ., 1963, გვ. 69-83.

XIII და XIV საუკუნეების ხელნაწერებით: Ath-6, S-312). ეს არის უმნიშვნელოფანესი ძეგლი, რომელმაც ქართული გრამატიკული აზ-როვნების საწყისი 6-7 საუკუნით გადასწია წინ და, რაც მთავარია, უტყუარად დაასაბუთა, რომ ჩვენში XVII-XVIII საუკუნეების ენობრივი ძებანი ემყარება XI-XII საუკუნეების საქართველოში არსებული კალების ტრადიციებს, რომლებიც, თავის მხრივ, ბერძნულს მიემართება.

„მართალია, ამ ტრაქტატის დაწერის მიზეზი ყოფილა ერთ-ერთი სასულიერო თხზულების თარგმნისას წამოჭრილი პრაქტიკული საკითხი,— წერს მ. შანიძე,— მაგრამ „სიტყუად ართრონთათვს“ თავისთვის დამოუკიდებელ სამეცნიერო შრომის წარმოადგენს; ეს არის ქართველი ავტორის მიერ დაწერილი ორიგინალური ტრაქტატი, რომელშიც განხილულია გრამატიკის ერთი საკითხი და გარეული თვალსაზრისით ერთმანეთს არის შედარებული ქართული და ბერძნული ენები“¹.

ავტორის შესახებ მ. შანიძის აზრი ასეთია: თხზულება დაწერილი უნდა იყოს XI საუკუნის დამლევს ან XII საუკუნის დასაწყისში — ეფრემ მცირისა და არსენ იყალთოელის მოღვაწეობის ხანაში. მ. შანიძე გამოთქვამს გარაუდს ამ პირთაგან ერთ-ერთის შესაძლო ავტორობაზე, რადგან, როგორც თვითონვე აღნიშნავს: „სიტყუად ართრონთათვს“ დაწერილია არა უბრალო მთარგმნელის, არამედ მეცნიერისა და მწიგნობრის მიერ; როგორც ცნობილია, ანტონ კათალიკოსი თავისი გრამატიკის პირველ რედაქციაში, იმ თავში, სადაც იგი მსჯელობს ე.წ. „სამი სტილის თეორიის“ შესახებ (ეს ნაწილი არ არის მეორე, გამოკვეყნებულ რედაქციაში), ძველ ქართველ მწიგნობართა შორის ასახელებს „ითანეს ფილასოფოსსა ქართუმლსა, მეფესა აფხაზთა და ქართუმლთა დავითს, ეფრემს და არსენის ლრამმატიკოსთა ლირსთა“. ამავე წიგნში მ. შანიძე დარებს ერთმანეთს ეფრემისა და არსენის ნათარგმნ თხზულებებს, რის შედეგადაც ასკენის: „საანალიზო თხზულებებში შეიმჩნევა ზოგიერთი ნიშანი, რომელსაც უდავოდ არსენის მიერ ნათარგმნ თხზულებებში ეძებნება პარალელი“². საბოლოოდ, ტრაქტატის ავტორობის შესახებ მ. შანიძე ასე ფიქრობს: „საჭიროა, მომავალში

¹ მ. შანიძე, „სიტყუად ართრონთათვს“ — ძველი ქართული გრამატიკული ტრაქტატი, თბ., 1990.

² იქვე, გვ. 13-14.

³ იქვე, გვ. 123.

კიდევ დაიძებნოს სხვა უფრო დაწვრილებითი მონაცემები, რადგან ერთეული ფაქტების მოწმობა საჩიტმუნო საყრდენს ამ საკითხის გადასაწყვეტილ ვერ მოგვცემს. ეფრემის ან არსენი იყალთოელის მიხევა გრამატიკული თხზულების ავტორად ჯერჯერობით მხოლოდ სავარაუდო შეიძლება იყოს¹.

ტრაქტატის ავტორის მიზანი თავიდანვე ნათელია: „რამთა გამოვაჩინოთ, თუ რამ არს ართრონი და ვითარ ვერ ეგების ენასა ზედა ქართულსა თარგმნად მისი და ვითარ იჯუმევენ ამას ართრონსა ბერძენი, არა დავთაროთ ძალისაებრ და გულისჯისყოფისა ჩუნისა“².

ავტორი თანმიმდევრულიდ, გასაგები ენით განუმარტავს ქართველ მკითხველს ართრონის რაობას და დანიშნულებას ბერძნულში და იქვე აკეთებს მნიშვნელოვან დასკვნებს ქართული ენის მონაცემების გათვალისწინებით; საკითხის სიცხადისათვის მაგალითებსაც იმოწმებს: „რამეთუ ჩუენსა ენასა არა გუქონან სახელთა წინა დასასხმელი ართრონი, ვინამცა, რაჟამს გეგულებოდის ბერძნულსა ართრონიანსა სახელსა თარგმანებამ, „ო თეოს“ [ό Θεός] ესრეთ სთარგმნი, ვითარმედ: „ღმერთი“, რამეთუ არა არს ართრონი ენასა ზედა ჩუენსა და ვერ შესაძლებელ არს თარგმნად მისი, ვინამთვან არა არს. რამეთუ ართრონი წინადასადებელი არს სახელისად და შუენიერ-პყოფს სახელსა და რეცა პატივსა რასმე მიმმაღლებს“³.

ტრაქტატში მოცემულია სქესის, ბრუნვების, რიცხვისა თუ სხვა გრამატიკულ კატეგორიათა აღმნიშვნელი ტერმინები. რა თვალისაზრისით იქცევს ეს ნაშრომი ჩვენს ყურადღებას და რა შეგვიძლია გამოყოფთ იმ პრობლემათაგან, რომლებიც ამ თხზულების შესწავლის შედეგად დიონისიოს თრაკიელის გრამატიკასთან მიმართებაში დაისმის?

ა. ართრონს სამი სქესი (“ნათეხავი”) იქვს: მამალი, დედალი და შუა. ეს ქართული ტერმინები, რომლებიც მრავალჯერ არის ნახმარი, შეესაბამება ბერძნულ ტერმინებს მარსნიკის (მამრობითი), თელურის (მდედრობითი), იშტერის (საშუალო).

საყურადღებოა ის გარემოება, რომ ავტორს ბერძნულისათვის მხოლოდ სამი სქესი დაუსახელებია,— აღნიშნავს მ. შანიძე, — როგორც ცნობილია, ბერძნული ტრადიციის მიხედვით, შესაძლებელია,

¹ გ. შანიძე, სიტყუად ართრონთათვა..., გვ. 131.

² იქვე, გვ. 132.

³ იქვე, გვ. 134, 6.

ენაში გამოიყოს კიდევ საერთო (კოსოვი) და ზე-საერთო (ეპიკოსი) სქესი. ეს თვალსაზრისი ზოგჯერ სხვა ენის გრამატიკებშიც არის გატარებული.

აქ უნდა შევნიშნოთ, რომ დიონისიოს თრაკიელის გრამატიკა-შიც სამი სქესია გამოყოფილი. სამივე სქესის ჩამოთვლისთვის თრაკიელი იქვე დასძენს, ზოგიერთები კიდევ ორს გამოყოფენ: საზიაროს და ზესაზიაროს, მაგრამ თვითონ თრაკიელი სამ სქესს განასხვავებს, ართრონებშიც სამ სქესზე მსჯელობს.

ბ. ბერძნულ ართრონთათვის დასახელებულია ხუთი ბრუნვა: ადგილობრივი, შობილობითი ანუ ნათესაობითი, მიცემითი, მიზობითი და წოდებითი².

თანმიმდევრობა და სახელწოდებები ზუსტად თრაკიელისეულია. განვიხილოთ თითოეული ტერმინი.

ადგილობრივი

ადგილობრივი ნახსენებია ორგერ: „ონ“-ი არს პირველი ართრონი, რაუამს ადგილობრითად იკუმევდნენ ჟსენებასა სახელისასა; „რაუამს პირველად ადგილობრითად და ერთსა პირსა აქსენებდნენ“³.

„ეს ტერმინი ქართული გრამატიკული ტერმინოლოგიისათვის უჩვეულოა, — აღნიშნავს მ. შანიძე, — საიდან უნდა იყოს იგი წარმომდგარი“⁴.

დიონისიოს თრაკიელის „გრამატიკის ხელოვნებაში“ პირველი ბრუნვისათვის სამი სახელწოდებაა დასახელებული: ბრძე, ბრძებული, ეტეა.

ძველ ქართულ წყაროებში პირველი ბრუნვისათვის დადასტურებულია შემდეგი ტერმინები: ადგილობრითი (“სიტუაც ართრონთათვა”), ეფთა და ორთა (ამონიოს ერმისის თხზულებათა ქართულ თარგმანებში)⁵, ხაწილელი (ზურაბ შანშოვანის გრამატიკაში), წრფელობითი და ხახელობითი (ანტონთან)⁶.

¹ მ. შანიძე, „სიტუაც ართრონთათვა“, გვ. 60-61.

² იქვე, გვ. 136.


³ იქვე, გვ. 133,4; 134,6.

⁴ იქვე, გვ. 136.

⁵ ამონიოს ერმისის თხზულებები ქართულ შეტყობიში, ტექსტები გამოსაცემად მოიმზადეს ნ. კეჭალ მარემ და მ. რაფაელ. გამოცემული, ლექსიკონი და სიმებლები დაურთოთ მითა რაფაელმ. თბ., 1983, გვ. 01-06.

⁶ ილ. აბუ ლაბე, ქართული გრამატიკული ლიტერატურის აღრინდელი ტელები, შრომები, ტ. II, 1976, გვ. 179.

⁷ ქართული ლრამატიკა შედგენილი ანტონ სიმეონ შეკრისტონი, ტფ. 1885.



ამ ტერმინთაგან განმარტებას მოითხოვს სახელწოდება: აღვეთი ლობითი, რომელიც ესმია-ს შესატყვისად დასტურდება დიონისიოს თრაკიელის სომქე კომენტატორთანაც¹. „ეს იმას როდი გულის-ხმობს, რომ ქართული ადვილობითი სომხური ტერმინის თარგმანია, — შენიშვნაეს ამასთან დაკავშირებით მ. შანიძე, — დასაშვებია ვარაუდი, რომ ქართველ ფტორსაც ამგვარადვე გაუგია ბერძნული და მისი შინაარსის შესაბამისი ტერმინი შეუქმნია².

მაშასადამე, ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად სომებმა კომენტატორმა და ქართული გრამატიკული ტრაქტატის ავტორმა ბერძნული ტერმინი ესმია გაიგეს, როგორც „მარტივი“, „ადვილი“. ბუნებრივია, ჩნდება კითხვა, თვით ბერძნულ ტერმინს ხომ არ უდევს საფუძვლად ეს მნიშვნელობა?

სპეციალურ ლიტერატურაში მიღებულია ბერძნული ესმია-ს თარგმნა „პირდაპირ“ ბრუნვად, ამასავე ნიშნავს ბერძნული ტრაქტატი, ესე იგი, პირველი ბრუნვის სამი სახელწოდებიდან: ბერძნული, ესმია, ბინიასთაკი — ორი ტერმინი ერთი და იმავე მნიშვნელობისაა, რაც მოულოდნელია, რადგან სხვა ტერმინის შემოღება, უმეტესად, იმ შემთხვევაში ხდება, როცა განსხვავებული ნიუანსი შეაქვთ ორიგინალურ თხზულებასა თუ თარგმანში.

ესმია-ს ძირითადი მნიშვნელობებია: „პირდაპირი“, „წრფელი“, „მართებითი“³. ამონიოს ერმისის თხზულებათა ქართულ თარგმანებში მას „სწორის“ მნიშვნელობა აქვს. მაგრამ იქვე, როგორც გრამატიკული ტერმინი, როგორც პირველი ბრუნვის სახელწოდება, მთარგმნელს უთარგმნელადაც მოჰყავს — ეფთა. აღნიშნული სიტყვის ეს ძირითადი მნიშვნელობები დასტურდება ბიზანტინოლოგიის განყოფილების ბერძნულ-ქართული დოკუმენტირებული ლექსიკონის მასალებშიც, მაგრამ, ამას გარდა, ლუკას სახარების ერთი ადგილის მიხედვით, ბერძნული ესმია თარგმნილია „ადვილად“: ესთა! თა სიკია ეს ესმია იყვნენ ძნელოვანნი ადვილად (ლკ 3,5). „მარტივის“ მნიშვნელობა აქვს ამ ბერძნულ სიტყვას დიმიტრაკისის „დიდი ლექსიკონის“ თანაბმიადაც⁴.

დიონისიოს თრაკიელის „გრამატიკის ხელოვნების“ იმ ადგილის კომენტირებისას, რომელიც ბრუნვებს ეხება, სქოლიასტები, ძირითა-

¹ Н. А донц Н. Дионисий Фракийский...., გვ. CLXVII.

² ვ. ჭაბიძე, „სიტყვა აზორონთათვე“, გვ. 68.

³ И. К. Дворецкий, Древнегреческо-русский словарь, т. I. М., 1958, გვ. 691.

⁴ Δημητράκου Δ., Μέγα λεξικόν ὅπις τῆς Ἑλληνικῆς γλώσσης, III, 1936.

დად, იმ დავის შესახებ მსჯელობენ, რაც არსებობდა პირველი ბრუნვის ირგვლივ პერიპატეტიკოსებსა (არისტოტელეს მიმდევრებსა) და სტოლებს შორის¹. რაც შეეხება ესთესა ტერმინის წარმომავლობას, სტეფანე ამბობს, რომ იყი წარმომდგარია სიტყვისაგან ესთათას, ეს ზედსართავის ესთს || ესთესა-ს აღმატებითი ხარისხია, რომელსაც, როგორც ვნახეთ, განსხვავებული მნიშვნელობები აქვს.

სქოლიასტებთან ყურადღებას იქცევს რამდენიმე ადგილი, რომლის მიხედვით შესაძლებელია, ვივარაუდოთ, რომ ამ ბერძნულ სიტყვაში სწორედ ქართულ და სომხურ წყაროებში ასახული მნიშვნელობა იგულისხმება ("მარტივი", „ადგილი“):

I ესთესა პირველი ბრუნვაა იმიტომ, რომ მას გრამატიკული ფორმა არ გააჩნია, ხოლო მისგან ნაწარმოებ მომდევნო ბრუნვას გრამატიკული ფორმა აქვსო, — მსჯელობს ჰელიოდორე².

II სტეფანე განმარტავს: ესთესა პირველი ბრუნვაა იმიტომ, რომ იყი წრფელად (ბერძე) აღნიშნავს სახელსო. თუკი ამ ბრუნვის — ესთესა — სახელწოდებაში იგულისხმება ესთს სიტყვის მნიშვნელობა „პირდაპირი“, მაშინ რატომ დასკირდა სტეფანეს სხვა სიტყვის ბერძეს გამოყენება?³

III სტეფანე, იქვე განავრძობს, რომ ესთესა ბრუნვაში სახელი განუვრცობელია⁴.

აქ უნდა გავიხსენოთ ანტონის განმარტება წრფელობითი ბრუნვისათვის: „წრფელობითი ესე პირველსა მდგომებასა შინა არს უცტალებელად და დაპირიშნავს რომლისამე მყოფისა არსებასა მარტივად. მაგალითად, ცხოველი, კაცი, ფარინგი და სხუანი⁵. ესე იყი, როდესაც სახელი ამ ბრუნვაშია, იყი საგანს წარმოადგენს თავის პირგანდელ მდგომარეობაში სწორად, უმუალოდ და მარტივადო. თითქმის ასევე განმარტავს პირველ ბრუნვას გაიოზ რექტორიც: „ოდეს ლექსი მარტივად და წრფელად წარმოადგენს ნივთსა, ლექსი იყი წოდებულ წრფელობითად...“⁶.

კომენტატორთა მსჯელობებიდან და ქართველ გრამატიკოსთა ამ განმარტებებიდან იმ დასკვნის გაკეთება შეიძლება, რომ ესთესა

¹ Scholia..., გვ.545-546.

² იქვე, გვ. 546-547.

³ იქვე, გვ. 548.

⁴ იქვე, გვ.549.

⁵ ანტონ I, ქართული ლრამშატიკა, გვ. 134.

⁶ გაიოზ რექტორი, „ქართული ლრამშატიკა“-ტექსტი გამოსაცემიდ მომზადა, გამოკვლეული და ლექსიკონი დაურთო ელენ ნიკოლაშვილმა, თბ., 1970, გვ.157.

ბრუნვაში სახელი მარტივია, განუვრცობელია. რას თელიდნენ
მარტივია, განუვრცობელია?

როგორც უკვე ვნახეთ, სთიხესი-ი, ბერძნული სქოლიოების
მიხედვით, ასოებს ეწოდა იმის გამო, რომ მათ იქვთ რიგი
(სთიხი) და წყობა (ტაქს) და თუ ისინი წყობის გარეშე არიან
(მეტ კათა ტაქს), მაშინ მათ ყრამათა ეწოდებათ და არა
სთიხესი-ი.

მსგავსი მსჯელობა უნდა გვქონდეს პირველი ბრუნვის შესახე-
ბაც: პირველ ბრუნვაში სახელი წრფელად და ადგილად, ანუ
მარტივიად არის წარმოდგენილი. ამ ბრუნვაში სახელი თავისითავა-
ლია, დამოუკიდებელია სხვა სიტყვებისაგან და არც იმ გრამატიკულ
წესებს ემორჩილება, რომელსაც მისი შეცვლა შეუძლია. აქ ისევ
ანტონის გრამატიკა უნდა მოვიხმოთ: ანტონმა სწორად შენიშვნა
შემასმენლობითი ბრუნვის „არ საჭირო ყოფა ჩუმინისა ენისამებრ“,
მაგრამ ის მაინც დატოვა ბრუნვათა სისტემაში. „დატოვა იმიტომ,
— წერს ელენე ბაბუნაშვილი, — რომ წრფელობითი, მისი აზრით,
დამოუკიდებლად არსებულ საგანს აღნიშნავს ჩვეულებრივ, მაშინ
კი, როცა მას ზმნის მიერ მართული სახელის აღსანიშნავად ვის-
მართ, იგი უკვე დამოუკიდებლად არსებულ სახელს ვეღარ აღნიშ-
ნავს, სხვა ფუნქცია ექნება. ანტონმა ზმნის მიერ მართული სახე-
ლის აღმნიშვნელ წრფელობითს ნადვილი წრფელობითისაგან გან-
სასხვავებლად შემასმენლობითი დაარქვა იმის გამო, რომ ამისთანა
წრფელობითს ჩვეულებრივი წრფელობითისაგან არავითარი განშას-
ხვავებელი ნიშანი არ მოეპოვება“¹.

„ვინამოთგან წრფელობითი ხშირად აარებს თავს თუსსა სიტყუ-
ასა შინა ნათესავისა მიერ საძიებოდ, თხოვილად ზმნისაგან შემო-
ქმდებითისა, ესე არღარა მარტივად დაპირიშნავს თუთ მდგომარესა
არსებასა, არამედ ქუმრდებარედ“, — წერს ანტონი².

ესე იგი, როცა ვამბობთ, პირველ ბრუნვაში სახელი მარტივია,
ადგილია, ნიშნავს დამოუკიდებელია, „არსისა არსებისა“ აღმნიშ-
ვნელია, რასაც უკვე სხვა ბრუნვები ვეღარ აღნიშნავენ („მეორედ
წოდებულ ნათესავობითი... არღარა მნიშვნელი არსისა არსებისა“;
„მერმედ წოდებულ მიცემითი... არა დაპირიშნავს თავადსა არსებასა
მყოფისასა...“; „მეოთხედ წოდებულ შემასმენლობითი, რამეთუ სახე-

¹ ე. ბაბუნაშვილი, თ. უთურგაიძე, ზურაბ შინშვანის „მოკლე
ლრამშემატიკა ქართული ენისა“, იმერეთ-კავკასიური ენათმეცნიერების წელიწლეული,
თბ., 1992, გვ. 89.

² ანტონ 1, ქართული ლრამშემატიკა, გვ. 142.

ლი იგი, რა წრფელობითი იქანკლედების ეს-გუარ, ვითარმედ არღა წრფელობითად დაპნიშნავს არსისა არსებასა...”¹!

ეს ყოველიც გვაფიქრებინებს, რომ ბერძნულ ტერმინს ესმია საფუძვლად უდევს სწორედ ეს მნიშვნელობა: მარტივი, იდვილი და რომ ძელი ქართული გრამატიკული ტერმინი ადვილობითი ბერძნული ესმია-ს ზუსტი თარგმანია, რომელიც აშკარად აზრობრივი დატვირთვისა უნდა იყოს ძელი ქართული გრამატიკული ტრაქტატის მთარგმნელისათვის.

შობილობითი

ძელ ქართულ გრამატიკულ ტრაქტატში მეორე ბრუნვის სახელწოდების, ნათესაობითის, სინონიმად შობილობითი დასტურდება². ორივესათვის ამოსავალი, ცხადია, არის ბერძნული ტერმინი ყენიკή. ქართული ტერმინის, შობილობითის, წარმოქმნაში, ვფიქრობთ, არეკლილია დიონისიოს თრაქიელის კომენტატორთა მსჯელობა ბერძნული ყენიკή-ს ეტიმოლოგიის შესახებ: ყენიკή (ნათესაობითი) ჰქვია იმიტომ, რომ იგი წარმოშობია, დედაა ირიბი ბრუნვებისთ — ... მთელი ყენის ესთ თან ალან პთავესი კა თან ლიპაშ პლაგიაუ მეტე³ (შდრ. რუსულ ტერმინის რодიტელის). ამ განმარტებას ვხვდებით ჰქლიოდორეს კომენტატორში, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ ფაქტს, რომ ქართველი მწიგნობრები ზედმიწევნით კარგად იცნობდნენ იმდროინდელ ბიზანტიაში აღიარებულ გრამატიკულ თეორიებს.

მიცემითი

მესამე ბრუნვის სახელწოდება თითქმის ყველა ენაში „მიცემა“ ზმნასთან არის დაკავშირებული: ბიტკი (ბიმამი „მიცემა“), ლათ. *dativus* (dare „მიცემა“), რუს. Дательный (давать „მიცემა“). თრაქიელის კომენტატორთა განმარტებებში ასეთ ახსნას ვპოულობთ: „ბიტკი წარმომდგარია ბიმამი („მიცემა“) ზმნისაგან, რადგან „ბიმამი თუ ფლტ“ („ვაძლევ მეცობარს“), ამ წინადაღებაში თუ ფლტ მიცემით ბრუნვაშია“⁴.

ქართული გრამატიკული ტრაქტატის ავტორიც, რა თქმა უნდა, ასევე განმარტავს ბერძნული ტერმინის ზუსტ ქართულ შესა-

¹ ანტონ I, ქართული ლიმშატიკა, გვ. 134-136.

² მ. შენიდე, „სიტუაციური ართონთათვა“, გვ. 134,7.

³ Scholia..., გვ.384.

⁴ იქვე.

ტყვისს: „მიცემითი ამისთვის ეწოდების ლექსია მას, რაუამს უტულდი ვისმე, ვითარმედ: „ვის მისცემ ამას რასამე?“ და მან გრქუას, ვითარმედ „ღმერთსა!“.

მიზეზობითი

განსხვავებული აზრი არსებობს ამ ბრუნვის სახელწოდების წარმომავლობის შესახებ. ტერმინს აიπათიკή უკავშირებდნენ, ერთი მხრივ, ზმნას აიპაიმას „ბრალდება“ (ასეთი გაგება აისახა ამ ბრუნვის ლათინურ სახელწოდებაში, შდრ. ლათ. *accusare „ბრალდება“*, *accusativus*, რუსული ვინიტელის მატერიალი გრამატიკულ ტრაქტატში „სიტყუად ართრონთათვს“ და, როგორც ქვემოთ ვნახავთ, ამონიოს ერმისის თხზულების „მოსაქსენებელი ათთა კატილორიათადმი“ ქართულ თარგმანში).

თანამედროვე მეცნიერებაში უფრო მიღებული თვალსაზრისით, აიპათიკή უნდა დაუკავშირდეს აიპათიკურ „მიზეზი“: 1909 წელს გამოცემულ ნაშრომში „კლასიკური ფილოლოგიის ისტორიის ნაჩვევები“ ალფრედ გუდემანი ბერძნულ და ლათინურ ტერმინთა ისტორიას გადმოგვცემს და ბერძნულ ტერმინთა ლათინურ შესატყვისნბებზე მსჯელობს. ალფრედ გუდემანი მიუთითებს აიპათიკή ბრუნვის ლათინურ თარგმანზე *accusativus*-ზე, რომ იგი მცდარი თარგმანია და რომ უნდა იყოს *causativus*, რომელიც ასევე გამოიყენებაო². ამასვე მიუთითებს დონისიოს თრაკიელის „გრამატიკის ხელოვნების“ გამომცემელი გუსტავ ულიցი³.

მაშასადამე, ალფრედ გუდემანისა და გუსტავ ულიგის თვალსაზრისის მიხედვით, შეიძლება, დავასკვნათ, რომ ქართული ტერმინი მიზეზობითი უფრო ზუსტი შესატყვიისია ბერძნული ტერმინისაფინ. ამ მეცნიერთათვის ეს ქართული სახელწოდება ცნობილი რომ ყოფილიყო, უთუოდ გამოიყენებდნენ, როგორც ერთ-ერთ უძველეს თარგმანს თავიანთი აზრის განსამტკიცებლად.

აქვე ისიც აღვნიშნოთ, რომ გრამატიკული ტრაქტატის ავტორს შეუმჩნევია ფორმობრივი სხვაობა ბერძნულ აიტიატიკესა (ანუ ლათ. *accusativus*) და მიცემითს შორის და ყურადღება მიუქციოთ, რომ მათ გადმოსაცემად ნახმარ ქართულ ფორმათა შორის

¹ შ. შანიძე, „სიტყუად ართრონთათვს“, გვ. 135-136, 10.

² Alfred Gudeman, Grundriss zur Geschichte der klassischen Philologie, გვ. 230-232..

³ Dionysii Thracis Ars Grammatica, გვ. 32.

ასეთი სხვაობა არ არის: „რამეთუ ბერძულად განყოფილებამ აქუს
მიცემითა და მიზეზობითა, კითარცა ზემო თუ იგი ლექსინი გუნდ-
ნიან, გარნა ქართულად ერთ ლექსად ითქვმის, დაღაცათუ ძალი
ორი აქუს“¹.

წოდებითი

მეხუთე ბრუნვის სახელწოდებაც — წოდებითი — ბერძნული
ტერმინის ალეთიკή-ს შესატყვისია.

წოდებით ბრუნვაში დასახელებული ართრონი [ῶ] ყველა სქე-
სისათვის ერთნაირია. „ავტორი განსხვავებას ართრონსა და შორის-
დებულს შორის ვერ ხედავს,— წერს მ. შანიძე,— იგი ხაზგასმით
აღნიშნავს, რომ წოდებითი არის ერთადერთი ბრუნვა, რომელიც
ართრონს შეიძლება ჰქონდეს ქართულში: „ამათ ათცამეტთა არ-
თრონთაგან ერთი მხოლოდ შესაძლებელ არს ენისა ჩუენისაგან
თქუმად, რომელ არს წოდებითისა თავით ეკრძო, ოდ“².

იმავე საყვედლურს იმსახურებს დიონისიოს თრაკიელი კომენტა-
ტორებისაგან. თრაკიელიც ართრონის წოდებით ბრუნვად ასახე-
ლებს ῶ-ს, რომელიც, თანამედროვე გრამატიკის თვალსაზრისით,
შორისდებულია. „猗 არ არის ართრონი“,— იმტკიცებუნ სტეფანე
და ჰელიოდორე³. „ართრონი რომ იყოს, რიცხვში განსხვავებული
ფორმები ექნებოდა“,— განმარტავს სტეფანე⁴.

ეს იგი, ქართულად გადმოიცა შორისდებული. ῶ-ს ქართულად
შ გამოხატავს.

მაშასადამე, საინტერესოა, რომ ქართველმა ავტორმა ბერძნუ-
ლი ῶ გადმოიტანა სწორედ „ოდ“ შორისდებულით და არა სხვა
რამით.

3. გრამატიკულ ტრაქტატში ნათქვამია, რომ სახელთა ფორმის
ცვლილება ხდება თითოეული სქესისათვის განსხვავებული წესით:
„არა გარდაერწყუმის ერთი მეორისასა სახელთა ცვალებულებამ,
არამედ თითოეულისა ნათესავისასა სცავს თითოეულ დრუյასა სა-
ხელთასა“⁵.

¹ მ. შანიძე, „სიტყუად ართრონთათვს“..., გვ.73.

² იქვე, გვ.74.

³ Scholia..., გვ. 257, 419.

⁴ იქვე, გვ. 297.

⁵ მ. შანიძე, „სიტყუად ართრონთათვს“..., გვ.133,2.

დრეკა

ქართულ გრამატიკულ ტრაქტატში როგორც ბრუნების, ისე ბრუნვის აღსანიშნავად იხმარება ტერმინი დრეკა. ბრუნვის მნიშვნელობით ერთგან ნახმარია სახელის-დრეკა¹. ამასთან დაკავშირებით მ. შანიძე აღნიშნავს: „დრეკა შეესაბამება ბერძნულ პატარა-ს. მთლად ნათელი არ ჩანს ქართული გრამატიკული ტერმინის წარმომავლობა. იქნება იგი ავტორმა დაუკავშირა არა პრაზ ზმნას, რომელიც „ვარდნას“ აღნიშნავს და რომლისაგანაც ტრადიციას გამოჰყავს ბრუნების აღმნიშვნელი ტერმინები მრავალ ენაზე (შდრ. რუს. падеж), არამედ პატარა-ს, რომლის ძირითადი მნიშვნელობაა „მოღუნვა, დრეკა“².

ჩვენი ვარაუდით, ეს ასე არ უნდა იყოს.

დრეკა ფუძისაგან ნაწარმოები ტერმინი გვხვდება იოანე ქართველიშვილის გრამატიკაშიც: „თვისებანი ან მდევარნი სახელისანი არიან ექვსნი: ნათესავი, სახე, რიცხვი, ბრუნვა, კანკლედობა ანუ მიღრეკილება“. ა. ფოცხიშვილი ამასთან დაკავშირებით შენიშნავს, „კანკლედობა ანტონთან გვერდა და აქ იგი ჩვეულებრივია, მაგრამ მიღრეკილება საიდან გაჩნდა, გაურკვეველია“³.

უკველია, რომ ძველი ქართული გრამატიკული ტერმინი დრეკა შეესაბამება არა ბერძნულ პატარა-ს, არამედ იგი ბერძნული კლისტ-ის თარგმანია. კლისტ სიტყვათა ფლექსიურ ცვლილებას ნიშნავს ზოგადად (ბრუნებასაც და ულლებასაც). ასეა დიონისიოს თრაკიელის „გრამატიკის ხელოვნებაშიც“: მეცამეტე თავში, რომელიც ზმნას ეხება, კლისტ ზმნათა მორთოლოგიურ ცვლილებას აღნიშნავს: საცენტრა ესთ აკტიური მომატება — ულლება არის ზმნათათვის დამახასიათებელი ფორმაციალება; ხოლო მეექვსე თავში, რომელიც ბერძნული ბგერების შესახებაა, ბგერათ გარკვეულ ჯგუფზე მსჯელობისას წერია: შპ იუ მეთაბალე... ენ თის კლისესი თან ძირმატას — [რომ ეს ბგერები] არ იცვლებიან ... სახელთა ფლექსიის დროს. კლისტ ასევეა განმარტებული ბერძნულ ლექსიკონებშიც: კლისტ „მიმოხრა“, „გადახრა“, „ფლექსიური ცვლილება“ (შდრ. ლათ. declinatio, რუს. склонение, ქართ. კანკლედობა). დრეკა კი ძველ ქართულში „მიხრას“, „მიქცევას“ ნიშნავდა.

¹ მ. შანიძე, „სიტყვად ართონთათვა“..., გვ. 137-138, 66.

² იქვე, ვ. 66.

³ ა. ფოცხიშვილი, ქართული გრამატიკული აზრის ისტორიიდან თბ., 1979, გვ. 280.

ტერმინ მიმოხრას ფლექსიური ცვლილების მნიშვნელობა აქვთ
ანტონის გრამატიკაშიც: „თუს მეშვეობისა ზმნათა უღლვლებისა და
მიმოხრათა მათთა“¹, „ბრუნვება არს ცურალება მიმოხრითი სხვა და
სხვა მიმართ მდგმოებისა“².

დ. რაც შეეხება რიცხვს, ტრაქტატში სახელთა და ართონთა-
ფის დასახელებულია სამი რიცხვი: ერთობითი, ორობითი და
განმრავლებითი. ეს ტერმინებიც ბერძნულის მიხედვით არის შე-
ქმნილი: ოსკრ, მანდა, პლეთურიკრ.

ორობითის განსაზღვრებისას ავტორი მიუთითებს, რომ მსგავსი
რამ ქართულში არ არსებობს: „ხოლო ორობითთათვს ვითარდა
ცხად-ყოთ, რამეთუ არცა იგინი არიან ენასა ზედა ქართულსა გარ-
ნა ითქვმოდევ, რამეთუ ორობითი მათ ეწოდებიან, რომელი მხო-
ლოდ ორთა პირთა საცნაურ-ჰყოფენ: რამეთუ თქუმითა, ვითარმედ:
„ტო თეო“ [თუ მეო] ორნი პირნი საცნაურ ექმნეს მსმენელსა. ხო-
ლო ტვნ თეჯნ [თინ მეინ]. ესე იგი არს, ვითარმედ „ლმერთთანი“,
გარნა ორთასა საცნაურ-ჰყოფს და არა მრავალთასა, რამეთუ
„ლმერთი“ ერთსა პირსა, ხოლო „ლმერთნი“ მრავალთა პირთა და-
მსახურ და არა ორთა ამისთვის, ვინავთვან თრთა პირთა დამსახ-
ველი არა გუქონან სახელნი და წოდებითი ორობითთამ: „ო თეო“
[მ მეო]³.

ეს არის ქართველი ავტორის ერთ-ერთი მეცნიერული დასკვნა,
რომლითაც კიდევ ერთხელ დასტურდება ის, რომ ქართველ მწიგ-
ნობარს მექანიკურად კი არ გადმოაქვს ის გრამატიკული ნორმები,
კანონები (კასტს), რაც მის მოღვაწეობამდე მრავალი საუკუნით
აღრე შექმნეს ალექსანდრიელმა მეცნიერებმა, არამედ ქართული
ენის ბუნებიდან გამომდინარე ცვლის და აქცებს მას.

საბოლოოდ, კიდევ ერთხელ რომ გავიაზროთ ამ პატარა მოცუ-
ლობის გრამატიკული თხზულების მნიშვნელობა ქართული გრამა-
ტიკული აზროვნების ისტორიისათვის, ჩამოვთვლით ავტორის და-
კვირვებებს ქართული ენის შესახებ:

1. ქართულს არა აქვს ართონი;
2. ქართულს არა აქვს ორობითი რიცხვი;
3. ბერძნული მიცემითისა და იატიატიკუ ბრუნვების ფორმები
აქართულად ერთ ლექსად ითქვმის“.

¹ ანტონ 1, ქართული ლინგვისტიკა, გვ.81. -

² იქვე, გვ. 134.

³ მ. შანია დე, ასატურაშვილის ართონთათვს „..., გვ.135.

ყველაზე მნიშვნელოვანი კი ისაა, რომ მისმა ნაშრომმა „შემთხვევინაშა ძეველი ქართული გრამატიკული ტერმინოლოგია, რომელიც ხშირად მრავალი საუკუნის შემდგომ იჩენს თავს, როგორც დასტური მისი დიდი მეცნიერული სიცოცხლისუნარიანობისა.

“თვინიერ ტკიფილისა შეუძლებელ არს ყოველი საქმე მოღუაწებად”, — ამ სიტყვებით ამთავრებს ავტორი თავის მცირე მოცულობისა და ძალზედ მნიშვნელოვან გრამატიკულ თხზულებას, რომელშიც წარმოჩნდება არა მხოლოდ მისი ფართო და ღრმა განათლება, არა მხოლოდ ის, რომ იგი კარგად იცნობს დიონისიოს თარაკიელის გრამატიკას და, საერთოდ, ბერძნულ გრამატიკულ სისტემას, არა მედ ნათლად ჩანს ყველა დროის მეცნიერთათვის შესაშური ნიჭი — მარტივად და გასაგებად გადმოვცეს თავისი ცოდნა.

2.3. ეფრემ მცირეს არეოპაგიტული წიგნების გადმოღებაში, როგორც თეოთონევ აღნიშვნას ანდერძში, დახმარებია ითანე „საღმრთო ფილოსოფოსი და კორციელად ღრამატიკოსი“¹.

ცნობილია, რომ ითანე პეტრიწის ხშირად მოიხსენიებენ „ღრამატიკოსის“ სახელით და მას გრამატიკის ავტორობასაც მიაწერენ. ანტონ კათალიკოსს შეუსწავლია პეტრიწის ლიტერატურული მემკვიდრეობა და დაუწერია მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის ზოგადი მიმოხილვა, რომელშიც თავმოყრილია ცნობები, თუ ვინ იყო პეტრიწი, სად მოღვაწეობდა და რა შრომები ეკუთვნის მას. ეს მიმოხილვა ჩართულია „სპეკალში“ სათაურით: „ითანესთვე პეტრიწისა ფილოსოფოსისა მოკლედ მოჟეშნებამ, თუ ვინ იყო იგი, ანუ ვითარ იყო“². ამ მიმოხილვის თანახმად, ითანე პეტრიწმა „ყოველი ფილოსოფიამ, ესე იგი ღრამატიკამ და რიტორიკამ და გეომეტრიამ და ასტრონომიამ და მუსიკამ და ფიზიკამ და მეთეორისიკამ, ვითა მზემან ზოდნი, ერთბამად შემოვლო, და ყოველსა ელლინთა ენამშეობითსა სიტყვითსა კელოვნებასა ზედმიწევნილ იქმნა“³.

XVII საუკუნის მიწურულს პეტრიწის ვინაობით დაინტერესებული ცნობილი მწიგნობარი და ქალიგრაფი დავით რექტორი. მას დაუწერია ბიოგრაფიული მიმოხილვაც, სადაც გვაწვდის ასეთ ცნობას: „...ამანვე ითანემ ქართველთა შორის შემოიღო უღლვილება

¹ ითანე პეტრიწი, სათნოებითა კიბე, გამოსაცემიდ მომზადა, გამოკლევა შენიშვნები და ლექსიკონი დაურთო ი. ლოლა შვილმა, თბ. 1968, გვ. 36-37.

² ქ. ძველი ძიე, სპეკალი, მსახური და მიმოხილვაც, სადაც გვაწვდის ასეთ ცნობას, ეტიუდები, I, თბ. 1956, გვ. 270-282.

³ იქვე, გვ. 279.

ზმნისა, ამანვე — მავითარებელი ზმნისა, სახელზმნისა და მიმღებისანი. ესევე არს ქართველთა ენასა ზედა ლექსთა დაწყეცისა შემოძლებელი¹.

ითანე პეტრიშვილის გრამატიკის აფტორობას მიაწერენ ასევე ა. შეგრენი, მ. ბროსე და ოლ. ცაგარელი. მ. ბროსე პირდაპირ ამბობს, რომ ანტონზე უწინ ქართული გრამატიკა დაწერათ ფილოსოფიული პეტრიშვილი. ამასვე იმეორებს შეგრენი².

ალ. ცაგარელი ეყრდნობა ანტონის გრამატიკის ერთ ადგილს, სადაც მსჯელობას ვნებითი გვარის განუსაზღვრელ კილოზე. რომ ასეთი კილო „ჯერ არს განჩრევად უკმოძა ამის მიერ, რომელი ვ-რამეთუ ეს ითანე ფილოსოფიუსისგან ქმნული კანონი არს, მაგალითებრ: ჭამვად, წერვად, შეწირვად“³. ალ. ცაგარელი ანტონის მსჯელობას ასეთ კომენტარს უკითებს: „მიუხედავად იმისა, რომ ასეთი ვნებითის ფორმა არ იცის ქართულმა ენამ, ჩვენთვის მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომელიც მცდარობის მიუხედავად, გვიჩვენებს, რომ პეტრიშვილის შრომა იყო საგანგებო დანიშნულების გონებამახვილური გრამატიკული ტრაქტატი“⁴.

მოსე ჯანაშვილი პეტრიშვილის „ნამუშაკევში“ გრამატიკასაც თვლის⁵.

1909 წელს გამოცემულ წიგნში — „Иоанн Петрицкий — грузинский неоплатоник XI-XII века“ — ნიკო მარმა გამოთქვა მოსაზრება იმის შესახებ, რომ ცნობილი მოსაზროვნის ითანე იტალოსის ერთ-ერთი ტრაქტატის აღრესატი ქართველი (აფხაზი) ფილოსოფოსი და გრამატიკოსი ითანე პეტრიშვია⁶.

ნიკო მარმა, ძირითადად, ეყყარებოდა ბიოგრაფიულ ცნობებს. ცნობილია, რომ ითანე პეტრიშვილი XI საუკუნის II ნახევრისა და XII საუკუნის დასაწყისის მოღვაწეა. განათლება მას ბიზანტიაში მიუღია, სადაც უმუშავნია იმ ფილოსოფიურ წერეში, რომლის მეთაურები იყვნენ ჯერ მიქელ პსელოსი, შემდეგ ითანე იტალოსი. ამ ფილოსოფიური სკოლის მუშაობა მიმართული იყო ზოგიერთი ძველი

¹ ითანე პეტრიშვილი, სათნოებათა კიბე, იხ. ივ. ლოლა შვილის წინახობა, გვ. 16.

² А. Цагарели, О грамматической литературе грузинского языка, СПб, 1873, გვ. 106.

³ ანტონ 1, ქართული ლრამატიკა, გვ. 169.

⁴ ივ. შვილი, ქართული მწერლობა, წიგნი მეორე, ტფ, 1909, გვ. VIII.

⁵ Н. Марр, Иоанн Петрицкий, грузинский неоплатоник XI-XII в.-в. СПБ, 1909, გვ. 54.



ბერძნული წარმართული აზრების განახლებისაკენ, რისთვისაც მასა (სკოლას) ბიზანტიიაში დევნიდნენ. პსელოსმა დამო თავისი პოზიციები, ხოლო ითანე იტალოსი და მისი მიმდევრები აღექვის კომნენტოსის წამოწყებით 1082-84 წლებში ეკლესიამ გაასამართლა და შეაჩენა. 1083 წლამდე ითანე პეტრიწი, ჩანს, კონსტანტინებოლში იყო იტალოსის მოწაფედ. სასამართლოს შემდეგ იტალოსი კონსტანტინებოლიდან გააძევეს. 1083 წლს დევნა დაუწყეს მის მოწაფებს. სასამართლო ოქმებში შემონახულია ერთი პუნქტი, რომელიც კრძალავს იტალოსის მოწაფებისა და მიმდევრების შინ მიღბას, ემუქრება მათთვის თანაგრძნობის გამწევთ. 1083 წლის შემდეგ ითანე პეტრიწონის მონასტერში უნდა მისულიყო. ზედწოდება „პეტრიწი“ მას, როგორც აღ. ცაგარელი ვარაუდობს, ამ ადგილის სახელწოდებიდან უნდა ჰქონდეს მიღებული¹.

კონსტანტინებოლის უმაღლესი სკოლის პროფესორის, ითანე იტალოსის 97 ტრაქტატიდან, რომელთა ძირითადი მასალა წარმოადგენს სტუდენტებისათვის წაკითხული ლექციების კურსებს, არა ერთია შექმნილი პასუხის სახით ვინმეს მიერ დასმულ შეკითხვაზე. ზოგჯერ ის კიდეც ასახელებს პირს, რომელსაც უწერს განმარტებას. მაგალითად, ერთ თხზულებას ჰქვია „იმპერატორ ანდრონიკე კონსტანტის „დიალექტიკის შესახებ““. 43-ე ტრაქტატის სათაურია: „იმპერატორ ანდრონიკეს მიმართ, რომელმაც წამოჭრა „საკითხი ჰომეროსის აზრზე სიზმრების შესახებ“, 50-ე ტრაქტატის — „მოქალ დუკას მიმართ საკითხზე: განიცილან თუ არა სულები განვითარებას სხეულის დაღუპების შემდეგ“².

64-ე ტრაქტატი აბაზგი გრამატიკოსისადმი გაგზავნილი პასუხია: „წერილი აბაზგი გრამატიკოსისადმი გრამატიკის ზოგიერთი საკითხის სიძნელეთა შესახებ“ (Прბ 20 'Аβασγὸν γραμματικὸν ἀποτλαι περὶ τίνων τῆς γραμματικῆς). პასუხი საკმაოდ ვრცელია. ტრაქტატის დასაწყისში აბაზგ გრამატიკოსს იტალოსი მიმართავს ქება-დიდებით და მისდამი დიდი მოწიწებითა და მეგობრული გრძნობების მტკიცებით.

¹ Н. Марр, Иоанн Петрицкий..., гл. 54-60; А. Цагарели, О грамматической литературе грузинского языка, гл. 105-106. ს. ყაუნტი შვილი, ბერძნული ლიტერატურის ისტორია, ტ. II, гл. 464-465; 6. კეჭალმაძე, ითანე პეტრიწის ენის ხევითისათვის, თსუ შრომები, ტ. 61, 1953.

² ს. ყაუნტი შვილი, ბიზანტიური ლიტერატურის ისტორია, თბ., 1969, გვ. 263-264; 6. კეჭალმაძე, ითანე იტალოსი წერილი აბაზგი გრამატიკოსისადმი და წერილის აღრესატი, აღმოსავლეთი ფილოლოგია, I, თბ., 1969 გვ. 247.

წერილის შემდგომ ნაწილში ითანე იტალოსს ერცელი საუბრა რი აქვს თავის მეგობართან, აბაზე გრამატიკოსთან, სახელშე (წილი), რომელიც მეტყველების ბრუნებადი ნაწილია (მერია აღის პათიკი), ბრუნებაზე, ზმნაზე და მის დროებსა და ულლებაზე (ზემათ ხრისის თე კა საცეკვა) ¹.

ითანე იტალოსს მეტად საყურადღებო დაკურევებები და შენიშვნები აქვს გამოთქმული თრაკიელისეული მეტყველების ნაწილების შესახებ.

„თანამედროვე ენათმეცნიერების მიერ ერთი საკლასიფიკაციო ნიშნის უქონლობის გამო ყბადალებული ქლასიფიკაცია მეტყველების ნაწილებისა დაწუნებულია ჯერ კიდევ იტალოსთან“, — შენიშვნაების ნ. კეჭალმაძე ².

იტალოსი ილაშქრებს მიმღების ცალკე მეტყველების ნაწილად გამოყოფის წინააღმდეგ. მას, ამავე დროს, კარგად შეუმჩნევია თრაკიელისა და სხვათა შეცდომა, რომელთაც ართრონი და ნაცვალსახელები ვერ განუჩრჩევიათ ერთმანეთისაგან და ერთ წყებაში აქცევდნენ ბ ნაწევარს და ჟ ნაცვალსახელს. ჟ ხომ ნაცვალსახელიაო, — კითხულობს იტალოსი, — და თუ ერთი და იგივეა ართრონი და ნაცვალსახელი, რატომ უნდა ჩავთვალოთ მეტყველების ორ ნაწილად და არა ერთად? მაშინ რეა ნაწილის ნაცვლად შეიღი იქნება. თუ სხვადასხვაა? თუ არაა განსხვავება, როგორ იქნება სხვადასხვა. მაშ, ერთსა და იმავე დროს იგივეც ყოფილია და სხვადასხვაც, რაც შეუძლებელია ³.

„შეა საუკუნეებში შეამჩნიეს, რომ ზმნიზედის განსაზღვრება არაა ზუსტი და საკმარისი, რადგან ზმნიზედის სმარება შეიძლება არა მარტო ზმნებთან, არამედ ზედსართავ სახელებთან და ზმნიზედებთანაც. ამას ამბობს იტალოსიც“, — წერს ნ. კეჭალმაძე ⁴.

იტალოსი იწუნებს აგრეთვე მეტყველების ბოლო, მერვე ნაწილის, შემქვრელის — სუნბერია (ანუ თანამედროვე ქართული ტერმინოლოგიით, კავშირის) ერთ-ერთი ჯგუფის აღმნიშვნელ ტერმინს მთაცესის — მაცალყევებელს. შემქვრელი თუ განცალკევებულთ კრავს, როგორაა მაცალკევებელად, გამთიშველად წოდებულიო ⁵.

¹ ს. ყაუსნიშვილი, ბერძნული ლიტერატურის ისტორია, ტ. II, გვ.465.

² ნ. კეჭალმაძე, ითანე იტალოსის წერილი..., გვ.236.

³ იქვე. გვ. 230.

⁴ იქვე. გვ. 238.

⁵ იქვე. გვ. 240.

ასევე უარყოფს ტერმინს — **წინდებული** (პრიზენტ), ისახავდებოდეს არ ემატება წინ სხვა სიტყვებსაც (იქვე ნ. კეტალძამ იმოწმებს ამის დამამტკიცებელ მაგალითებს: λόγου ოνεკა, περὶ).

იტალოსი თავის გრამატიკულ საუბარში ხშირად ემყარება სოკრატეს და არისტოტელეს.

ნ. კეტალძამ, რომელიც საფუძველიანად იცნობს პეტრიწის ენას, მის თხზულებებს, პოულობს დამატებით არგუმენტებს და დამატებით მასალას დასამტკიცებლად ნ. მარის მიერ წამოყენებული ჰიპოთეზისა, ითანე პეტრიწისა და ითანე იტალოსის 64-ე ტრაქტატის აღრესატის იგივეობის შესახებ.

წერილის შინაარსით ცხადია, რომ ითანე იტალოსის წერილის აღრესატი კარგადაა გარკვეული ამ საკითხებში, კარგად იცნობს ბერძნულ ფილოსოფიასა და ბერძნულ გრამატიკულ მოძღვრებას, კერძოდ, დიონისიოს თრაკიელის გრამატიკას.

ითანე პეტრიწი რომ დიონისიოს თრაკიელის გრამატიკაში არ სებულ დებულებებს იყენებს თავისი მსჯელობის დროს და, ამავე დროს, სარგებლობს ამ გრამატიკის კომენტატორთა თხზულებებით, ეს ნათლად წარმოაჩინა ს. ყაუსჩიშვილმა ვერ კიდევ 1943 წელს თავის წერილში „მასალები ითანე პეტრიწის „განმარტების“ წყაროთა შესწავლისათვის“.

„ითანე პეტრიწის თავისი „განმარტების“ ბოლოსიტყვაობაში, ბასილ დიდზე მსჯელობისას, მოჰყავს გრიგოლ ნაზიანზელის აზრი ბასილის გრამატიკული განსწავლულობისა და მისი დამსახურების შესახებ მეტყველების განვითარების საქმეში და იქვე განსაზღვრავს გრამატიკის ცნებას, რომელიც მთლიანად იმეორებს დიონისე² თრაკიელს, ხოლო გრამატიკის ნაწილთა ჩამოთვლაში და მათ განმარტებაში იგი კვალდაკვალ მიჰყება დიონისეს, — წერს ს. ყაუსჩიშვილი და იქვე იმოწმებს ამ განსაზღვრებას დიონისიოს თრაკიელის ტექსტის პარალელურად.

დიონისიოს თრაკიელი

ითანე პეტრიწი

Περὶ Γραμματικῆς

Γραμματική ἐστιν ἔμπειρία τῶν παρὰ ποιητᾶς τε καὶ συγγραφεῖσιν ὡς επὶ τὸ πολὺ

ლრამმატიკოსობად არს გამოშცდელი მოქმედთად ანუ აღმწერელთად, ვითარცა მრა-

¹ ნ. კეტალძამ, ითანე იტალოსის წერილი..., გვ. 239-240.

² ამ წერილში ს. ყაუსჩიშვილი „დიონისე“ ფორმის ხშარობს, ხოლო „ბერძნული ლიტერატურის ისტორიის“ || ტომში — „დიონისიოსს“.



გალთა რათმე ზედა ვგამო-
მთქმელობისა.

λεγομένων.

Μέρη δὲ αὐτῆς ἐσπιν ἔξ-
πρώτου ἀνάγνωσις ἐντριβής
κατὰ προσῳδίαν,
δεύτερον ἔξήγησις κατὰ τοὺς
ἐνυπάρχοντας ποιητικοὺς τρό-
πους,
τρίτον γλωσσῶν τε καὶ ἴστο-
ριῶν πρόχειρος ἀπόδοσις, τέ-
ταρτον ἐτυμολογίας εὑρεσις.

πέμπτον ἀναλογίας ἐκλογι-
σμός, ἕκτον κρίσις ποιημάτων,
ὅ δὴ κάλλιστόν ἐσπιν πάντων
τῶν ἐν τῇ τέχνῃ.

როგორც ვხედავთ, αὐτὸν ჩანს მხოლოდ ერთი ნაწილი, „კითხვის შესახებ“; „მნელი საფიქრებელია, რომ პეტრიწის გამოეტოვებინოს ამ ნაწილის განსაზღვრა, — შენიშვნა ამასთან დაკავშირებით ს. ყაუხჩიშვილი, — ჩვენ ვფიქრობთ, რომ აქ გადამწერის შეყდომა უნდა იყოს. რომ პეტრიწი კარგად იცნობს გრამატიკის ამ ნაწილს და თვლის მას გრამატიკის განუყოფელ ნაწილად, ჩანს იქიდან, რომ თავისი „განმარტების“ წინასიტყვაობაში (გვ.6,7-20) დაწვრი-
ლებით და საგანგებოდ ჩერდება „კითხვაზე“¹.

მოგვყავთ ადგილი პეტრიწის შრომებიდან, რომელზეც ს. ყაუხ-
ჩიშვილი მიუთითებს: „გარნა დავსძინოთ მცირედ და კითხვი-
სათვსკა, თუ ვითარ ჯერ არს ამათ სასწავლომასა წიგნთა კითხვა, ვითარცა თუთ სოერატისთვს იტყვან, ვითარმედ იკითხვიდისო სოქ-
რატ, ვითარ იკითხვიდიან ყრმანი მცირენი, და კუალად შეექცის
მასვე წარკითხულსა, რამეთუ არა თუ გუარსა ჯერ არს საკითხაფი-
სასა მიცემად, არამედ ცნობისა და აღუწყებისათვს არს სათანადოდ.
და გაეცემოთისა და შედგმისა და უკუნქცევისა და უკანამდე პირთა
იღებისა და წერტილთა და სხუათ ყოველთა მძღუართა, ვითარ
მახულსა ოქსიასა, და ვარიასა, რომელ არს მძიმე, და პერისპომე-

¹ ს. ყაუხჩიშვილი, მასალები ითარ პეტრიწის „განმარტების“ წყაროთა
შესწავლისათვის, საქ. მეცნ. აკად. მთამბე. ტ. II, №8, 1941, გვ. 756.

ნონსა, რომელ არს გარემორთხმული, და სხუასა ყოველსაც სათა-
ნადო არს რამთა ვიქმარებდეთ კმასაც თანა და პირსა სიტყვასაა,
რამთა გონებად უცოომელი აღვიუწყოთ”¹.

როგორც ცნობილია, ბერძნულში მართლებითხვისათვის ერთ-ერთი
აუცილებელი პირობაა მახვილის სწორად დასმა, ვინაიდან ხშირად
გრამატიკული მახვილის შეცვლით სიტყვის მნიშვნელობაც იცვლება.

დიონისიოს თრაკიელთან გრამატიკის ექვსი ნაწილიდან პირვე-
ლი სწორედ კითხვაა, პროსოდიის თანახმად — ’Αινάγυνωσι
ἐντριβής κατὰ προσῳδίαν — ამ ნაწილის პირველობას პელიოდორე
ასე ხსნის: „ნაწილთა რიგი შექმნილია პედაგოგიური საჭიროების
თანახმად, რადგან, πρότερον γάρ ამაგუშავ მეს თუ სის უპირვე-
ლესად აუცილებელია კითხვა იცოდეს ახალგაზრდამ“². ბერძნული
ტერმინი ამაგუნასთა, რომლის ზუსტი ქართული ექვივალენტი ან-
ტონის გრამატიკაში გვაქვს — აღმოცნობა, სწორედ ამას უნდა
გულისხმობდეს იმურ ბრძმენ — გონებით რომ დავინახოთ, ანუ, რო-
გორც პეტრიწი ამბობს, „გონებად უცოომელი აღვიუწყოთ“.

ს. ყაუხჩიშვილმა ამაუ წერილში გვიჩვენა პეტრიწის შრომებში გამო-
ვლენილი დიონისიოს თრაკიელის გრამატიკის სხვა აღილიც კრიმი-
დიონისიოს თრაკიელი ითანაბეჭდი

Τίνι მთავრეι სπιγμή
նποστιγμῆς; Χρόνῳ ἐν μὲν
γάρ τῇ σπιγμῇ πολὺ τὸ
διάσπημα, ἐν δε τῇ ὑπο-
σπιγμῇ παντελῶς ὄλεγον.

(კპოლიასტოლი, რომელ არს
ქუმე გამომყოფი), ანუ თუ
წენტილი, ვით ესე — ხოლო
ქუმეწენტილი, ანა რომელი
უმცირესრე მოიღებს ქამსა
ქუმეწენტილი წენტილისა-
სა.

ეს არის „გრამატიკის ხელოვნების“ მეოთხე თავი, რომელიც
წერტილისა და მხიმის (სტიგმისა და იპოსტიგმის) შესახებაა.

ქართული ტექსტი დროთა განმავლობაში შერყვნილია, მაგრამ
იმ სახითაც კი, როგორითაც ის მოღწეულია, კვალდაკვალ მისდევს
დიონისიოს თრაკიელის განსაზღვრებას. ქართულ ტექსტში დაცუ-
ლია ცალკეული გამოთქმებიც: ხრόνῳ „ჟამსა“, პანτεლῶς ὄλεγον
„უმცირესრე“.

¹ ოთხე პეტრიწი, შრომები, ტ., II, 1937, გვ. 44.

² Scholia..., გვ. 53.

³ იქვე, გვ. 757.

„ითანე პეტრიწის „განმარტებაში“ არსებული გრამატიკულის მსჯელობა როდი განისაზღვრება მარტოლენ დიონისე თრაკიელის „გრამატიკიდან“ მოყვანილი ადგილებით, — წერს ს. ყაუხჩიშვილი, — ეს ადგილები პეტრიწის სკირდება თავისი ფილოსოფიური კონცეფციის გასაშლელად, თავისი აზრების განსამტკიცებლად შესახებ „გონიერი არსებისა“, „გონებისა“, „სიტყვიერისა“ და სხვათა. ამით აიხსნება ის, რომ პეტრიწი შელის თავის გრამატიკულ მსჯელობას; ჩვენ გვხვდებით მხრით, ისეთი ადგილები, სადაც პეტრიწი დიონისე თრაკიელის უკვე მოყვანილი განსაზღვრის შესახებ იძლევა განმარტებას, ხოლო, შეორე მხრით, გვაძეს ისეთი ადგილები, სადაც მსჯელობაა (თუმცა მოუყვანელ, მაგრამ) დიონისეს გრამატიკაში არსებულ დებულებათა საუკეთესობის დროს ითანე პეტრიწი სარგებლობს ძველი და გვიანი ავტორების კომენტატორების თხზულებებით”¹.

ტექსტის იმ ადგილის გასწევრივ, სადაც პეტრიწის განმარტებითი ხასიათის მსჯელობაა პროსოლიის შესახებ, აშიაზე მთლიანადაა მოცუმული თრაკიელის ერთ-ერთი კომენტატორის, თეოდოსის პატარა თხზულების „პროსოლის შესახებ“ პირველი პარაგრაფი.

თეოდოსი

Проσῳδίαι εἰσι δέκα·

όξεῖα, βαρεῖα, περισπωμένη,
μικρά, βραχεῖα, δασεῖα, ψιλή,
ἀπόστροφος, ὑφέν, ὑποδιαστολή.

ითანე პეტრიწი

პროსოლიანი ათნი:

ოქსია, ვარია, პეტრისპო-
მენი, მაკრა, ვრავია, დანია
(დასია), ფსილი, პპოსტრო-
ფოს, კვენ, კპოლიასტოლი.

ს. ყაუხჩიშვილის ამ წერილმა, რა თქმა უნდა, განამტკიცა ის მოსაზრება, რაც სხვადასხვა დროს გამოუთქვამთ პეტრიწის გრამატიკისობის შესახებ, მაგრამ პეტრიწი თუ არა მას დამოუკიდებელი გრამატიკული ნაშრომი, ეს ჯერ კიდევ დაუდასტურებელია.

როგორც ცნობილია, ბოლოს პეტრიწი დავით აღმაშენებლის მიწვევით გელათის აკადემიაში მოღვაწეობდა. გელათის აკადემიაში ითანე პეტრიწის ხელმძღვანელობით წარიმართა მიზანდასახული მეცნიერული მუშაობა. „ითანე პეტრიწი და მისი თანამოღვაწენი დიდ შემოქმედებითს სითამამეს იჩენენ, ფართო გასაქანს აძლევენ ქართული სიტყვათწარმოების მრავალფეროვან ხერხებსა და საშუალებებს და მათი განზოგადებით ქმნიან ახალ ცნებათა შესატყვის

¹ ს. ყაუხჩიშვილი, მისალები..., გვ.758.

ქართულ ტერმინებს, ამკვიდრებენ ახალ პროდუქტიულ ფალიბებს, რომლებიც დღესაც ქართული მეცნიერული ტერმინოლოგიის განვითარების საფუძველს წარმოადგენენ", — წერს დ. მელიქიშვილი¹.

ითანა პეტრიშვილის მიერ შექმნილი რამდენიმე გრამატიკული ტერმინი დღესაც გამოიყენება ქართულ გრამატიკულ ტერმინოლოგიაში.

ა. ბერძნული ტერმინის ბერძა-ს (მახვილის ერთ-ერთი სახეობაა) პეტრიშვისეული ქართული შესატყვისი — მახვილი დღესაც არსებობს, მხოლოდ მისი მნიშვნელობა გაფართოვდა და ბერძნული ტინის-ის შესატყვისად იქცა. მახვილის მნიშვნელობის გაფართოვება, ალბათ, განაპირობა იმან, რომ ქართულში მხოლოდ ამ სახეობას იყენებდნენ, რომელსაც ბერძნული ბერძა-ს ერქვა. მას ხმარობდნენ სხვადასხვა მიზნით, მაგალითად, ანტონმა წრიფელობითისაგან განსასხვავებლად ეს ნიშანი დაუსეა შემასმენლობითს. ქართულში მახვილის არსებობაზე მსჯელობის დროს ქართულ სიტყვებს ამ ნიშანს (‘) უკეთებდნენ. მაშასადამ, ბერძნული ტერმინის ბერძა-ს თარგმანი მახვილი, რომელიც მქეთრ მახვილს აღნიშნავდა და განსხვავდებოდა მძიმე მახვილისა (‘) და შემოსილი მახვილისაგან (‘), დღეს ზოგადი მნიშვნელობით დამკვიდრდა ქართულში.

ბ. ითანა პეტრიშვითან ანალოგიის ('Αναλογία) ქართული კორელატია შესატყვისობა. გრამატიკის მეცნიერებით ნაწილი „'Αναλογίας ἐκλογισμός“ (ანალოგიათა ჩამოთვლა) პეტრიშვიმა, როგორც ვნახეთ, ასე თარგმანი: „[გრამატიკა] შესატყვისობათა გარდასცემს“. ითანა პეტრიშვის მიერ შექმნილი ეს ლექსიკური კალკი დღემდე შემორჩა ქართულ ენას². თრაქიელის გრამატიკის ქართულ თარგმანში ანალოგიის ნაცვლად პეტრიშვისეულ შესატყვისობას ფიქცინებთ.

გ. „ახალი ცნების შესატყვისი ქართული ტერმინის წარმოებისას გელათის სკოლის მოღვაწენი ამოდიოდნენ ბერძნული ლექსიკის როგორც ძირებული, ამოსავალი მნიშვნელობიდან, ისე — ზოგჯერ მისი კონტექსტუალური მნიშვნელობიდანაც, ამასთან, ისინი შეპყრობილნი იყვნენ იმ მთავარი მიზნით, რომ შეექმნათ სპეციალურ ტერმინთა ისეთი სისტემა, რომლის ყველა რელი ქართული ძირე-

¹ დ. მელიქიშვილი, გელათის სკოლა და ქართული მეცნიერული ენის განვითარების საქამოები, თსუ შრომები, ენათმეცნიერება, №10, 1986, გვ. 231.

² М. Пичхадзе, О некоторых вопросах грамматики древнегрузинской филологии, Кавказ и Средиземноморье, 1980, გვ. 251-263.

ული და აფიქსური მასალით იქნებოდა ერთმანეთთან დაკავშირებული¹, — აღნიშნავს დ. მელიქიშვილი.

ქართულ გრამატიკულ ტერმინოლოგიასაც ძველი მთარგმნელები ბერძნულ გრამატიკულ დებულებებზე დაყრდნობით ქმნიან და ამიტომ ხშირად ამ დებულებათა გაუთვალისწინებლად ძნელია ამ ტერმინთა ასანა. ამის თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენს ბერძნული ტერმინის — ეთიმოლოგიას ქართული შესატყვისები: „მზაპასუხობა“ (ეფრემ მცირე) და მზამეტყუმლება (იოანე პეტრიწი). ცნობილია, რომ ბერძნულ ტერმინში იგულისხმება სიტყვის ჰეშმარიტი მნიშვნელობის, ანუ თავდაპირველი მნიშვნელობის — ეტიმონის (ეთიმო) დადგენა. ქართული ტერმინ-კომპოზიტის პირველი ნაწილი „მზა“ კი ბერძნულ ეთიმოს-ს შესატყვისება.

შეცდომის სათავედ ს. ყაუხჩიშვილი, იოანე პეტრიწის შრომებისათვის წამძღვარებულ შესავალში მიიჩნევდა ეთიმოს „ნამდვილი“, „ჰეშმარიტი“ და ეთიმოს „მზა“ სიტყვების ორევვას იმ მიზეზით, რომ საშუალო ბერძნულში ი კომპლექსი და უ ერთნაირად იკითხება და ორივე სიტყვა წარმოითქმის, როგორც etimon. აღმოჩნდა, რომ ძველი ქართული ტერმინები „მზამეტყუმლება“ და „მზაპასუხობა“ მომდინარეობს დიონისიოს თრაკიელის კომენტატორების, კერძოდ, ბიზანტიელი კომენტატორის განმარტებებიდან: ეტიმოლოგია არისთ ეთიმოს ერμεნენა ლექსეს ანუ „სიტყვის მზა განმარტება“ და ერათემის ეთიმას მათებულის „შეკითხვაზე მზა პასუხის გაცემა“.

ამ ფაქტს ყურადღება მიაქცია და განიხილა ნ. მახარაძემ წერილში: „Термин ეთიმოлогія (этимология) и его древнегрузинские эквиваленты“².

ამდენად, ვფიქრობთ, ძველ ქართულ მწერლობაში დადასტურებულ გრამატიკულ ტერმინებზე მსჯელობისას შემთხვევითობა ან ქართველი მთარგმნელის მიერ ბერძნული სიტყვის ორაწორი გაგება ნაკლებადაა საგარაუდებელი. მით უფრო, როცა საქმე გვაქვს ისეთ მწიგონბრებთან და ბერძნულ სამყაროს უშუალოდ ნაზიარებ მოღვაწეებთან, როგორებიც არიან ეფრემ მცირე და იოანე პეტრიწი.

2.4. ამავე პერიოდის ქართული გრამატიკული აზროვნების დანასიათება შევვიძლია, განვავრცოთ გელათის სკოლის წარმომადგენლის მიერ თარგმნილი თხზულებების მონაცემებით. ესაა ალექსანდრიული სკოლის მამამთავრის, ამონიოს ერმისის კომენტარები

¹ დ. მელიქიშვილი, გელათის სკოლა..., გვ. 231.

² Византийноведческие этюды, 1991, გვ. 90-95.

პორტფირიონის ცნობილ ნაშრომზე „შესავალი არის ტოტელუს კატეგორიათადმი“ და არის ტოტელუს შრომაზე „კატეგორიები“: „მოსაქსენებელი ხუთთა ქმათადმი პორტფირი ფილოსოფოსისათა“ და „მოსაქსენებელი ათთა კატელორიათადმი არის ტოტელისათა“.

ამონიოს ერმისის თხზულებათა ქართველი მთარგმნელის ვინაობის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობა. მეცნიერებართა ერთი ნაწილი მთარგმნელად XII საუკუნის მოღვაწეს, ითანე ტარიშისძეს, აღიარებს (კ. კეკელიძე), მეორე ნაწილი მათ თარგმნას ითანე პეტრიშვილის მიაწერს (ს. გორგაძე, ი. ლოლაშვილი), ხოლო ზოგიერთთა შეხედულებით, მთარგმნელის ვინაობა დაუდგენელია (ნ. კუჭალმაძე)¹. რიგი ტექსტოლოგიური და ენობრივი მონაცემების მიხედვით მ. რაფაელ ასკვნის, რომ ითანე პეტრიშვილი არ უნდა იყოს მთარგმნელი, ხოლო ითანე ტარიშისძის მთარგმნელად აღიარების სასარგებლოდ არავითარი წერილობითი ცნობა არ არ სებობს და, ამდენიდ, საკითხი ღიად რჩება².

მ. რაფაელმ შეისწავლა ერმისის თხზულებათა ქართულ თარგმანებში გამოყენებული მეცნიერული ტერმინოლოგია, მათ შორის, გრამატიკულიც.

თრაკიელისეული განსაზღვრება გრამატიკისა, რომელიც, როგორც ვნახეთ, ითანე პეტრიშვის შრომებშია დადასტურებული, ამონიოს ერმისის თხზულების „მოსაქსენებელი ხუთთა ქმათადმი“ პორტფირი ფილოსოფოსისათა“ ქართულ თარგმანშიც გვხვდება, მხოლოდ პეტრიშვისეულისაგან განსხვავებული რედაქციით: „ღრამატიკოსობამ არს გამოცდილებამ სიტყვსმოქმედთა და აღმწერელთამიერი ვითარ სამრავლოდ სათქმელ არს“³.

ჩვენთვის, ბუნებრივია, მნიშვნელოვანია დიონისიოს თრაკიელის გრამატიკულ ტერმინთა ქართული შესატყვისების რაობა და არა თავისთავად ის, რომ ამონიოსი იცნობს თრაკიელის გრამატიკულ სისტემას, რაც ალექსანდრიული სკოლის ფილოსოფიისისთვის სავაჭბით გასაგები და ბუნებრივი მოვლენაა.

გამოვყოფთ რამდენიმე მომენტს, რომელსაც, სრულიად აშეარად, დიონისიოს თრაკიელის გრამატიკასთან მიეყართ:

¹ ამონიოს ერმისის თხზულებები..., გვ.046.

² იქვე, გვ.057.

³ მ. რაფაელმ, ამონიოს ერმისის თხზულებებში დადასტურებული გრამატიკული ხასიათის ცნობები, მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, №4, 1981.

⁴ ამონიოს ერმისის თხზულებები..., გვ. 0103.

თანხანელი, მრავალსახელი

ცნობილია, რომ პერიპატეტიკოსები პოლიონიმს (πολιόνυμον), ანუ სიტყვასიტყვით, მრავალსახელს უწოდებდნენ იმას, რასაც დიონისიოსი სინონიმს (συνώνυμον) უწოდებს¹:

„Συνώνυμον δέ ἐστι τὸ ἐν διαφόροις ὄντιμασι τὸ αὐτὸν δηλοῦν, οἷον ἔστις μάχαιρα σπάθη φάσγανον — Σινονίμοι სხვადასხვა სახელით გამოხატავს ერთსა და იმავეს, მაგალითად, ἔστις, μάχαιρα, σπάθη, φάσγανον“.

ამონიოს ერმისის თხზულების „მოსაქსენებელი „ათთა ქატილორიათაღმი“ ქართულ თარგმანში დადასტურებულია ტერმინების „სინონიმი“ და „პოლიონიმი“ ქართული კორელატები: სინონიმი — თანხანელი, ერთხანელი, პოლიონიმი — მრავალსახელი. აქვე მოცემული მრავალსახელის განსაზღვრება: „ხოლო უკუეთუ სიტყვასაებრ ვიდრემე ეზიარებოდინ და სახელისაებრ განიყოფვიან, სახელ-იდებიან მრავალსახელად, ვითარ-იგი აქცს, ვითარმედ: ორ, ქსიფოს, მაქერა, ფასლანონ, სპათი“, ეს იგი, ერთისა და იმავე საგნის გამომხატველ სხვადასხვა სახელს მრავალსახელი უწოდებათ. ამ შემთხვევაში ცივი იარაღის — მახვილის — სხვადასხვა სახეობაა ჩამოთვლილი, რაზედაც მითითებას ვნედებით აგრეთვე „დიალექტიკის“ 19,1 თავში განმეორებულ ამავე ფრაზაში², მხოლოდ აქ ერთვის მთარგმნელების — ეფრემისა და არსენ იყალთოელის განმარტებები, რომ აქ ჩამოთვლილი მაგალითები, „ენითა ბერძნთამთა“ ხმალს უწოდება. ეფრემისა და არსენის თარგმანი თითქმის მისდევს ერთმანეთს, ამიტომ მხოლოდ ერთს დავიმოწმებთ, ეფრემისეულს: „მრავალ-სახელ არიან, რომელი იგი განსაზღვრებითა ზიარ იყვნენ, ხოლო სახელითა განიყოფებოდინ, ეს იგი არს, ოდენ ერთი და იგივე საქმე მრავლითა სახელ-იდების სახელებითა, ვითარ-იგი კრძალსა ენითა ბერძნთამთა ეწოდების ფასლანონ, ორ, სპათინ, მაქერა, ქსიფოს, არამედ ყოველი ეს სახელი კრძლისანი ერთსა განსაზღვრებასა მიითუალვენ, რომელ არს რეინად ორპირი, ეს იგი არს, მახვლი რეინისამ, ორ-კერძოვე აღმანული. ხოლო წარიწერებიან მრავალსახელი ესრეთ, ვითარმედ: მრავალი სახელი, ერთისათვს საქმისა საკუთრად სახელ-დებულნი“³.

¹ იბ. კომენტარი: გ12, 11.

² ითან დამისკელი, დიალექტიკა..., გვ. 110.

³ ამონიოს ერმისის თხზულებები..., გვ. 10.

როგორც ვხედავთ, მრავალსახელის მაგალითები ემთხვევათწა...
კიელისეულ სინონიმის მაგალითებს: ოორ (στορ), ქსიფოს (ξιφος),
მაქერა (μάχαιρα), ფასლანონ (φάσγανον), სპათი (σπάθη).

ამ მაგალითებს ასახელებს ასევე არისტოტელეს კომენტატორი
ელიასი „ეპატეგორიების“ განმარტებებში, რასთან დაქავშირებითაც
სომები მეცნიერი ნ. ალონცი აღინიშნავს, რომ ისინი აღებულია
თრაკიელის გრამატიკიდან¹.

თანამოსახელე

ამონიოს ერმისის თხზულების „მოსაქსენებელი ათთა კატილო-
რიათადმი“ ქართულ თარგმანში მონიშვილის შესატყვისია თანამოსა-
ხელე. აქვე მოყვანილია თრაკიელის გრამატიკიდან მაგალითი: „ხო-
ლო უკუეთუ სახელისაებრ ვიდრემე ეზიარებოდან და სიტყვსაებრ
განიყოფებიან, თანამოსახელედ ითქმიან. ვითარ იგი აქუს თრთა
ესათა, რამეთუ ერთითა უკუე სახელითა ზიარებად აქუს, ვითარმედ
ესა, ხოლო საზღვარი არა იგივე, რამეთუ ტელამენოს განსა-
ზღვრებულნი ვიტყვთ, ვითარმედ: სალამონომსგანი, რომელი ემარ-
ტოდმბროლა ეკტორსა, ხოლო ილეოს არა ესრეთ“², ესე იგი, ერ-
თის მხრივ, აიანტი (=ეასი Aias) ტელამონის ძე და, მეორე მხრივ,
აიანტი (=ეასი Aias) ილეოსის ძე. სახელი ერთია, პიროვნებები —
სხვადასხვა.

თრაკიელთან ომონიმი ასეა განსაზღვრული: „ომონიმია ისეთი
სახელი, რომლითაც შეიძლება მრავალი აღინიშნოს, მაგალითად,
საკუთარ სახელებში აიანტი — ტელამონის შვილი და აიანტი —
ილეოსის შვილი ...“

როგორც ვხედავთ, ამონიოს ერმისის ტექსტის ეს პასაუი ჰგავს.
თრაკიელისეულ ტექსტს.

სიტყვა, ლექსი

ქართული ენათმეცნიერული აზრის ისტორიისათვის მეტად
მნიშვნელოვანია ერმისის თხზულების „მოსაქსენებელი „ქუთთა კმა-
თადმი პორტირი ფილოსოფოსისათა“ ქართულ თარგმანში და-
დასტურებული ის ტერმინოლოგიაც, რომელიც უკვე გავრცელებუ-
ლი ჩანს და საერთოა ქართველ მთარგმნელთათვის.

¹ Н. А. донц., Дионисий Тракийский..., гл. CXVII.

² ამონიოს ერმისის თხზულები..., გვ. 108.

სიტუგა ნიშნავს „წინადადებას“, **სახელი** და **მარცვალი** დღუ-
ვანდელი მნიშვნელობით იხმარება. პრესტიჟის უთარებელი დაა გადმო-
ტანილი — **ლექსი**, რომელიც ბერძნულში „სიტუგას“ ნიშნავს.

საგანგებოდ უნდა შევჩერდეთ ტერმინზე — **სიტუგა**, რომელიც
ბერძნულ არყის-ს შეესატყვისება. ბერძნულ არყის-ს მრავალი მნიშ-
ვნელობა აქვს: „დებულება“, „დასკვნა“, „აზრი“, „მნიშვნელობა“,
„წინადადება“, „რიცხვი“ და, პირველ რიგში, „მეტყველება“. ამონი-
ოს ერმისის თხზულების ქართულ თარგმანში დადასტურებული
ტერმინი — **სიტუგა**, „წინადადებას“ აღნიშნავს: ამონიოსის განმარ-
ტებით, გრამატიკა სწავლობს წინადადებას და მის შემადგენელ ნა-
წილებს: „სიტუგასა და სახელთა მიმართ და თქუმათა, და ამათი მარ-
ტუალთა მიმართ, და მათი ასოთა მიმართ. და ამას უკუე [ასწავე-
ბენ] ორამატიკოსი შედრ. ისინ თუ არგის ეს ბიტმათი კა ტექმა-
კა თანთა ეს თას სულაბას კა თანთა ეს თა სტიხება კა თანთა
მეს ი გრამმატიკი!“¹.

ამ ფრაზაში შემდეგი გრამატიკული ცნებები გვხვდება: **სი-**
ტუგა იხმარება დღევანდელი „წინადადების“ შინაარსით; **სახელი**
უდრის დღევანდელ „სახელს“; თქუმა ცნებით გაღმოცემულია დღე-
ვანდელი „ზმნა“. გვხვდება **მარცვალი** და ასო, სტიხები, რომე-
ლიც დღევანდელ „ბგერას“ გამოხატავს².

„მეორეჯერ ნახმარ სიტუგას სხვა მნიშვნელობა აქვს, — წერს მ.
რაფავა, — ეს არის „მეტყველება“. იგი შეესატყვისია ბერძნული
არყის-ისა, როცა სიტუგის რვა ნაწილზეა საუბარი, იგულისხმება
მეტყველების რვა ნაწილი“³.

ეს დასკვნა ეხება შემდეგ ადგილს ამონიოსთან: „ხოლო რო-
მელნიმე ეგვეგითარისა ზიარობისა რამსმე მიმართ სიტუგასა და
ესრეთ ყვნეს რვა მათმიერნი ნაწილი სიტუგასანი, რომელთა მი-
მართ აღვლენ ყოველნი თითოეულად ნიშნოვნობითნი წმანი“⁴.

ჩვენი აზრით, ტერმინი **სიტუგა** აქაც „წინადადებას“ აღნიშნავს
და არა „მეტყველებას“. ცნობილია, რომ ალექსანდრიის სკოლის
გრამატიკოსებისათვის მეტყველების ნაწილი იგივე იყო, რაც წინა-
დადების ნაწილი (დღევანდელი მნიშვნელობით), ე.ი. წინადადების
ნაწილი (წევრი) ამავე დროს იყო მეტყველების ნაწილი.

როგორც არნ. ჩიქობავა მიუთითებს, **სიტუგა** „წინადადების“

¹ ამონიოს ერმისის თხზულებები..., გვ. 0103.

² იქვე, გვ. 0103-0104.

³ იქვე, გვ. 0104.

⁴ იქვე + გვ. 20,20.

მნიშვნელობით და **ლექსი** (ლექს) „სიტყვის“ მნიშვნელობით შე-18. საუკუნის გრამატიკოსებთან გამოიყენებოდა¹.

მ. რაფაელ ერთგან წერს: „მეტყველების“ მნიშვნელობით ჩვენს ტექსტში სხვა ტერმინიც იხმარება. ეს არის **ლექსი**. იგი შესაბატყვისება ბერძნულ ალტერნატივულ სიტყვას „ლრამმატიკოსი“ ლექსთა ყოველთა რვათა რათმე ზოგადობასა ქუეშე იღიყვანებენ². აქ ლაპარაკია სიტყვათა რვა ჭგუფზე, „რვათა ზოგადობათა“ შესახებ, რომლის ქვეშ გაერთიანებულია ყველი სიტყვა და არა რვა „მეტყველებაზე“ ან რამე ამგვარზე, რაც სრულიად გაუგებარი იქნებოდა. ამდენად, უდავოდ ლექსი აქ „სიტყვას“ ნიშნავს და არა „მეტყველებას“, თუმცა ბერძნულ ალტერნატივული უკანასკნელი მნიშვნელობაც აქვს (recep). მაშასადამე, ლექსი „სიტყვის“ მნიშვნელობით მე-18 საუკუნეზე გაცილებით აღირე დამკვიდრებულია³.

დაკუეთგა || პტოსი || გარდანაკუთულება

გრამატიკული ტერმინოლოგიის თვალსაზრისით საინტერესოა ბრუნებასა და ბრუნებთან დაკავშირებული ცნებები. „მთარგმნელი თანმიმდევრული არ ჩანს, იგი ერთი და იმავე ცნების აღსანიშნავად ხან ბერძნულ სიტყვას იყენებს, ხან ქართულ შესატყვისს უძების მას“⁴.

ფლექსია გაღმოცემულია ორი ტერმინით: **დაკუეთგა** და **პტოსი** (πτῶσις): „სთქუა რად განყოფილთაო პტოსითა, ცხად-ყო გარდანაკუთულებად დასასრულისა მარცულისად“⁵.

თრაკიელის ერთ-ერთი კომენტატორი, სტეფანე, პატოს ტერმინს ასე განმარტავს: „πτῶσις δέ ἐστι πτωτικῆς λέξεως μετასχημაτισμὸς τῆς τελευταίας συllababῆς ἀλλοτε εἰς ἄλλο τρεπομένης — ბრუნეა არის ბრუნებადი სიტყვის ფორმაცვალება ბოლო მარცვლის სხვა მარცვლით შეცვლის გზით“⁶.

ამონიოსის ზემოთ მოცემულ განსაზღვრებაში გარდანაკუთულება ბერძნული მეთასტუმატიკის სემანტიკური კალკი უნდა

¹ ა. ჩიქობავა, ენათმეცნიერების ჟურნალი, თბ., 1952წ; გვ. 256-257.

² ამონიოს ერმისის თხზულებები..., გვ. 0104.

³ Nelly Makharadze, From the History of the Ancient Georgian Verse Terminology („ტყობილი სიტყვა“ — Tskobili sitkva, ლექსი — lexi) აკად. ს. კაუჩხიშვილისაღმი მიმღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მოხსენებათა თეზისები, თბ., 1995.

⁴ ამონიოს ერმისის თხზულებები..., გვ. 0106.

⁵ იქვე, გვ. 70.

⁶ Scholia..., გვ. 230.

იყოს: μετα — გარდა, σχημაτισμός — ნაკუთულება, δέρκენული სიტყვა სტრუქტურა, ათას რიტმი თარგმნა ნაკუთით¹. გარდანაკუთულება, მაშასადამე, სიტყვის ფორმის შეცვლას გულისხმობა ბოლო მარცვლის შეცვლით.

ძალიან საინტერესოა ტერმინი დაკუთვნითა. მ. რაფაელ ამასთან დაკავშირებით მხოლოდ იმას მიუთითებს, რომ იგი ქართული ძირიდანაა ნაწარმოები². რას ნიშნავს დაკუთვნითა და რატომ გამოიყენა იგი მთარგმნელმა ბერძნული პატარა-ის სინონიმად?

როგორც ცნობილია, ბერძნული ტერმინი პატარა უკავშირდება ზმნას პირა „ვარდნა“: სახელი ვარდება ერთი ბრუნვიდან მეორეში და ფორმას იცვლის. სტოელების მიერ შემოღებული ბრუნვათა სისტემა „პირდაპირი ბრუნვისა“ და „ირიბი ბრუნვებისაგან“ შედგებოდა. მათ პირდაპირი ანუ წრიფელობითიც ბრუნვად მიიჩნიეს. პერიპატეტიკოსები ამტკიცებდნენ, რომ წრიფელობითი არ არის ბრუნვა, რადგან იგი არაფრისაგან არ ვარდებათ, ხოლო სხვა ბრუნვები კი ერთმანეთში „ვარდებოდნენ“ (μετα-πίπτει) ანუ იცვლებოდნენ უკანასკნელი მარცვლის მორფოლოგიური ცვლილებით ანუ დრეკით. სტოელები უარყოფდნენ ამ აზრს და ამტკიცებდნენ: წრიფელობითი ბრუნვაც ვარდება (πίπτει), მხოლოდ — ჩვენი წარმოდგენებისაგან. სომეხ კომენტატორთან, დავითთან, ამ საკითხს ქრისტიანული ფორმულირება აქვს: დავითის აზრით, ყველა არსებას, ყველა ნივთს სახელი ღვთისაგან აქვს მინიჭებული, ან იმათვან, ვისაც თავად ღმერთმა მისცა ძალა. ამდენად, ასკენის დავითი, სახელი არის ვარდნა (პატარა), ის არის წრიფელი (‘օმზ’), მსგავსად კალმისა, რომელიც წრიფელად (პირდაპირ) არის დაშვებული წერისას³.

ამ დროს ჩნდება ამ ბრუნვისათვის ახალი სახელწოდება სახელობითი. ანტონის ვანმარტებაში, „დასაბამ ბრუნწათა არს წრიფელობითი, რომელი უფროორე სამართალ არს ეწოდებოდესმცა სახელობითი“, ამ დისკუსიის გამოხატილი უნდა იყოს⁴.

ბერძნული პატარა-ის ზუსტი კალკირებაა ლათინური *casus „ვარდნა“*, რესული падеж (падение). ამ ტერმინის ექვივალენტი უნდა იყოს ქართული ტერმინიც დაკუთვნითა, რომელსაც „დაცემის“

¹ იხ. მესამე თავი, გვ. 76-77.

² ამონიოს ერმისის თხულებები..., გვ. 0106.

³ Н. А до н ц., Дионисий Θρακийскай..., გვ. CLXVII.

⁴ ანტონ I, ქართული ლრამატია, გვ. 134.

მნიშვნელობა აქვს ძველ ქართულში: „დაჰქუეთა იგი ეშმაქმან“ ლ. 9,42 C; ბერძნულში ტრეტი აუთი თბ ბათმითი, ბე პოვერ ეგი. ტრეტი ტრეტი — რწყუსმ „დაკემა“, „დამსხვრევა“, სიკრუშა.

„საღაცა დააბყრის იგი, დაჰქუეთის“ მარკ. 9,18, შოუ აუთი კათაბეჭ, ტრეტი აუთი; გде ნი სხვათს ეგი, პოვერ ეგი აუთი.

თუმცა ბერძნულ ტექსტებში შესაბამის ადგილის სხვა ზმნაა დასახელებული (ტრეტი), მაგრამ მასაც, როგორც ვნახეთ, იგივე მნიშვნელობა აქვს, რაც პიპა-ს ან ოპ-პიპა-ს. ეს ნათლად ჩანს ბიბლიის ერთი ადგილის თარგმანიდანაც, საღაც ქართული დაკუეთგადა-და-დეთგა სწორედ ბერძნულ ოპ-პიპა-ს გადმოსცემს: ფინა იკოტესინ მეგას ტრეტი აუთი — „შიში ბნელი დიდი დაეკვეთა მას“¹.

მაშასადამე, ძველი ქართული გრამატიკული ტრეტინი დაკვეთა ბერძნული ტრეტინის პატიც-ის შესატყვისია.

ამონიოს ერმისის თხზულებათა ქართულ თარგმანებში ბრუნვა-თა შემდეგი სახელწოდებებია დასახელებული:

სახელობითისათვის — ევთია, კატეგთია, ორთი.

ნათესაობითისათვის — ნათესაობითი, გენიკი.

მიცემითისათვის — მიცემითი, დოტიკი.

აიტიატიკესათვის (ლათ. ოკუზატიკუსისათვის) — მიზეზობითი.

ამავე ტექსტებში „პირდაპირი“ და „ირიბი“ ბრუნვების აღმნიშვნელი ტრეტინებიც გვხვდება. ამასთან დაკავშირებით მ. რაფაელ შენიშვნაც: მართლისხებრ ბტოხი არის კატ’ ომერი პატიც-ის ადგილის და ნიშნავს „პირდაპირ ბრუნვას“, ხოლო ივურდიობის ბტოხი (პლაკის პატიც) „ირიბ ბრუნვას“ ოღნიშნავს².

გაუგებარიია ტრეტინი კატეგთია. ევთიას შესახებ მსჯელობა უკვე გვჩონდა, მაგრამ რას ნიშნავს კატეგთია? როგორც მ. რაფაელ შენიშნავს, „ამ ტრეტინში „ბერძნული კატა წინდებულიანი ესმენა სიტყვა არის გაღმოტანილი“³. როგორც აქედანაც ჩანს, ბერძნულში ეს ტრეტინი, კატ’ ესმენა ისე გადმოითარება: „ევთიას თანახმად“, ესე იგი, „ამ ბრუნვის თანახმად“, ან „ამ ბრუნვაში“ და რატომ აკეთებს მთარგმნელი ტრეტინის, გაუგებარიია. აქ შეიძლება შევნიშნოთ,

¹ მცხეთური ხელნაწერი (მოსეს ხელწიგნული, ისო ნაც. მსახულთა, რუთი), ტექსტები გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლეული დაურთო ელ. დოჩ. ან. შვილმ., თბ. 1881, გვ. 69.

² ამონიოს ერმისის თხზულებები..., გვ. 0106.

³ ოქც. გვ. 0106.

რომ კომენტატორები ესთესა-ზე მსჯელობისას, განსამარტივად იღებენ გამოთქმას კათ' ესთესა-ს. იქნებ, მთარგმნელისათვის ეს ცნობილი და ჩვეულებრივი მოვლენაა.

ბრუნვათა სხვა სახელშოდებები დადასტურებულია ქართულ გრამატიკულ ტრაქტატშიც. მაშასადამე, აქ იმის თქმა შეიძლება, რომ XI-XII საუკუნეებში ლიტერატურულ წრეებში გამოიყენებოდა ქართველ მთარგმნელთა მიერ შემუშავებული და გარევეული უკვე ტრადიციად ქცეული გრამატიკული ტერმინოლოგია, რომელიც თანდათან იხვეწებოდა და იცხებოდა.

„ბერძნების შეილის შვილსა, ნუუკუ და ორა უეჭუელსა, თვთ უეჭი და საკუთარი შეილი ალვირჩიეო“, — უთქვაშს ეფრემ მცირეს და XI-XII საუკუნეების ქართული მთარგმნელობითი საქმიანობის მთავარი პრინციპის გამომხატველი ეს სიტყვები ძველი ქართული გრამატიკული აზროვნების ხასიათის განმსაზღვრელიცაა. სწორედ ამ პრინციპით ქართველმა მეცნიერებმა შექმნეს ის უმნიშვნელოვანესი ქართული გრამატიკული ტერმინოლოგია, რომელიც „თვთ უეჭია“, ანუ უშუალოდ მიემართება ბერძნულს და რომელიც ვარობამ მხოლოდ ლათინიზებული ფორმებით აითვისა.

ხესახე თავი

**დიონისიოს თრაკიელის „გრამატიკის ხელოვნება“ და
 ევროპული ტენდეციები XVII-XVIII საუკუნეების
 ქართულ გრამატიკულ აზროვნებაში
 (პირველი ქართული გრამატიკული თხზულებანი)**

როგორც ცნობილია, საქართველოს ურთიერთობა ბიზანტიის-თან შეწყვიტა მონლოლთა შემოსევამ. მათ სხვა დამპყრობლებიც მოჰყვნენ და XIII-XVI საუკუნეების საქართველოში ბევრი რამ განადგურდა. ამ პერიოდში XI -XII საუკუნეების ქართული მეცნიერებისა და ხელოვნების განვითარება შეფერხდა. ეს შეეხმ მეცნიერებისა და ხელოვნების მრავალ სფეროს და, მათ შორის, ენისმცოდნეობა-საც, რომლის აღდგენა-აღორძინებაც XVII საუკუნიდან დაიწყო, მაგრამ ამ ორი პერიოდის ქართული გრამატიკული აზროვნების ხასიათი შესამჩნევად განსხვავდება ერთმანეთისაგან, რამდენადაც განსხვავებულია ისტორიული ვითარება, ისტორიული გარემო, ისტორიული კავშირები; თუ XI-XII საუკუნეების ქართული გრამატიკული აზრი უშუალოდ ბერძნულს მიემართება, რაც განპირობებულია ასაუკუნეების საქართველოს ურთიერთობით ბიზანტიისთან, XVII-XVIII საუკუნეების ქართულ გრამატიკულ აზროვნებაში შესამჩნევ კვილს ტოვებს ამ პერიოდის საქართველოზე დასავლეთ-ევროპის კულტურულ-ლიტერატურული გაფლენა. ეს არ იყო მხოლოდ ქართული ვითარების ამსახველი. მას შემდეგ, რაც ბოსფორზე დაეცა კონსტანტინეს დიდი ქალაქი და არსებობა შეწყვიტა ბიზანტიის იმპერიამ, ცივილიზებულ მსოფლიოს კულტურის მედროშედ ლათინიზებული ევროპული სამყარო მოევლინა.

ცნობილია, რომ შეასაუკუნეების დასავლეთ ევროპაში წამყვანი როლი კათოლიკურ ეკლესიას ეკავა. ეკლესია ხელმძღვანელობდა სწავლა-განათლებასაც. ეკლესიისა და მეცნიერების ენა ლათინური

იყო, ხოლო ლათინური ენის ძირითად სახელმძღვანელოებად აღია-
რებული იყო რომაელი გრამატიკოსების — დონატუსის (IV ს.) და
პრისკიანეს (VI ს.) შრომები.

3.1. დონატუსის გრამატიკა ორი ნაწილისაგან შედგება: *Ars minor* („მცირე ხელოვნება“) და *Ars maior* („დიდი ხელოვნება“). პირველი დაწყებითი სწავლებისათვის იყო: აქ შემოქლებით და მარტივად არის გადმოცემული მოძღვრება მეტყველების ნაწილთა შესახებ. საკითხები კითხვა-პასუხის სახითაა მოწოდებული, ხოლო *Ars maior*-ში განხილულია ფონეტიკა და უფრო ვრცელი მსჯელობაა მეტყველების ნაწილთა შესახებ.

VI საუკუნის დასაწყისში პრისკიანე წერს ლათინური ენის სევე ძალზედ მნიშვნელოვან სახელმძღვანელოს — *Institutio de arte grammatica* ანუ, როგორც მოვიანებით მოიხსენიებდნენ, *Institutiones grammaticae* (გრამატიკის კურსი)¹.

პრისკიანე თავის შრომებში ბერძენ მეცნიერთა, განსაკუთრებით, აპოლონიოს დისკოლოსის, ავტორიტეტსა და იზრებს ეყრდნობა და ლათინური ენის აღწერის დროს მნიშვნელოვანწილად ეფუძნებოდა ბერძნულ გრამატიკულ სისტემას, რაც აპოლონიოსს, თავის მხრივ, დიონისიოს თრაკიელისაგან ჰქონდა ნასესხები.

როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია შენიშნული, ვერც დონატუსი და ვერც პრისკიანე, ადრე შუასაუკუნეების მასწავლებლებად რომ იქცნენ, ვერ გასცდნენ თავიანთი ბერძენი და რომ იყლი მასწავლებლების უბრალო კომპილაციური შრომების დონეს, მაგრამ ვინაიდან შუასაუკუნეების მეცნიერთაგან მხოლოდ მცირე ნაწილმა იცოდა ბერძნული ენა, სწორედ პრისკიანესა და დონატუსის მეშვეობით გაიცნო მთელმა ევროპამ ბერძნული ლინგვისტური აზროვნება, ამ სახელმძღვანელოების საფუძველზე ჩამოყალიბდა ევროპული ენების გრამატიკული ტერმინოლოგია².

რომაელ გრამატიკოსთა შრომების გავლენა მომდევნო საუკუნეებში კიდევ უფრო გაიზარდა და დასავლეთთან ერთად აღმოსავლეთშიც შეაღწია. ამაზე ნათლად მეტყველებს ის ფაქტი, რომ XVII საუკუნიდან ლათინიზებული გრამატიკის სახელმძღვანელოები იწერება სომხურ ენაზეც კი, რომელზეც ჭერ კიდევ V საუკუნიდან არ-

¹ История лингвистических учений. Средневековая Европа, Л., 1985, гл. 255.

² ც 33.



სებობდა თრაკიელის თხზულების თარგმანი, გაღმოღებული უნდა ლოდ ბერძნულიდან¹.

ლათინური ენის სახელმძღვანელოებს საქართველოშიც XVII საუკუნიდან ეცნობიან. ცნობილია, რომ 1628 წლიდან საქართველოში შემოვიდნენ კათოლიკ მისიონერები. მათ დააარსეს სკოლები, სადაც ასწავლიდნენ ლათინურ, იტალიურ და ქართულ ენებს. ცხადია, რომ ლათინური ენის სახელმძღვანელო ან დონატუსისა იყო, ან პრისციანესი და ქართული ენის გრამატიკაც, რომელსაც თვითონვე ადგენდნენ, რა თქმა უნდა, რომაული გრამატიკის ყაიდაზე იყო აგებული.

1643 წელს რომში გამოიცა ლათინურ ენაზე დაწერილი ქართული ენის გრამატიკა (მეორედ ეს წიგნი 1670 წელს გამოუცია), რომლის ავტორია გურიაში მოღვაწე მისიონერი ფრანგესკო მარია მაჯო. მან 22 წელიწადი მოანდომა ქართულ გრამატიკაზე მუშაობას². ეს გრამატიკა ეძღვნება რომის პაპს ურვან მერვეს. მაჯო სწორედ ურვან მერვეს გაუგზავნია იბერიისა და კოლხეთში, რათა შეხვედროდა თანამემამულე მისიონერებს, რომლებიც იქ არავნავტების საოცნებო ოქროს საძებრად კი არ იმყოფებოდნენ, არამედ ემორჩილებოდნენ პაპის ბრძანებას. მაჯოს ელჩობის მთავარი მიზანი ყოფილია ქართული ენის მოქცევა სასწავლო სისტემაში. მაჯო, ანუ „მუსა მაჯო“ (მუსიე მაჯო), როგორც მას ქართველები უწოდებდნენ, ჩენში ცნობილი ყოფილი როგორც ფრანგი ვაჭარი. საერთოდ, ცნობილია, რომ კათოლიკე მისიონერები ისე ინილებოდნენ, ხალხი მათ მხოლოდ ექიმებად და ვაჭრებად იცნობდა³.

1724 წელს კი გორში შეუდეგნიათ იტალიურ-ქართული ლექსიკონი, რომელსაც წინ უძღვის ქართული ენის გრამატიკული დანასიათებაც. ვინაიდან ავტორი უცნობია, მას „გორულ გრამატიკას“ უწოდებენ⁴.

¹ Г. Джакян, Общее и армянское языкознание, Ереван, 1978; Յօնօզը. Языкознание в Армении в V-XVIII вв. Պօցնօ: История лингвистических учений. Средневековая Европа, ց. 258-267.

² А. Цагарели, О грамматической литературе грузинского языка, ց. 110.

³ ლითონური პროპაგანდის მოქლე მსტორია, კათოლიკე მისიონერების მოქლე წელი სინტერესოდაა მოთხოვთილი თედო უორდანის წერილში „Антоний I, Католикос Грузии и архиепископ Владимирский и Яропольский, რომლის ქართლი თამაში დაიბეჭდა საქართველოს მართლადიდებელი ეკლესიის საღვთოსმეტყველო და სამეცნიერო თრგანოში. „საღვთოსმეტყველო კრებული“, 1, თბ., 1991, ց. 69-74.

⁴ յ. ծ. ծ. Շ Ա Շ Վ Ա Լ Ո , թ. Շ Մ Ա Հ Գ Ա Օ Ժ , անტონ პաრვեლის ქართული ლრმმატიკა..., ց. 24.

„ამ ორ გრამატიკას რვა ათეული წელი უზის შუაში, — წერენ ე. ბაბუნაშვილი და თ. უთურგაძე, — „გორულ გრამატიკაში“ საილუსტრაციო მასალა თითქმის უშეცდომოდ არის მოყვანილი, მაგოს გრამატიკაში კი ქართული ფორმები ძალიან ხშირად არის დამახინ-ჭებული“¹.

6. ორლოვსკიამ, რომელმაც შეისწავლა იტალიურ ენაზე შექმნილი ეს უცნობი გრამატიკა XVIII საუკუნისა, აღნიშნა, რომ „გორული გრამატიკის“ პარადიგმები კარგად ყოფილი ცნობილი ქართველთათვის და მას კიდევ იყენებდნენთ. საინტერესოა, რომ ექვსი ძირითადი ბრუნვა, რომლებიც ნასესხებია ევროპული გრამატიკიდან, გვხვდება იმ დროის ქართველი ავტორების ნაშრომებშიც. სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის ზოგიერთ ნუსხაში წარმოდგენილია ექვსივე ბრუნვა იტალიური სახელდებით: ნომენატიონ, ჯენეტიონ, დატიო, აკუსატიონ, აბლატიონ, ვოკატიონ.

მაშისადამე, XVII საუკუნიდან ქართულ გრამატიკულ ლიტერატურაში თავს იჩენს ლათინიზებული ტერმინოლოგია და რომაულ გრამატიკოსთა მიერ შეცვლილი გრამატიკული პარადიგმები.

3.2. ქართული სახელი მაგოს გრამატიკაში განხილულია ექვს ბრუნვაში; ბრუნვათა რიგი და სახელწოდებები ასეთია: Nominativus (სახელობითი), Genetivus (ნათესაობითი), Dativus (მიცემითი), Accusativus (შემასმენლობითი), Ablativus (დაწყებითი).

ძველ ქართულში, როგორც ვნახეთ, თრაკიელისეული ტერმინებია:

- 1) ორთი, ეფთია, ადვილობითი
- 2) გენიკი, ნათესაობითი, შობილობითი
- 3) დოტიკი, მიცემითი
- 4) მიზეზობითი
- 5) წოდებითი

XI-XII საუკუნეების ქართულ გრამატიკულ ტერმინოლოგიაში შერჩერობით არაა დადასტურებული ტერმინი — სახელობითი, არც მისი ბერძნული ვარიანტი — ონიმასტიკი, მაგოს გრამატიკაში კი გამოჩენდა მისი ზუსტი ლათინური შესატყვევისი — Nominativus-ი.

აյ კიდევ ერთხელ უნდა შევეხოთ ძველ ქართულ ტერმინს — ადგილობითი. იგი უკვე აღარ ჩანს XVII-XVIII საუკუნეების ქარ-

¹ И. К. Орловская, Грузия в литературах Западной Европы XVII-XVIII веков, Тб., 1966, გვ. 150.

თულ გრამატიკულ ტერმინოლოგიაში და არ იხმარება არც დღე-ვანდელ ქართულ გრამატიკულ ლიტერატურაში: პირველი ბრუნვი-სათვის, მიუხედავად იმისა, რომ ბერძნულში სამი სახელწოდებაა: 'Onomastika', ორთი, ესთესა, რომაელებთან ორი ტერმინია: Nominativus (სახელობითი) და Rectus (პირდაპირი). მათ ან არ თარგმნეს ბერძნული ესთესა, ან იგი გაიგეს უფრო ფართო მნიშვნელობით „პირდაპირი“ და ბერძნულის ორი ტერმინისათვის გააკეთეს ერთი — rectus. თუკი ალფრედ გუდემანის თვალსაზრისით, რომაელებმა არასწორად თარგმნეს ბერძნული მათათაკი, მაშინ აქაც იმავე დასკვნის გაკეთება შეიძლება, რომ რომაელებმა არც ესთესა-ს მნიშვნელობა გადაიტანეს სწორად და მაშინ, ამ შემთხვევაში, ქართულ და სომხურ ტერმინებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება არა მარტო ქართული და სომხური ენათმეცნიერებისათვის, არამედ საერთოდ გრამატიკული აზრის ისტორიისათვისც.

ლათინური ტერმინები Genetivus-ი და Dativus-ი ბერძნულის ზუსტი კალიტებაა და არცერთ ენაში მისი თარგმნა განსხვავებულ გარიანტს არ მოგვცემდა, ხოლო რაც შეეხება Accusativus-ს, როგორც უკვე ვთქვით, ლათინურში იგი „ბრალდება“ ზნას უკავშირდება და მიუხედავად იმისა, რომ ძველ ქართულ გრამატიკულ ტერმინოლოგიაში არსებობდა ბერძნულის ზუსტი შესატყვისი — შიშე-ზობითი, ლათინური ენის გავლენით და, ცხადია, მისიონერთა შრომების საშუალებით, XVII საუკუნიდან ჩნდება ლათინური სახელწოდება ამ ბრუნვისა Accusativus-ი, სულხან-საბასთან — იტალიური აკუსატიონ.

სამეცნიერო ლიტერატურაში, როცა ამ ბრუნვის შესახებაა მსჯელობა, ხმარობენ ტერმინს — ბრალდებითი, რა თქმა უნდა, ევროპული გრამატიკების გავლენით, როცა არსებობს „თვით უკვევი“ ძველი ქართული გრამატიკული ტერმინი — შიშეზობითი.

მექევსე ბრუნვა Ablativus-ი ლათინურში ცნობილმა რომაელმა მოაზროვნებ — ვარონმა შემოიღო. მაგოსთან, „გორულ გრამატიკა-სა“ და სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის ხელნაწერში ეს ბრუნვა უკვე ფიგურირებს, ხოლო მისი ქართული ვარიანტი ანტონთან დასტურდება — დაწყებითი.

საბოლოოდ ვიტყვით, რომ ამ პერიოდის ქართული გრამატიკული აზროვნების ძვლევისას გასათვალისწინებელია არა მარტო ბერძნული, არამედ ლათინური ენისა და მასზე გაწყობილი ევროპული გრამატიკული თხზულებანი.

3.3. ლათინური ენის გავლენით შეიცვალა მეტყველების ნაწილი: სახელი, ნაცვალსახელი, ზმნა, მიმღეობა, ზმნიშედა, წინდებული, თანდებული, შორისლებული და კავშირი¹.

თრავიელთან სხვა რიგი და თანმიმდევრობაა და ამას თავისი ახსნაც აქვს კომენტატორებთან².

სახელის შემდეგ ნაცვალსახელი რომაელმა გრამატიკოსებმა გადმოსცეს და ლათინურში განუსაზღვრელი ორტიკლის უქონლობა შორისლებულების ცალკეულ სიტყვითა კლასით აანაზღაურეს, ან-ტონთან რიგი ასეთივე, მხოლოდ რვა მეტყველების ნაწილია, მაგოს გრამატიკისაგან განსხვავებით, ანტონთან არ არის წინდებული.

როგორც ვხედავთ, XVII საუკუნიდან ქართულ გრამატიკულ ლი-ტერატურაში ლათინიზებული ტერმინოლოგიასთან ერთად იქრება ლათინური გრამატიკული დებულებები. ამ პერიოდს ასე ახასიათებენ ე. ბაბუნაშვილი და თ. უთურგაძე წიგნში „ანტონ პირველის ქართული ლრამმატიკა“ და მისი ერთვნულ-ისტორიული მნიშვნელობა“: „1687 წლის 15 აგვისტოს სულხან-საბა ორბელიანმა მიიღო კათოლიკური სარწმუნოება. მან აღზარდა მომავალი მეფე ვახტანგ მეექესე, რომელიც აგრეთვე ფარიულად მოიქცა კათოლიკურ რჯულზე და საიდუმლო მიწერ-მოწერა ჰქონდა კათოლიკურ სამყაროსთან. აქ ჩამოთვლილ პირთაგან თვითეული დიდად იყო დაინტერესებული ფილოლოგიური საქმიანობით და, ბუნებრივია, მისიონერთა საექლესიო, სასკოლო და ფილოლოგიურ მოღვაწეობას გულდასმით აღენწებდა თვალყურს. ზურაბ შანშოვანი, ავტორი 1737 წელს დაწერილი მოკლე ქართული გრამატიკისა, ვახტანგ მეექესის სამეფო კარის მსახური იყო; ანტონ კათალიკოსი ქართული ენის გრამატიკის შემქმნელმა, გორის მისიონის წარმომადგენელმა ჯიროლიმო და ნორჩიამ (იგივე იერონიმე ნორჩელი) მოაქცია კათოლიკურ ჩწმენაზე, რაც ოციცალურად ეცნობა კიდეც რომს. ასეთ ვითარებაში გაუმართლებელი იქნება იმის ვარაუდი, რომ ზურაბ შანშოვანმა და ანტონ კათალიკოსმა, იტალიელთა საგრამატიკო მოღვაწეობის შესახებ არაფერი იცოდნენ და მხოლოდ სომხური გრამატიკები ჰქონდათ სახელმძღვანელოდ, მხოლოდ მის მიხედვით ქმნიდნენ თარგმანის ტიპის ნაშრომებს ქარ-

¹ არ. ჩიქობავა, პირველი ქართული ლექსიკოგრაფიული და გრამატიკული ნაშრომების შესახებ, მ. წიგნში: არ. ჩიქობავა, ჭ. ვათევაშვილი, პირველი ქართული ნაბეჭდი გამოცემები, თბ., 1983, გვ. 30.

² ის. კომენტატორი: §11, 4.

თული ენის „შესახებ“¹. ასეთია იმდროინდელი რეალური ცოტარება საქართველოში.

3.4. ხულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის შექმნა წინ უსწრებდა ზურაბ შანშოვანის გრამატიკას. სულხან-საბას „ქართულ ლექსიკონში“ ბევრი საგულისხმო გრამატიკული ტერმინია, საგულისხმოა იმით, რომ ბევრი მათგანი ძველ ქართულ მწერლობაში, ჩვენს ხელთ არსებული ძეგლების მიხედვით, დადასტურებული არ არის, ესე იგი საბა იყენებდა იმ ტერმინოლოგიას, რასაც ჩვენამდე არ მოუღწევია, ან თვითონ ქმნიდა მათ.

საბას „ქართული ლექსიკონის“ ზოგიერთ ნუსხაში დაცულია „ღრამატიკათა რომელობანი“. იგი ლათინური ტერმინების იტალიური გადმოცემაა და როგორც ნ. ორლოვსკაია აღნიშნავს, „გორული გრამატიკის“ პარადიგმების მიხედვითაა შექმნილი².

საბას ლექსიკონში ბრუნვათა ბერძნული სახელწოდებიცაა შეტანილი. ეს უკვე XI-XII საუკუნეების ქართული გრამატიკის ტერმინოლოგიის ანარეკლია. საბას ეს ტერმინები ამონიოს ერმისის თხზულებათა ქართული თარგმანებიდან აქვს ამოლებული: დართი (ბრზ), ევთია || კატეგთია (ემჩერი), გენკი (γενική), დოტიკა || დოტიკი (δοτική).

გაუგებარია, რატომ არ მოხვდა საბას ლექსიკონში ბრუნვათა ის ქართული სახელწოდებები, რაც იმავე ამონიოს ერმისის თხზულებათა ქართულ თარგმანებშია დადასტურებული: ნათესაობითი, მიცემითი, მიზეზობითი.

სულხან-საბა ორბელიანის „ქართული ლექსიკონი“ არის იმ ფაქტის ამსახველი, თუ როგორ მკვიდრდებოდა XVII საუკუნის ქართულ გრამატიკულ აზროვნებაში ლათინური ტერმინოლოგია ძველი ქართული გრამატიკული ტერმინების გვერდით.

3.5. „მოკლე ღრამმატიკა ქართული ენისა, ქმნული ზურაბ შანშოვანისაგან. 1737 წელს“ ალექსანდრე ცაგარელმა გამოსცა 1881 წელს.

ილ. აბულაძემ ამ შრომის პირველწყაროდ მიიჩნია სიმეონ ჭულავცის სომხური ენის გრამატიკა. მანვე აღნიშნა, რომ თვით სიმე-

¹ ე. ბაბუნაშვილი, თ. უთურგაიძე, ანტონ პირულის „ქართული ლრომმატიკა“, გვ. 26.

² И. К. Орловская, Анонимная грузинская грамматика XVIII века на итальянском языке, т. I, 1737, 1737, გვ. 142.

ონის გრამატიკა „...დიონისე თრაკიელის გრამატიკული ტრაქტატის სომხურ თარგმანისა და მის კომენტარებზეა დამოკიდებული, ეს ჩანს აღნაგობის, ტერმინების ხმარებისა და კატეგორიების განსაზღვრებათა მხრივ“¹.

ე. ბაბუაშვილისა და თ. უთურგაძის სპეციალურ წერილში „ზურაბ შანშოვანის „მოქლე ლრამატიკა ქართული ენისა“, ვყითხულობთ: „ქართული ენის ფონეტიკასა და მორფოლოგიაში ზოგადი დებულებები ზ. შანშოვანს მართლაც გადმოთარგმნილი აქვს ს. ჭულაეცის გრამატიკიდან, მაგრამ ეს ზურაბ შანშოვანს სრულებითაც არ აყენებს ჩრდილს, რადგან საშუალო საყუსნების გრამატიკები ზოგად ნაწილში (და არა მარტო ზოგადში!) ბერძნულ-ლათინური გრამატიკების თარგმანებს წარმოადგენენ ... შორს რომ არ წავიდეთ, როგორც ზემოთ ვთქვით, გარევინ ზარბანალიანზე დამყარებით ილია აბულაძე აცხადებს, რომ თვით ს. ჭულაეცის გრამატიკა თარგმანია დიონისე თრაკიელის გრამატიკისა და მისი განმშარტებლების ტრაქტატებისა“².

ამ წერილშივე ნათქვამია, რომ ზ. შანშოვანს, გარდა ილ. აბულაძის მიერ მითითებული სიმეონ ჭულაეცის სომხური გრამატიკისა, გამოუყენებია პოგანეს ჭულაეცის გრამატიკაც; ზ. შანშოვანს გაუთვალისწინებია სულხან-საბა ორბელიანის ზოგი დავირევება, რომლებიც წარმოდგენილია „სიტყვის კონაში“. ზურაბის „ქართული ლრამატიკა“ კომპილაციური ნაშრომია, სადაც ზოგი რამ ზედმეტია ქართული ენის თვალსაზრისით, მაგრამ საყურადღებოც მრავალია, რასაც გულდასმით უნდა გამორჩევა ქართული ენის შესწავლის ისტორიაში³.

ჩვენს ამოცანას არ შეაღვენდა ზ. შანშოვანის გრამატიკის შედარება დიონისიოს თრაკიელის გრამატიკისთან, რაც თავისითავად საინტერესო იქნებოდა, მიუხედავად იმისა, რომ შანშოვანის გრამატიკა ბერძნული დედნის საფუძველზე არაა შექმნილი. მაგრამ აქ სომხური წყაროების ცოდნაც საჭიროა და მათი მიმართების დადგენა ბერძნულ პირველწყაროსთან, რაც, ალბათ, მომავლის საქმეა და რომლის განხორციელებაშიც ყველა დაინტერესებულ პირს გა-

¹ ილ. აბულაძე, ქართული გრამატიკული ლიტერატურის აღრიცხველი ძეგლები, შრომები, ტ. II, 1976, გვ. 170, 174.

² ე. ბაბუაშვილი, თ. უთურგაძე დებე, ზურაბ შანშოვანის „მოქლე ლრამატიკა ქართული ენისა“, იმპრიულებული ენათმეცნიერების წელიშაფული, თბ., 1992, გვ. 25.

³ იქვე, გვ. 25-26.

რკვეულ სამსახურს გაუწევს თრაქიელის „გრამატიკის ხელოვნების“ ჩვენს მიერ შესრულებული თარგმანი. გარევეული დაკვირვებანი ამ თვალსაზრისით ე. ბაბუნაშვილისა და თ. უთურგაიძის ზემოთდასა-ხელებულ წერილშიც გვაქვს. მათ აჩვენეს, რომ შანშოვანთან ისეთი აღილებიცაა, რაც არის სიმეონ ჭულაცის გრამატიკაში და არის თრაქიელის „გრამატიკის ხელოვნებაში“. მაგალითად, შანშოვანთან, როგორც თრაქიელთან, ერთი თავი ეხება „გრძელ მარცვალს“, რომელიც შეიძლება იყოს ბუნებითი და მდებარეობითი (შდრ. თრაქიელის ფრთხ „ბუნებით“ და მეტ „მდებარეობით“)¹.

ბუნებით გრძელი მარცვალი, თავის მხრივ, შეიძლება მივიღოთ ორი გზით. ბუნებითი გრძელი ანუ მაღალი არის დიფთონგი, როგორიცაა: ამ, ია, იო. მაგალითად, რამ, ბია, გიო. ბუნებით გრძელ მარცვალს ვიღებთ ხმოვანთა შემაღლების შემთხვევაში. ხმოვანთა შემაღლება ხდება მაშინ, როდესაც ხმოვანს ნახევარხმოვანი მოსდევს, მაგალითად: არ-ეს. „ზ. შანშოვანის გრამატიკის ეს აღილი მთლიანად ემთხვევა სიმეონ ჭულაცის გრამატიკის სათანადო აღვილს, ოღონდ ერთი განსხვავებით, სიმეონს მაგალითად არა აქვს დამოწმებული არ-ეს, მაშინ როცა ეს მაგალითი („Aρης“) არის დოონისე თრაქიელის გრამატიკაში. უნდა ვითიქროთ, რომ ან ზ. შანშოვანს ეს მაგალითი აღებული აქვს დიონისე თრაქიელის გრამატიკიდან, ან იგი სარგებლობდა კიდეც რაღაც გრამატიკით, რომელიც იგრეთვე დიონისე თრაქიელის გრამატიკას ემყარებოდა“, — შენიშვნავენ წერილის ავტორები².

შანშოვანის გრამატიკას ეტყობა ლათინურისა თუ ლათინიზე-ბული გრამატიკის კვალი. მაგალითად, იგი სახელის ექვს კატეგორიას ასახელებს: რაოდენი, სქესი, ნაკვეთი, სახე, რიცხვი, სრბოლი.

რაოდენი არის კატეგორია, რომელიც ქმნის საზოგადო და საკუთარ სახელთა დაპირისპირებას. სახელის ცალკე კატეგორიად რაოდენის (qualitas) გამოყოფა ლათინური ენის გრამატიკული შრომებიდან მოდის. იგი მავნეს გრამატიკაშიც გამოყოფილია.

სამწუხაროდ, ზურაბ შანშოვანის გრამატიკა შეუმნინეველი დარჩა მთელი საუკუნენახევრის განმავლობაში, ალ. ცაგარელის მიერ მის გამოქვეყნებამდე. ზურაბ შანშოვანის გრამატიკას დაწერის

¹ ე. ბაბუნაშვილი, თ. უთურგაიძე, ზურაბ შანშოვანის „მოკლე ლრაბ. მატიკა ქართული ენისა“, გვ. 33.

² იქვე.

³ ან. ჩიქობავა, პირველი ქართული ლექსიკოგრაფიული და გრამატიკული ნაშრომების შესახებ, გვ. 31.

დღიდანც შეეძლო დადებითი როლი ეთამაშა ქართული გრამატიკული აზრის განვითარებაში¹.

3.6. გრამატიკა — უკარი სიბრძნისა

გრამატიკა „თვინიერ იტესა, არს კარი სიბრძნისა, ხოლო თუ სა-დამე კარი სიბრძნისა არა შევჭლეთმცა სადამთმცა იქმნა მისლინამ ჩრდილი სიბრძნისა მიმართ“, — წერს დელი ქართული ენის პირველი ორგინალური გრამატიკის აფტორი ანტონ კათალიკოხი.

იმ „სიბრძნის კარის“ შესაღებად ანტონი სავანგებოდ მომზადებულა: „როსიისა ყოფასა ჩემსა ვიკითხვდი ელინურისა და ლათინურისა, და ფრანკიულისა, და იტალიანურისა, და გერმანიულისა, და რუსულისა ენათა მეცნიერთად. კუალად ვითარიმე იყო გუარი კმარებად ნაწილთა სიტუაციათა და სახეთა მათთა ენათა მათ შორის თქმულთა და მომიგებდიან და საცნაურ ჩემდა ჰყანან, ესრეთ დახელოვნებულ-იქმნა უმეტეს გონება კელოვნების ამის მიმართ².

და თუ სრულყოფილი არ არის, მომიტევეთო, — სთხოვს მკითხველს ანტონი: „ამისთვის მოქენე თქუმნდამი ვითხოვ, რათა ლოცუამ ჰყოთ ჩემდა და მოტევებად უმეტებისა ძლითნი ქმნილნი³“.

ანტონმა ორჯერ დაწერა გრამატიკის სახელმძღვანელო. პირველი 1753 წელს და მეორე — 1767 წელს. მეორე გრამატიკა გამოცემულია რაფიელ ერისთავის რედაქტორობითა და ალექსანდრე ეპისკოპოსის საფასით 1885 წელს.

მიუხედავად იმ ნაკლისა, რაც თანამედროვე ქართველ მეცნიერთათვის ადვილი შესამჩნევია, დილია ანტონ კათალიკოსის გრამატიკის მნიშვნელობა: ეს არის პირველი ქართული გრამატიკა, რომელშიც გამოყენებულია ქართველ მეცნიერთა მიერ უშუალოდ ბერძნულ გრამატიკულ მოძღვრებაზე დაყრდნობით შემუშავებული გრამატიკული დაკვირვებები და გრამატიკული ტერმინოლოგია და ბერძნულ-ლათინურ გრამატიკულ სისტემაზე დაფუძნებული ევროპული აზროვნების მთაპოვარი. ანტონის „ქართულმა ლრამმატიკაში“ განსაზღვრა ქართული გრამატიკული აზროვნების შემდგომი განვითარება.

იმის გამო, რომ ანტონი „ქართული ლრამმატიკის“ არაერთ ადგილას უთითებს მხითარ სებასტიანის სომხურ გრამატიკაზე, ე.

¹ ე. ბაბუნაშვილი, თ. უთურგაიძე, ზურაბ შანშევანის „მოკლე ლრამმატიკა ქართული ენისა“, გვ.49.

² ანტონ I, ქართული ლრამმატიკა, გვ.1.

³ იქვე, გვ.2.

ბაბუნაშვილი ანტონის გრამატიკას, სხვა მკლევართა კვალდამალ
მხოლოდ მხითარ სებასტიაცის გრამატიკას უდარებს¹.

ე. ბაბუნაშვილი თავის გამოკვლევის წინასიტყვაობაში წერს:

„ამთავითვე უნდა ოღნიშნოს ერთი გარემოება, თვითონ ანტონი დაუინებით უარყოფს თავისი გრამატიკის დაწერისას მხოლოდ სომ-ხური გრამატიკის გამოყენებას არა მარტო მეორე, არამედ პირველი რედაქციის წინასიტყვაობაშიც. პირველ რედაქციაში ის ამ-ბობს, რომ ამ მიზნით მან ლათინური ენის გრამატიკოსები მოიშველია (1,5r), მეორეში კი ასახელებს ბერძნული, ლათინური, ფრანგული, იტალიური, გერმანული და რუსული ენის გრამატიკოსებს (II,1v). ამ ასპექტში, ბუნებრივია, საკითხი ისმის ანტონის გრამატიკის მიმართებისა არა მარტო მხითარის გრამატიკასთან, არამედ ბერძნულ და ლათინურ გრამატიკებთანაც. მიუხედავად ამისა, ნაშრომში ანტონის გრამატიკის შედარება ბერძნულ-ლათინურ გრამატიკებთან ზედმეტად ჩავთვალეთ შემდეგი მიზეზების გამო. ცნობილია, რომ ბერძნულ-ლათინური ფილოლოგიური გრამატიკის სისტემას ემყარებოდა ევროპული ენების ყველა გრამატიკა და არ შეიძლებოდა ამ გავლენას ასცდენოდა მხითარიც, რომელიც ვენეციაში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა“².

ანტონის გრამატიკის კვლევისას, რა თქმა უნდა, მხითარის გრამატიკის გათვალისწინებაც აუცილებელია, მაგრამ აქ ერთი საკითხი წარმოჩინდება: როცა საუბარია იმაზე, ანტონმა თავისი გრამატიკა სომხებისაგან გადმოილო, გადმოილო თუ არა ის, რაც სომხების მიერაა შეცვლილი და კალიფური ბერძნულთან შედარებით? ანტონი, როგორც ამ გრამატიკიდან ჩანს, გულდასმით ეძიებდა სხვა ენათა გრამატიკულ კანონებს, რომელთა საფუძველიც თავისთვალი ალექსანდრიული სკოლის კანონებია და ამდენად, იმის გასარკვევად, თუ რომელი ენის გრამატიკიდან რა აიღო ანტონმა, პირველ რიგში, ამ გრამატიკათა მთავარი წყაროს — ლიონისიოს თრაკიელის „გრამატიკის ხელოვნების“ — გათვალიწინებაა საჭირო და მასთან მიმართებაში მთელი ევროპული გრამატიკული აზროვნებისა. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაძლოა მცდარი დასკვნების გაკეთება; ამ აზრის საილუსტრაციოდ დავიმოწმებთ შემდეგ მაგალითებს:

¹ ე. ბაბუნაშვილი, ანტონ პირველი და ქართული გრამატიკის საკითხები, თბ., 1970.

² ე იქვე.. გვ. 11.

ა. ანტონი ზმნას ასე განმარტავს: „ზმნად ვიღირებე არსებობისა და სიტყვასა, რომელი ქმნასა და ვნებასა პირიშე უამისა პირითურთ“ (I.87)¹.

ამ განსაზღვრებასთან დაკავშირებით ე. ბაბუნაშვილი შენიშვნავს: „როგორც ჩანს, ანტონისათვის, პირის კატეგორია ქართული ზმნის დასახასიათებლად, სრულიად სამართლიანად, იმდენად არსებითი და მნიშვნელოვანია, რომ ის ზმნის განსაზღვრაშიც კი შეაქვს (მხოლოდ პირველი რედაქციის „სიმეტრნეში“). ანტონი ამ შემთხვევაშიც დამოუკიდებელი ჩანს, რადგან მხითარის გრამატიკის შესაბამის ნაწილში პირის შესახებ არაფერია ნათქვამი“².

მართალია, ანტონის მსჯელობა ხშირად დამოუკიდებელია იმ გრამატიკებისაგან, რომელიც თავისივე თქმით, ის იყენებდა, მაგრამ ზმნის განსაზღვრაში პირის კატეგორიის შეტანა თრაჟიელის გრამატიკიდან მოღის: „Ρήμα ἐσπε λέξις ἀπτωτος, ἐπιδεκτική χρόνων τε και πρόσωπων και ἀριθμῶν, ἐνέργειαιν ἡ πάθος παριστᾶσα — ზმნა ორის უბრუნველი სიტყვა, რომელსაც შეუძლია გამოხატოს დრო, პირი და რიცხვი, მოქმედება ან ვნება“.

ზმნას ასევე განსაზღვრავს ზურაბ შანშოვანიც: „ზმნა არს ლექსი სასრბოლო, რომელი მყოფსა რამეს ანუ ქმნასა ანუ ვნებასა დანიშნავს უამითურთ და პირითურთ“.

როგორც ჩანს, მხითარმა შეცვალა ბერძნულის განსაზღვრება, ანტონმა კი — ორა.

ა. ე. ბაბუნაშვილისა და თ. უთურგაიძის წიგნში „ანტონ პირველის „ქართული ლრამმატიკა“ და მისი ეროვნულ-ისტორიული მნიშვნელობა“ კვითხულობთ: „რადგან უდავო, რომ მხითარის გრამატიკა ბერძნულ-ლათინური ფილოლოგიური გრამატიკის მიხედვით ორის გაწყობილი, შეიძლებოდა იმის დაშვებაც, რომ ანტონს ეს საკითხები ლათინური გრამატიკიდან აქვს აღებული და მხითარი აქ არაფერ შუაშია, მაგრამ მოსაზრების საწინააღმდეგოდ მეტყველებს ის ფაქტი, რომ ანტონს (ან, ალბათ, უფრო ფილიპე) მხითარის ზოგი ტერმინი სიტყვასიტყვით აქვს ნათარგმნი, ზოგი კი (განსაკუთრებით ეს ეხება კომპოზიტებს) არასწორად გაუგია და გადმოუთარებით ეს ეხება კომპოზიტებს“³.

¹ ე. ბაბუნაშვილი, ანტონ პირველი..., გვ.40.

² ი. ევე, გვ.28.

³ ე. ბაბუნაშვილი, თ. უთურგაიძე, ანტონ პირველის „ქართული ლრამმატიკა“..., გვ. 27.

აქ ჩამოთვლილ ტერმინთაგან ერთ-ერთია აღმოცნობა („კო-
თხვა“). ანტონის გრამატიკაში არის თავი, რომელსაც ეწოდება
„თუ აღმოცნობისა“: „ვინამთვან აღმოცნობა თანა-აძს ლრამმატი-
კოსსა და უწყით ესე გამოცდილებით, მაშასადამე, სათანადო არს
და შესაბამ წესიერ აღმოცნობად, რომლისა მიმართ საჭმარ არს
გამოცდილებით განხსნა სიტყუათა და ნაწილთა მისთა, რომლითა
შესაძლებელ არს უნაკლულოდ გამოლებად ლექსინი და სიტყუანი“¹.

თრაკიელის გრამატიკაშიც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მეორე
თავს ეწოდება Պერი 'Αναγυνώσεως ("კითხვის შესახებ"). აქაც კი-
თხვის წესებზეა საუბარი.

ანტონის ტერმინი აღმოცნობა ბერძნული ტერმინის
ძარღვათ-ის სემანტიკური კალკია. ანა წინდებული ითარგმნებო-
და ალ, აღმო ზმნისწინებით, ყოშთა — ცნობა, გონება. ამ ბერ-
ძნულ ტერმინში სწორედ ეს აზრი დევს: კითხვა აღმოცნობაა, ანუ
თხზულების ისე წაკითხვა, რომ სწორად აღვიმეცნოთ, გონებით აღ-
ვიქვათ.

მ. ანტონის გრამატიკაში პირველი ბრუნვისათვის ორი სახელ-
წოდებაა დასახელებული: წრფელობითი და სახელობითი.

ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში განმტკიცებულია აზრი,
თითქოს „პირველი ბრუნვის სახელი „სახელობითი“ რომაელი გრა-
მატიკოსებიდან მომდინარეობს. ბერძნულში მის ნაცვლად იხმარე-
ბოდა ორთე „წრფელობითი“, ე. ი. „პირდაპირი“².

ალ. ფოცხიშვილიც იმავეს აღნიშნავს: „ანტონი ქართულში
პირველი ბრუნვის სახელად ხმარობს წრფელობითსაც და სახელო-
ბითსაც. პირველი („წრფელობითი“) ბერძნულ ტრადიციას უწევს
ანგარიშს, იგი ბერძნული „ორთე“-ს თარგმანია, ხოლო მეორე —
„სახელობითი“ — ლათინურის კალკს წარმოადგენს (ნომინატივული
— „ნომენ“ სახელი)³. ზუსტად იმავე აზრისაა ე. ბაბუნაშვილიც⁴.

თრაკიელის გრამატიკაში, როგორც ვნახეთ, პირველ ბრუნვის
სამი სახელწოდება აქვს, ერთ-ერთია სახელობითი (ბიუმასტიკი).
ტექსტის ის პასაკი, სადაც ბრუნვათა სახელწოდებებზეა საუბარი,
მეორდება თითქმის ყველა სქოლისტთან, ამდენად, ცხადია, რომ
რომაელებმა, თავის მხრივ, ბერძნულ გრამატიკაზე დაყრდნობით,

¹ ანტონ I, „ქართული ლრამმატიკა“..., გვ. 292.

² ა. ჩიქობავა, ენათმეცნიერების შესახვათი, თბ., 1952, გვ. 269.

³ ა. ფოცხიშვილი, ნარკვები მეტყველების ნაწილთა კლასიფიკაციის ის-
ტორიიდან, თბ., 1960, გვ. 7.

⁴ ე. ბაბუნაშვილი, ანტონ პირველი..., გვ. 85.

შეიძლებავ ეს ტერმინი და ევროპულ გრამატიკებში იყი სწორედ ლათინურით გაფრცელდა.

დიონისიოს თრაკიელის გრამატიკა საქმაოდ სახეცვლილი იყო იმ დროისათვის, როცა დაიწერა ძველი ქართული ენის პირველი გრამატიკა, მაგრამ ანტონ პირველისა და დიონისიოს თრაკიელის გრამატიკების შედარება უთუოდ საინტერესო შედეგებს მოგვცემდა და უფრო ნათლად წარმოაჩენდა იმ ცალკეულ ცვლილებებს, რაც დროთა განმავლობაში განიცადა დიონისიოს თრაკიელის ფილოლოგიურმა გრამატიკამ და რა სახით მოაღწია მან ძველი ქართული ენის პირველ გრამატიკამდე. ჩვენს მიერ უკვე ჩატარებული კვლევის შედეგი კი ასეთია: სახელის კატეგორიათა რაოდენობის განსაზღვრისა და თანმიმდევრობის, ასევე შესაბამის ტერმინთა შერჩევის ხასიათის მიხედვით, ანტონ პირველის გრამატიკა უდავო მსგავსება-მიმართებას ავლენს დიონისიოს თრაკიელის გრამატიკასთან და, მეტიც, თითქმის მისდევს მას, რა თქმა უნდა, იმ შემთხვევების გარდა, საღაც ანტონი თავისი ენის ბუნებიდან გამომდინარე მსჯელობს.

ეს მსჯელობა რომ უფრო დამაკერებელი იყოს, დავიძოშვილი შესაბამის ადგილებს ანტონის „ქართული ლრამმატიკას“ და თრაკიელის „გრამატიკის ხელოვნებიდან“.

1) სახელს, როგორც თრაკიელის გრამატიკაში, ძველი ქართული ენის პირველ გრამატიკაშიც ხუთი კატეგორია, ანუ მდევარი აქვს. ანტონისეული ტერმინი მდევარი ზუსტი ექვივალენტია ბერძნული παρεπόμενον-ისა, რაც ზმნის παρέπομαι „თან მივყვები“, „მივდევ“ მიმღეობას წარმოადგენს: παρέπεται ზე თუ ბურმათ პენტე — თრაკიელისეული ეს ფრაზა სიტყვა-სიტყვით ასე ითარგმნება: „სახელს მისდევს, ახლავს ხუთი რამ“. ანტონი ამ ტერმინს ასე განმარტავს: „ამისთვის ზედ-წოდებულ ვჰყავთ ამათ მდევარად სახელისა, მით რომელ ემდევრებიან და ეგარემოებიან იგურდივ, რომელიცა არიან რიცხვთ ხუთ“¹.

მაშასადამე, სახელს ხუთი მდევარი აქვს:

Τέχνη γρამმაτική	ქართული ლრამმატიკა
γένος (სქესი)	ნათესავი (სქესი)
είδος (სახე)	ნაკრιტი (ნაკვეთი)

¹ ანტონ I. „ქართული ლრამმატიკა“, გვ.126.

ԾԽՄԱ (Բացբետօ)	ՍԱԵՐ (ՍԱԵՒ)
ՃՐԻԹՄՈԾ (ՌՈՒՑՑՈ)	ՌՈՒՑՑ (ՌՈՒՑՑՈ)
ՊՏԱՌՏԱ (ՃՐՄՆՑԱ)	ՃՐՄՆՑԻՐԱ (ՃՐՄՆՑԱ)

Հոգործը զեղացաւ, սակալու յարկարութատա համոնաւցալն ի գաճ-սեցացք մեռլուծ ուսա, հոմ „ըշամարույս եղաղցնեցա՛ն” սաեր (εἶδος) լվացրեց նայետու (ԾԽՄԱ).

2) ԳԵՆԻ ԵԼԾ ՏՐԻԱ
 (Նատեսացու (Նյեսո) ռուեսա:

ԱՐՏԵՎԻԿՈՆ (Ձամրոծութու)	ՁԱՄՐՈԾՈՒԹՈՒ
ԹԵՂՈՒԿՈՆ (Ձգութութութու)	ՁԳՈՒԹՈՒԹՈՒԹՈՒ
ՕՍԴԵՏԵՐՈՆ (Սա՛մուալու — ՍՈՒՐՊԱ-ՍՈՒՐՊՈՒԹՈՒ: ԱՐԿ ՈՍԵՏՈ, ԱՐԿ ՈՍԵՏՈ)	ՍԱՇՈՂԱԾՈՒ

ՏՐԱԿՈՐԵԼՈ օմասաց լասեցներ, հոմ ԷՆԻՈ ճէ պրօտաթեատ տօնտօւ ձլլա ճնո կունօն թ կալ էպիկաւու — Նոցուրութիւն յուգա ռու գամո-չուուցն: Սանուարուս դա նյեսանուարուս. ըոնաւուսու յրամարույսու ռուեսա յառիշուլու: *masculinum* (Ձամրոծութու), *femininum* (Ձգութութութու), *neutrun* (Սա՛մուալու) դա *comitune* — յս լույանասյենց-լու նուսիրու յըզօնցալունցու ծերմենուլու կունօն-ուսա դա սայրուուս (Սա՛նողագուս) նունացն; ռուեսա յեյսու տացուանց ուղա յարկարուցու ասյեց սոմենց յրամարույսուց¹. Հոմելու յրամարույսու առլու յս անդրոն-մա, լուտոնուրուուն ույ սոմենց ունանակութան, մելու սատվմելուա.

Հոգործը զնաեցտ, անդրոնու տանամեթորուց յրամարույսու Ծըրմինուս Նյեսօս օլսանունացած ույնեցն Ծըրմինուս նատեսացու: „Ձգութու յսյ Հոմելա նատեսացու ռուետա միմարտ սակալու օյս նշալլենա, համետու սակելու յնուսամեծի հույնուսա անց արև մամրոծութու, անց Ձգութութութու, անց լույս նշալլենաւու².

Ժցու յարուս յրամարույսու Ծրայթաւինու „սուրպաւա արտուռնատյան” սյեսուս օլսանունացած օթմարուց օգրուեց նատեսացու (ծերմենուլու Ծըրմինուս յընօտ-ուս տարցմանու)³, Հոմելուց յամույնեցու ասյեց նշրած մանուցանուս յրամարույսուց: „նատեսացու ռուեսա: Սամամա,

¹ Հ. Ա ծոնց, Դիօնիսի Թրակիական..., զ. CLXV; Գ. Ջ ա ս կ յ ա ն, յականա-նие в Армении..., զ. 245.

² Հ ե ր մ ե լ, „յարուս լրամմարույս”, զ. 127.

³ Յ ա ն ն ժ ե, „սուրպաւա արտուռնատյան”..., զ. 60.

საღედაო, ზიარი, არავინი”¹. ნათებავი შანშოვანის გრამატიკაში, რომელიც, ძირითადად, სომხურ მასალებს ეყრდნობა, ილ. აბულაძის ვარაუდით, სხვ სიტყვის თარგმანს წარმოადგენს².

ისმის კითხვა: როდის შემოვიდა გრამატიკულ ტერმინოლოგია-ში სიტყვა სქესი და როდის შეცვალა მან ტერმინი ნათებავი?

სქესი ბერძნული სიტყვაა — ო თხესი. ბერძნულში მას მრავალი მნიშვნელობა აქვს: „ფორმა”, „ტიპი”, „სახეობა”, „აღნაცობა”, „აგებულება”, „თვისება”, „მსგავსება”, „ქავშირი” (მრავალგვარი), მაგრამ თითქმის არცერთ ბერძნულ ლექსიკონში ამ სიტყვას ის მნიშვნელობა არა აქვს, რა მნიშვნელობითაც დღვევანდელ ქართულ გრამატიკულ ტერმინოლოგიაშია დამკვიდრებული.

ძველი მთარგმნელები ამ სიტყვას სწორედ იმ მნიშვნელობებით ხმარობდნენ, რაც აქვს ბერძნულში. პეტრიწი სქესს „ტიპის” გაგებით იყენებს³. განსხვავებული მნიშვნელობები აქვს ამ სიტყვას ამონის ერმისის თხზულებათა ქართულ თარგმანებში: სქესი — „მიმართება”, „კავშირი”, „ფუნქცია”, „დანიშნულება”, „ტიპი”⁴.

„ტიპის” მნიშვნელობა აქვს სქესს ზურაბ შანშოვანისა და ანტონ კათალიკოსის გრამატიკებშიც. ისინი განასხვავებენ ბრუნვათა სქესს (ანუ სახეობებს).

ხოლო რაც შეეხება ამ ტერმინს, ანტონის გრამატიკის || რედაქციაში გამოყენებულს კილოს მნიშვნელობით⁵, სავარაუდოა, იგი ლათინურის გავლენა იყოს: დოონისიოს თრაკიელის გრამატიკში კილოს აღნიშნავს ჰყ-კლისტ „კილო”. (შერ. რტს. სკლონენიე და հակլոնենիе). ლათინურში კილო (ჰყკლისტ) modus-ით თარგმნეს, რაც „ფორმას”, „ტიპს” ნიშნავს და შესაძლოა, ამ ტერმინის გავლენით გამოყენებინა ანტონის ბერძნული სიტყვა სქესი, რომელიც ქართულ ენაში უკვე დამკვიდრებული იყო „ფორმის”, „სახეობის” მნიშვნელობით (ისევე, როგორც დღესაა დამკვიდრებული ბერძნულივე სიტყვა ტიპი — ბ ტუიტ).

დავით ჩუბინაშვილი სქესს ასე განმარტავს: „მსგავსება”, „რამა მიმართობა”, (ლრამმ.) „სქესი ზმნათა” და სხვ.⁶ რამა მიმართობა

¹ ჭ. შანშოვანი, მოკლე ლრამმატიკა ქართულისა ენისა, გვ. 9-10.

² ილ. აბულაძე, ქართული გრამატიკული ლიტერატურის აღრინდელი ქველები, შრომები, გვ. 170, 171..

³ ითან პეტრიწი, შრომები, ტ., II, გვ. 75-76.

⁴ ამონის ერმისის თხზულებები..., გვ. 219.

⁵ ანტონ I, ქართული ლრამმატიკა”, გვ.

⁶ დ. ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსული ლექსიკონი, თბ., 1996.

ბერძნული პრის თ ეხოს-ის თარგმანია, რაც დიონისიოს თრიყელის გრამატიკაში სახელის ერთ-ერთი სახეობაა. პრის თ ეხო — რაიმეს-თან მიმართების მქონე სახელები ოთხი სახისაა: ფუსე, თუχი, თეხი კაὶ პრიარέσει· ფუსე მენ ას პატერ პრის სის, თუხი ბე, ას ბისლის პრის ბესპოტენ, თეხი ბე, ას მაზეთის პრის ბიბასკალის, პრიარესეი ბე, ას ფსის პრის ფსი — ბუნებითი, ბედითი, ხელობითი და არჩევითი. ბუნებითი, მაგალითად, მამა შეიღის მიმართ; ბედითი — მონა ბატონის მიმართ; ხელობითი — მოსწავლე მასწავლებლის მიმართ; არჩევითი — მეგობარი მეგობრის მიმართ¹.

სექსი ასევე განმარტებული საბას ლექსიკონში: „რომელ არს თანამინახეთქი, ანუ თანა-მიეგრობა. სექსი არს, ვითარცა კიბე რა-მე, გინა ნიშანი რამ განმყოფელი, ვითარცა განეყოფვის აღსავალი შთასავალსა სექსითა, უკეთუ ჟელოვნებისა მიერ, ვითარ იგი მოძლურისად მოწაფისა მიმართ, ანუ ბედისა მიერ, ვითარ იგი მეფისად მონისა მიმართ, ანუ წინააღმრჩევისა² მიერ, ვითარ იგი მოყუსისად მოყუსისა მიმართ, ანუ ბუნებით, ვითარ იგი მაძისად ძისა მი-მართ. ხოლო აწ თქმულთა ამათ სექსი ბუნება არს³.“

როგორც ე. ბაბუნაშვილი და თ. უთურგაიძე მიუთითებენ, ეს განმარტება უნდა მომდინარეობდეს ამონიოს ერმისის თხზულებათა ქართული თარგმანიდან⁴. უნდა შევნიშნოთ, რომ საბას განმარტება, რომელიც თითქმის სიტყვასიტყვით მიჰყვება სქოლიასტის ბერძნულ ტექსტს, ამავე დროს ნაწილობრივ ემთხვევა ერმისის თხზულებაში დადასტურებულ მონაკეთს. მიუხედავად ამისა, არა გვვნია, რომ საბა უშუალოდ იცნობდეს ბერძნულ სქოლიოს, განმარტება მაინც, ალბათ, ერმისის რომელიმე სხვა ქართულ თარგმანშია საძიებელი.

სექსის უარყოფითი ფორმა უსექსო ანუ უსექეტო, უსექეტო (ბერძ. ოსხეτის) პეტრიწონაა დადასტურებული. თრაკიელთან სახელთა ერთ-ერთ ჯგუფს ეწოდება ‚Απολεύμενი — თავისთავალი (აბსოლუტური); აქ ორი მაგალითია დასახელებული: ლმერთი და ლოგოსი; სახელები, რომელთაც არა აქვთ მიმართება (σχέσις), ისინი თავისთავადები არიან, ანუ უსექსოები (ასხეთის), ანუ, როგორც

¹ Scholia... გვ. 388.

² წინააღმრჩევად ბერძნული სიტყვის პრიარესი-ის კალკი.

³ ს უ ლ ხ ა ნ - ს ა ბ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი , ლექსიკონი ქართული, II აეტოგრაფული ნუსხების მიხედვით მომზადა, გამოკვლეულა და განმარტებათა ლექსიკის სამიებლები დაურთო ილ. იბულია ეკვემდებარებული, თბ., 1993.

⁴ ე. ბ. ბ უ ნ ა შ ვ ი ლ ი , თ. უ თ უ რ გ ა ი ძ ე . ზურაბ შანშოვანის „მოკლე ლრამ-მატიკა ქართულისა ენისა“, გვ. 21-22..

პეტრიშვის გადმოაქცეს უსქეტო¹. (ბერძნული ა აქ უარყოფითის შეწარმოებელია და უდრის ქართულ უს-ს).

XVII-XVIII საუკუნეებში სიტყვა სქეხი ისევ პოლისემიურია: აღნიშნავს „სახეობასაც“, „სქესას“ (თანამედროვე მნიშვნელობით), „წარმომავლობას“; ამ უკანასკნელის მნიშვნელობით ასეთი კომპოზიტიც გხვდება: **ტომ-სქეხი** (XVIII ს. საქართვ. სიძვ. II).

XIX საუკუნის ქართულ ლიტერატურაში და, რა თქმა უნდა, მეტყველებაშიც ეს ბერძნული სიტყვა სხვა მნიშვნელობითაც ჩანს უკვე დამკვიდრებული. მაგალითად, „დედათა სქესა... უკვე დაიმტკიცა უფლება უმილესი სწავლისა და განათლების მიღებისა“ (ილია); „[რაჭაში] მარტო მამრობითი სქესი არ მუშაობს“ (ი. გოგებაშვილი) და სხვ.²

არნ. ჩიქობავას აზრით, „ქართული გრამატიკული ტერმინი სქეხი უმართებული თარგმანია რუსული ტერმინისა რი (შდრ. ივ. „სქესი“). რუსული რი კი, თავის მხრივ, გადმოგვცემს ლათ.genus-სა და ბერძნულ γένος-ს, რაც ნიშნავდა „გვარს“, წარმოშობას. რი ტერმინის „სქესად“ თარგმანს, ალბათ, ხელი შეუწყო გამოთქმება მუჯ. რი, ჯენ. რი, genus masculinum, genus femininum, γένος ἀρσενικόν, γένος θηλυκόν“³.

ვფიქრობთ, აქ უნდა ვილაბარაკოთ არა რუსული ტერმინის რი-ის უმართებული თარგმანზე, არამედ ორი რუსული ტერმინი-სათვის ერთი შესატყვევისის არსებობაზე ქართულში.

ესე იგი, ბერძნულმა სიტყვამ სქეხი ქართულ გრამატიკულ ტერმინოლოგიაში მიიღო დამატებითი მნიშვნელობა, ის, რაც, ფაქტურად, ბერძნულში არ ჰქონდა და არა იქნეს. აქევე იმასაც აღვნიშნავთ, რომ, როგორც ჩანს, ქართულ ლიტერატურაში არსებული გრამატიკული ტერმინი ნათებავი უკვე დაშორებული იყო იმ გაეგბას, რაც ძველ ქართულ გრამატიკულ ლიტერატურაში ჰქონდა (სქესი) და ბევრად დავიწროვებული იყო მისი ზოგადი შინაარსიც. რუსულმა გრამატიკულმა ტერმინოლოგიამ კი შეინარჩუნა იგი — რი. ბერძნულშიც ისევ გένοს-ი დარჩა ამ გრამატიკული კატეგორიის აღსანიშნავიდ.

3) Είδη δύο (სახე ორია)

πρωτότυπον (პირველადი)
παράγωγον (ნაწარმოები)

სახე ორია

პირველსახე ანუ ძირი
სხმით-გარდასლუთი

¹ ოთანე პეტრიშვი, შრომები, ტ., II, გვ. 44.

² ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. VI, თბ., 1960, გვ. 1206.

³ ა. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი ფენტულება, თბ., 1942, გვ. 90.



ბერძნული ტერმინი პრატბულის სიტყვასიტყვით „პირველსა და მეორეს“, „პირველ ტაბს“, „ნიშნავს“ ნიშნავს, ხოლო პარაგავის კი მომდინარეობს ზმინდან პარ-ა-გა, რაც ნიშნავს „გადაადგილებას“, „გადასცლას“, „გადასხვაფერებას“. თრაკიელთან ნაწილმოები სახელები მხოლოდ შინაარსის მიხედვითაა გარჩეული, ანტონთან კი ფორმის მიხედვითაც, ტერმინი სხმითგარდახლუთიც აქედან მომდინარეა: სხვადასხვა მაწარმოებლების (“კერძოკების”) დართვით (დასხმით) პირველსახე სხვა სახეს იღებს, სხვა ფორმაში გადადის — სხმით-გარდასლუთია.

ანტონს ნაწარმოებ სახელთა თერამეტი ჯგუფი აქვს ჩამოთვლილი. ერთ-ერთი ჯგუფი წესებითი სახელებია: „რომელნიმე ზედ-წოდებულ წესებითად, ამად რომელ დარაეს სხმის სახელსა-ჰყოფს წესებითად. მაგალითებრ: მე — ე. მეორე, მესამე“¹.

ე. ბაბუნაშვილი შენიშნავს, რომ ეს ჯგუფი მხითართან არ არის². ითანე ქართველიშვილის გრამატიკის განხილვისას ალ. ფოცხიშვილი აღნიშნავს: „ტერმინი „რიცხვითი“ პირველად ითანე ქართველიშვილის გრამატიკაში გამოიყენება. გაიოზთან გვქონდა „რიცხვობითი“, რაც, ალბათ, დაედო საფუძვლად ქართველიშვილის ტერმინს „რიცხვითი“. რიცხვითი ორ ჯგუფს ეძლევა: რაოდენობით-სა და წესებითს. აქვე იმასაც აღნიშნავს, რომ წესებითი რუსული პორეაქციების თარგმანი ჩანს, რაც რუსულში „რიგსაც“ ნიშნავს და „წესსაც“³.

თრაკიელთანაც გვაქვს სახელთა ეს ჯგუფი, რომელსაც ეწოდება თაქტიკის (რიგობითი). რუსული პორეაქციების ამ ბერძნული ტერმინის კალკია, მაგრამ ქართული ტერმინი წესებითი უშესალოდ ბერძნულიდან აიღო ანტონმა თუ სხვა ენიდან, ამას, რა თქმა უნდა, ვერ გვაცარდევთ. ცხადია, რომ რუსულს ახალი ტერმინი არ შეუქმნია.

4. თრაკიელი არის კატეგორია, რომელიც ერთმანეთს უპირისპირებს მარტივ და თხზულ ფუძეებს. თრაკიელთან ამ კატეგორიის

¹ ანტონ I. „ქართული ლრამმატიკა“, გვ.132.

² ე. ბაბუნაშვილი, ანტონ პირველი... გვ. 116.

³ გაიოზ რექტორის გრამატიკის მკლევარი ე. ნიკოლაიშვილი აღნიშნავს, რომ ქართველ გრამატიკისთვის შემოსის პირველი გათოშმა გამოყო სახელებში რიცხვითი სახელები (რიცხვითი სახელი) არსებით და ზედმეს რუს სახელების გვერდით. ამ მხრივ მის წყაროდ შეიძლება კვარაცხლით იმდროინდელი რუსული გრამატიკული ლიტერატურა“. იმ. გ. იოზ რექტორი, ქართული ლრამმატიკა, ე. ნიკოლაი-შვილის წინასიტყვითა, გვ. 38.

⁴ ა. ფოცხიშვილი, ნარკვეული მეტყველების ნაწილთა კლასიფიკაციის ისტორიიდან, გვ.132.

მიხედვით სახელი სამგვარია: ოპლიში, სისტეთი, პარასუნტეთი მარტივი, რთული და ზერთული. თქმა ითანებ პეტრიწმა თარგმნა ტერმინით ნაკვეთი („სქიმამცა დავდა, რომელ არს ნაკუთი“), მხოლოდ იგი აქ გრამატიკული ტერმინი არ არის. მოგვიანებით ზურბა შანშოვანმა და ანტონ კათალიკოსმა თავიანთ გრამატიკებში სახელის ამ კატეგორიის აღსანიშნავად სწორედ ნაკვეთი გამოიყენეს. ბერძნული თქმა ნიშნავს „აგებულებას“, „აღნაგობას“, „ფორმას“. ანტონიც სახელის სამ ტიპს გამოყოფს ნაკვეთის მიხედვით: მარტივს, რთულს და ზერთულს. მარტივია ის სახელი, რომელიც სხვა სახელის ან ზმნის ძირს არ უკავშირდება. მაგალითად, დავით ლუთის-მეტყუშმლი, ხოლო „ოდეს შეპროტულდეს მარტივი ესე სახელი, ესე ითქმიან დავით ლუთის-მეტყუშმლი“. ზერთულია, როცა „სამნი სახელნი მიმღებათა მიმართ, ანუ სახელი ზმნათა მოეკიდენ და იქმნენ შერთულებულ, მაგალითად, ითანებ ლუთის-მეტყუშმლ-მახარებელი“¹.

შესახვა ტრია (ნაკვეთი სამია)

ნაკუთხი სამია

აპლიში (მარტივი)

მარტივი

სისტეთი (რთული)

რთული

პარასუნტეთი (ზერთული)

ზედ-ქრთული

თრაკიელთან რთულ სახელებში ოთხი ჯგუფია გარჩეული. ეს ჯგუფები გამოყოფილია სრულ და უსრულ სიტყვათა კომბინაციების საფუძველზე, სადაც უსრულში შეიძლება იგულისხმებოდეს არა მხოლოდ ბრუნვანაკლული სიტყვა, არამედ ბოლომოკვეცილი ყოველი სიტყვა, მათ შორის, წინდებულიც, ხოლო ანტონი სრულ სახელებს განასხვავებს იმის მიხედვით, „დაუბრუნველად“ არის შეერთებული სიტყვა „სხეუასა ზედა-შესრულსა“ თუ „ბრუნვლად“ (მაგალითად: I კეთილ-მსახური, II კეთილის-მსახური).

5) ოპტიმისტრეს (რიცხვი სამია) რიცხვ თრია

ენტერპრიზის მხოლობითი მხოლობითი

მარტივის მრავლობითი მრავლობითი

პლეისტონის მრავლობითი

ბერძნული ტერმინის ოპტიმისტრეს შესატყვისად რიცხვი ენტერპრიზის ლრამმატიკის“ შექმნამდე არსებობდა ქართულ გრამატიკულ ლიტერატურაში და ქართულისათვის ორობითი რიცხვის უჩვეულობაც შემჩნეული იყო. ქართულის ამ თვისებას ანტონიც აღ-

¹ ანტონ I. „ქართული ლრამმატიკა“, გვ. 128.

ნიშნავს: „მებრ ელლინთა და სხრათა რომელთამე უნდათ, ამ რამე არს ჩტენისამებრ ენისა შორის მხოლობითისა და მრავლობითისა, ე.ი. რათა იყოსმცა ორობითი, რამეთუ შემდეგად ერთისა ორსაცა და მიღიონსა და ფრიად უმრავლესსა მიღიონისასა ვიტუთ მრავლობითად“¹.

თრაკიელთან იმის შესახებაცაა მსჯელობა, რომ შესაძლოა, ფორმით მრავლობითი იყოს სიტყვა და შინაარისი მხოლობითისა ჰქონდეს. ბერძნულის ამ თვისებას, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეფრუმიც შენიშნავს ერთ-ერთ „შეისწავეში“.

მხოლობითი ფორმით სიმრავლის გადმოცემა ქართული ენისათვისაც არის დამახასიათებელი, — წერს ანტონი: „იქნების უკუჭ ჩტენისამებრ ენისა, რათა აქუნდესმცა შესახედავი მრავლობითისა და მხოლობისა შინა მდგმოებდეს, მაგალითად, მთიები და სხრანი, რომელთა აქტუალური მრავლობითისა და არიან მხოლობითი“².

ასევე სახელები მრავლობითის ფორმით, „გარნა მხოლობითად იცნობებიან, მაგალითად, ხორცი, რომელსაც ჩტეულვართ სამლუთოსათვეს ხორცისა, სიტყვასა ლუთისა“³.

